„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

მანგამისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2013 წ. თებერვალი * №34 * ფასი 1 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



ჯიხეთის მონასტერი, XIX ს.

ვისთვისაა საჭირო საქართველოში ქართველთა ავტონომიური რესპუბლიკა? გვ. 4-5

ფსევდონიმებიდან აკაკი ბაქრაძე გვ. 7,9,12

ლექსები „ქრისტეშობა“ და „ქვაბავაზაკი“ ზვიად გამსახურდიას არ ეკუთვნის! გვ. 11,13

რა დემსეხურებისთვის დეეჯიდდოვეს მოსკოვში ზაზა დევითაია?! გვ. 14

ბიძინას იმედად გამოღვიძებულ რუსეთუმეთა ცუნდრუკი და რუსეთის საიდუმლო ქართველი დესპანები

ლეილა ცომაია

სიტყვა **ცუნდრუკი,** სულხან-საბას ამგვარად აქვს განმარტებული — **უგვანოდ ხტუნვა.**

ბიძინა ივანიშვილის მთავრობის სამთვიანი პერიოდის განმავლობაში, ერთადერთი რაც მკვეთრად საგრძნობი და თვალში საცემია, მხოლოდ, რუსეთუმეთა ძალების გააქტიურება და რუსეთის საიდუმლო ქართველი დესპანების საქართველოში დაბრუნებაა. ამ მხრივ, ყოველ დღე ვიღებთ „სასიხარულო“ ცნობებს თენგიზ კიტოვანის, იგორ გიოგრაძის, ვალერი ხაბურძანიას, კახა თარგამაძის, თემურ ხაჩიშვილის, ემზარ კვიციანისა თუ სხვა მეტროპოლიაში გახიზნული ყოფილი ძალოვანი მინისტრების შესახებ. ბრუნდებიან, რათა ერთიანი ძალით გაშალონ ფრონტი საქართველოს CHГ-ში შესაბრუნებლად, რაშიც, ჩვეული მგზნებარებით აუბამენ მხარს ბურჯანაძე-ნოღაიდელის კოლაბორაციონალისტული „სახალხო“ მოძრაობები, თუ კახა კუკავასეული „თავისუფალი საქართველოს“ (?!) უნტერ-ოფიცრები.

მანამდე კი, ბიძინას იმედით აცუნდრუკებულმა წვრილფეხა რუსეთუმეებმა, საკუთარ საცავებში გადამალული, სტალინის ძეგლების სოფლის სკვერებში აღმართვა დაიწყეს. და იქნებ, გორშიც წამოჭიმონ — მუნიციპალიტეტს პეტიცია უკვე აახლეს!

უნდა შევახსენოთ გულუბრყვილო ოპონენტებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ CHГ-ში შესვლით, რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაგვიბრუნებს, რომ 2008 წელს საქართველო CHГ წევრი ქვეყანა იყო და ოკუპანტმა რუსეთმა ომი გამოუცხადა საკუთარ წევრ ქვეყანას და აგვისტოს ომით მოახდინა კოდორის ხეობისა და ცხინვალის რეგიონის ხელახალი ოკუპაცია-ანექსია საზღვრების დამატებითი მიტაცებით, გადაწვა და დაბომბა საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიც.

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

რუსეთის „ქართულ სათვისტომოში“, რომელიც ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, უშიშროების სამსახურებზე დაქვემდებარებული კონტროლირებადი გაერთიანებაა, შეადგინეს ე.წ. „ქართულ-რუსული“ ურთიერთობის პროგრამა, რომელიც განსახორციელებლად ივანიშვილს უნდა წარუდგინონ. სამეგრელოში გამოცოცხლდნენ სეპარატისტული ჯგუფები „სამეგრელოს ავტონომიის“ მოთხოვნით. გავრცელებული ინფორმაციით, ხობში საკრებულოს სხდომების გამართვა მეგრულ ენაზე დაიწყეს.

ბიძინა ივანიშვილის ფეხაკრებითი სვლა რუსეთისაკენ, რომელიც ეკონომიკურ ნაწილში საქართველოს რუსეთის ბაზარზე დაბრუნებით, ხოლო პოლიტიკურში რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების დეკლარირებით დაიწყო, ტემპს იღებს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტის შეჩერების, აფხაზეთის გავლით საქართველო-რუსეთის სარკინიგზო ხაზის გახსნის, ელექტროენერგიის იმპორტის სხვა ქვეყნებიდან შეწყვეტისა და მთლიანად რუსულ ელექტროენერგიაზე გადასვლის, ხოლო რუსეთისათვის ყველა ვალდებულებების მოხსნის იდეების წამოწევით.

აფხაზეთის გავლით საქართველო-რუსეთის სარკინიგზო და საავტომობილო (სატვირთო, სამგზავრო) მიმოსვლის უპირობოდ აღდგენა ნიშნავს საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რაც სახელმწიფოებრივ დანაშაულად და ღალატად უნდა ჩაითვალოს!

აფხაზეთის გავლით საქართველო-რუსეთის სარკინიგზო (საავტომობილო) მიმოსვლის აღდგენა მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სრული დეოკუპაციის შემთხვევაშია შესაძლებელი. ადრე თუ გვიან, რუსეთს მოუწევს საქართველოსთან ამგვარ გარიგებაზე წამოსვლა საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე. მთავარია, ჩვენი ხელისუფლების სათავეში არ აღმოჩნდეს შევარდნაძე-სააკაშვილის მსგავსი რეზიდენტ-პრეზიდენტი, რომელიც კაპიტულანტურად დათმობს საქართველოს ტერიტორიებს.

პრემიერ ივანიშვილის მიერ „რესპუბლიკელი“ პაატა ზაქარეიშვილის დანიშვნა რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის პოსტზე, სიმპტომატურია. სიმპტომატურია, ივანიშვილის მთლიანი საკადრო პოლიტიკა და საპარლამენტო კოალიციაც, სადაც „რესპუბლიკელები“ მძლავრობენ. სიმპტომატურია, ბიძინა ივანიშვილის მიერ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ფავორიტ კანდიდატად „რესპუბლიკელი“ ვახტანგ ხმალაძის (მანუკინიანის) დასახელება. პრემიერი ივანიშვილისათვის იმდენად პრინციპული და შეუვალი აღმოჩნდა საკუთარი კანდიდატურა, რომ მან თავდაცვის მინისტრსა და ვიცე-პრემიერ ალასანიას არ აპატია საპრეზიდენტო ამბიცია და მეორე თანამდებობიდან გადააყენა. მისი ამგვარი რაექცია გახლდათ პრევენცია იმისათვის, რათა არ შესუსტდეს ხმალაძის შანსები. ეს, საკუთარი თანაგუნდელების მიმართ, ყურადსაღები გაფრთხილებაცაა: **არავინ გაბედოს ალტერნატივა!** თუმცა, არ არის გამორიცხული, ივანიშვილმა, როგორც ცბიერმა ჭკუის კოლოფმა, საპრეზიდენტო არჩევნებში თავად დაასახელოს მეორე კანდიდატიც, მაგრამ მთელი რესურსი ხმალაძის სასარგებლოდ წარმართოს.

ივანიშვილი, რომელიც ერთპიროვნული მმართველობის დაუფარავ ტენდენციას ავლენს, ვშიშობთ, რომ არ იქნება ტოლერანტული სხვა ალტერნატიული კანდიდატების მიმართ და მათ განეიტრალებასა და ჩამოცილებასაც შეეცდება. სხვაგვარად, მის ყოვლად ურეიტინგო საპრეზიდენტო კანდიდატს გამარჯვების შანსები არ აქვს. პოლიტიკური ბრძოლის ამ მეორე და გადამწყვეტ რაუნდში, ივანიშვილს გაცილებით მეტი ფიზიკური ენერგიისა და ფინანსური კაპიტალის დახარჯვა დასჭირდება, რისთვისაც იგი, არც ისე ახალგაზრდაა, მაგრამ მიზანსწრაფულობა ამ რუბიკონსაც გადაალახინებს. თუმცა, ჩვენთვის, ბოლომდე მთლად ნათელი არ არის, რისთვის ხარჯავს იგი მილიონობით დოლარს პოლიტიკაში, რომელშიც (როგორც თვითონ ამბობს) სულ სამიოდე წლით შემოიჭრა. „პატრიოტული“ ტირადა, რომ თითქოს იგი შეაწუხა საქართველოს მძიმე მდგომარეობამ, ამთავითვე ჩანს რომ ბლეფია! იგი, ხალხისთვის საარჩევნოდ მიცემული შეპირებების აღსრულებას, **სრულად,** არც ფიქრობს და ცდილობს, **ნაწილიც**, მაქსიმალურად გაჭიმოს დროში. იგიც, სააკაშვილის მსგავსად, ვირტუალური კეთილდღეობის ილუზიას ქმნის და მისი ამბიციური ლექსიკაც იდენტურია საკაშვილის მიერ ამოჩემებული ფრაზისა: „პირველად, საქართველოში!...“ უახლესი საქართველოს ისტორიიდან, მასაც თვითნებურად და სიძულვილით, ისევე აქვს ამოგდებული 1989-91 წლების ოქროს პერიოდი, როგორც სააკაშვილს და თუ მაინცა და მაინც აუცილებლად დასჭირდათ იმ პერიოდის აღნიშვნა, აუცილებლად ნეგატიურ და შავ-ბნელ კონტექსტში იხსენიებენ.

„რესპუბლიკური პარტია“, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში, ყოველთვის ანტისახელმწიფოებრივ-ანტიეროვნულ ძალას წარმოადგენდა, რის გამოც ისინი არასოდეს უყვარდა ხალხს და შესაბამისად, მათი საარჩევნო რეიტინგიც არასოდეს აღემატებოდა 1,5 %. მიუხედავად ამისა, პოლიტიკაში „მეტეორივით შემოჭრილმა“ ბანკირმა და მრავალდარგოვანმა ბიზნესმენმა ივანიშვილმა, მთავარ პოლიტიკურ საყრდენად, სწორედ „რესპუბლიკელები“ აირჩია, რაც იმთავითვე სიმპტომატური იყო. ივანიშვილი, „რესპუბლიკელი“ ხმალაძის საქართველოს პრეზიდენტად პოლიტიკური ხელდასმის შემდეგ, აპირებს დატოვოს პოლიტიკაც და საქართველოც, რაც აგრეთვე სიმპტომატურია!

ჩვენ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა უკვე შევაფასეთ „პილატეობად პოლიტიკაში“!

თუ ივანიშვილმა (მისი საყვარელი ფრაზეოლოგიით რომ ვთქვათ), „როგორღაც მოახერხა“ და „რესპუბლიკელი“ ვახტანგ ხმალაძე პრეზიდენტადაც მოგვივლინა (რაც **არ უნდა** დავუშვათ), ქართველ ერს მოუწევს მისი ანტისახელმწიფოებრივი ფორსირებული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა საპროტესტო გამოსვლებით, რაც პერმანენტული დესტაბილიზაციის სახიფათო რეჟიმებს შექმნის. „რესპუბლიკელი“ ხმალაძე, თავისი კარიკატურული ჰაბიტუსის გარდა, არც დიდი ჭკუითა და არც -თუ გონივრულ-დინჯი სიტყვა-პასუხით გამოირჩევა. ნორმალურ სახელმწიფოში მას ქვეყნის ბედს ნამდვილად არ ანდობენ! მაგრამ, ყოვლად მოხერხებული ივანიშვილის „ხელდასმით“ რომ გაპრეზიდენტდეს? ამის უბრალო ალბათობა არსებობს მხოლოდ. ვფიქრობთ, ხალხს უკეთესის არჩევანი ექნება!

არც თუ ისე ნაადრევია ამ კითხვის დასმა: რა მიიღო სახელმწიფომ და ამომრჩეველმა თავისი რჩეული ივანიშვილისაგან უკვე გასული 4 თვის განმავლობაში? არაფერი, გარდა ელექტროენერგიის ტარიფის მიზერული დაკლებისა და ისიც, ჯერაც არ ასახულა ქვითრებში. აღმოჩნდა რომ, „ქართულ ოცნებას“, წინასაარჩევნოდ „კარ და კარის“ კამპანიაში დასაქმებული მოქალაქეებისთვის ის მიზერული ასი ლარიც კი არ გადაუხდია და დღემდე ითხოვენ მოტყუებულები. ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მხრივ კი, ჯერ კიდევ სრული სტაგნაციაა.

ორი კვირის წინ ბიძინა ივანიშვილი ვიზიტით იმყოფებოდა სომხეთში. სომხეთის პატრიარქმა გარეგინ მეორემ საქართველოს პრემიერს მიმართა თხოვნით, რათა საქართველოს სკოლებში სასწავლო საგნად შეტანილ იქნას „სომეხი ხალხის ისტორია“. ამასთან დაკავშირებით, არა მგონია ლოგიკას მოკლებული იყოს ჩვენი კითხვა: რატომ უნდა ისწავლებოდეს საქართველოს სკოლებში მეზობელი „სომეხი ხალხის ისტორია“ და არა, ვთქვათ, აზერბაიჯანელების? ან, სანაცვლო პირობად, ჩვენმა პრემიერმა რატომ არ წაუყენა სომხეთის ეკლესიის წინამძღვარს, ადექვატურ „კეთილმეზობლურ — კეთილმეგობრულ ჟესტად“, სომხეთის სკოლებში „საქართველოს სახელმწიფოს ისტორიის“ სწავლების შემოღება? ეს, რიტორიკულ კითხვად! ახლა კი ამონარიდი ბატონი ბიძინას ინტერვიუდან, რომელიც მან რადიო „თავისუფლების“ სომხური გადაცემის წამყვან სარქის არუთინიანს 18 იანვარს მისცა:

ბ.ი.: ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჯავახეთში, რათა იქ მცხოვრებმა ეთნიკურმა სომხებმა თავი ისე იგრძნონ, როგორც საკუთარ სამშობლოში. სწორედ ამიტომ ჩავედი მათთან და ძალიან თბილი შეხვედრები გვქონდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სომხეთის დიასპორას – საქართველოს ისტორიაში არჩევნებში ოპოზიციას მანამდე არასდროს მიუღია ამდენი ხმა ეთნიკური სომხებისგან. მე ბევრი დაპირება მივეცი... მე დავპირდი მათ და ყველაფერს გავაკეთებ,დაპირებულზე მეტსაც კი, რათა მათ ღირსეულად იცხოვრონ» („კვირის პალიტრა“, 22 იანვარი, 2013 წ.).

გასაგებია, რომ ბიძინასაც მიშასავით სჩვევია კვეხნა განდიდების მანიით — **„პირველად საქართველოში!“** და რომ, საქართველოს ისტორია, ლამის მათგან იწყება. შიშველ ტყუილებში კი ბიძინა, მიშასაც კი აჭარბებს! 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ეთნიკურად სომხებითა და აზერბაიჯანელებით (ბერძნებით) დასახლებულ რაიონებში პროპორციული სიით ხმების რეალური რაოდენობრივი მაჩვენებელი ასეთია:

	„კოალიცია ქართული ოცნება“	*„ნაცმოძრაობა“*
ახალქალაქი —	**21,29%**	**76,54%**
ახალციხე —	**21,34%**	**75,04%**
ასპინძა —	**23,29%**	**71,43%**
ნინოწმინდა —	**17, 13%**	**79,59%**
ადიგენი —	**26,66%**	**69,87%**
გარდაბანი —	**41,29%**	**55,5%**
მარნეული —	**17,48%**	**78,91%**
ბოლნისი —	**29,49%**	**66,99%**
დმანისი —	**25,78%**	**69,83%**
წალკა —	**28,28%**	**67,82%**

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებულ უზენაესი საბჭოს არჩევნებში ოპოზიციურ პარტიათა ბლოკს „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს“, რომელმაც ხმების საერთო რაოდენობის **54, 99%** მოიპოვა, ზემოჩამოთვლილ რაიონებში გაცილებით მეტი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა, თუმცა კომუნისტური პარტია, ზოგიერთ მათგანში მეტი პროცენტული მაჩვენებლით იყო წარმოდგენილი, მაგრამ არჩევნებში ხმების საერთო რაოდენობის მხოლოდ **29%** მოიპოვა. სამწუხაროა, რომ ჩვენ ამ მონაცემების დოკუმენტურად გამოქვეყნება დღეს არ შეგვიძლია იმ სერიოზული მიზეზის გამო, რომ ეს მონაცემები ამგვარი კონკრეტიკით მაშინდელ პრესაში არ ასახულა. „მრგვალი მაგიდის“ პარტიული სიით კი არჩეულ იქნა **81** დეპუტატი, ხოლო კომუნისტური პარტიის — **44** დეპუტატი. მაჟორიტარი წესით „მრგვალი მაგიდა“ – **43** დეპუტატი, „კომპარტია“ — **17** დეპუტატი (აქ არ არის შემოტანილი 1990 წლის 25 ნოემბრის მეორე ტურის შედეგები, რომელმაც სურათი „მრგვალი მაგიდის“

→

← სასარგებლოდ შეცვალა). წარმოდგენილი თანაფარდობაც ცხადჰყოფს, თუ როგორი უპირატესი ნდობა გამოუცხადეს არჩევნებში ოპოზიციას, მაშინ როცა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში თანაფარდობა არც-თუ შთამბეჭდავი იყო: „ქართული ოცნება“ **54, 97%** -“ ნაციონალური მოძრაობა“ **40, 34%.** პარტიული სიით: „ქართული ოცნება“ — **85** დეპუტატი, „ნაციონალური მოძრაობა“ — **65** დეპუტატი.

სომხები კი ჯავახეთში, სწორედ ისე გრძნობენ თავს (განსაკუთრებით, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში), როგორც „საკუთარ სამშობლოში“; დისკრიმინაციას უწევენ და დევნიან ავტოქტონურ ქართველებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებისაგან სრულიად დაუცველნი არიან. „დიდი სომხეთის“ მანიაკალური იდეის ხორცშესხმისაგან სომხებს, საქართველოს მხრიდან მხოლოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აშორებდა და სტალინ-ოჯონიკიძე-მახარაძისეულად გამსხვისებელ-გამჩუქებელ ზურაბ ჟვანიას შემდეგ (არ დასცალდა!), ახლა მათ ბიძინა ივანიშვილი გამოუჩნდა.

ზემომოყვანილი ინტერვიუს გარდა, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის მიმართულებით, ივანიშვილის სომხეთიდან დაბრუნებისთანავე ფრიად საეჭვოდ მოხდა „ ჯავახეთის დამოუკიდებლობისათვის“ იარაღით მებრძოლი, ორგანიზაცია „ჯავახკის“ სეპარატისტი ლიდერის ვაჰაგან ჩახალიანის 25 იანვარს გათავისუფლება, მისჯილი 9 წლიანი პატიმრობიდან 5 წლით ადრე და „პოლიტპატიმართა და შეწყალებულთა“ სიაში არყოფნის გარეშე. ჩახალიანი, თავისი სეპარატისტული ქმედებებით, სააკაშვილის თქმით, რუსეთის სამხედრო დაზვერვიდან (GRU) იმართებოდა, რისთვისაც იგი 2008 წელს დააკავა. ივანიშვილის სიტყვიერი განკარგულებით გათავისუფლებულმა სეპარატისტმა კი მეორე დღესვე ამგვარი შინაარსის მიმართვა გაავრცელა:

„ჯერ კიდევ გადასაჭრელია ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის სამოქალაქო, ენობრივი, საგანმანათლებლო, რელიგიური და კულტურული უფლებების მთელი რიგი საკითხები — ჩამორთმეული ეკლესიების დაბრუნება, სომხური ენისთვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭება, ახალქალაქში სომხური უნივერსიტეტის გახსნა, რაიონებში რეალური თვითმმართველობის სისტემის დამყარება და სხვა. საქართველოს ახალი ხელისუფლების მოვალეობაა, სომხებით დასახლებული ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამოქალაქო სტრუქტურებთან დიალოგის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა“.

ჩვენ, როგორც სჩანს, ბიძინა ივანიშვილის მთავრობისგანაც ამაოდ ველით საქართველოს საზღვრებისა და დემარკაციის საშური საკითხების აკადემიურ მომზადებასა და განხილვის დაწყებას მეზობელი აზერბაიჯანის (სადაც ასევე ვიზიტით უკვე იმყოფებოდა იგი), სომხეთის, რუსეთისა და თურქეთის მთავრობებთან. ასევე, ამ ტერიტორიებზე არსებული ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ბედის გადაწყვეტას. უკანონო მიგრაციის აღკვეთას, რომელიც ჩვენისთანა მცირემიწიან და მცირერიცხოვან ერს დემოგრაფიული სურათის მკვეთრი შეცვლით ემუქრება, რისი რეციდივებიც უკვე არსებობს.

რუსეთში ერთკვირიანი ვიზიტით მყოფმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, რომელიც პრეზიდენტ პუტინსაც შეხვდა, განსაკუთრებული და საგანგებო მოკითხვა გადასცა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ივანიშვილისაგან, რასაც პუტინისაგანაც გულთბილი მოკითხვის დაბარება მოჰყვა. ეს ურთიერთგზავნილები, უახლოეს მომავალში, უსათუოდ მჭიდრო კავშირურთიერთობებში გადაიზრდება, რის სურვილებსაც, ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე დაუფარავად ამჟღავნებდა ივანიშვილი.

მანამდე კი საქართველოში რუსეთიდან უნდა დაბრუნდნენ დევნილი ქართველი ემისარი КГБ-ჩნიკები იგორ გიორგაძისა და ვალერი ხაბურძანიას წინამძღოლობით, რომლებიც როგორც თავადაც გვაუწყებენ ალიანსს შეკრავენ „პრორუსული ვექტორის“ ზემოხსენებულ პოლიტიკურ ძალებთან საქართველოს СНГ-ში შესაბრუნებლად, რისთვისაც მათ სრული კარტ-ბლანში ექნებათ ბიძინა ივანიშვილისაგან.

აი, სადამდე შეიძლება მივიდეს იმ ქვეყნის საქმე, როდესაც მას სახელმწიფოებრივად არასაიმედო მმართველი ჰყავს! თუმცა, მის ამომრჩევლებს, იგი ხომ არანაირი პოლიტიკური კაპიტალით არ აურჩევია, არამედ თვალი მოსტაცა მისმა შვიდმა მილიარდმა დოლარმა!

2013 წლის იანვარი.

ისე დაგვდევდნენ, როგორც პირველ ქრისტიანებს – ძველ რომში

ესსე

***1993 წლის 28 იანვარს გაზეთ „იბერია-სპექტრის“ ჟურნალისტმა, 1992 წლის 2 თებერვლის ხსოვნის დღისადმი წერილის დაწერა მთხოვა. მთელი ღამე გავათენე და ლამფის შუქზე დავწერე ეს პირველი საგაზეთო მასალა: „ისე დაგვდევდნენ, როგორც პირველ ქრისტიანებს ძველ რომში!“ როცა მიჰქონდა ამ ახალგაზრდას, მითხრა, ქეთევან, ხომ იცი, რა სნობები არიან ეგენი, შენი გვარი მათთვის არაფრის მთქმელია, მოდი, ისეთი გვარი შევარჩიოთ, ყურთასმენა მიჩვეული რომ აქვთ და წაიკითხონო. ასე შეირჩა გვარი „ჩხეიძე“. გაზეთის ნომერი გამოვიდა 11 თებერვალს, ჩემი წერილის მცირე მონაკვეთს სათაურად ჰქონდა გამოტანილი ტიტრებით აწყობილი ზემოხსენებული სათაური. ერთი თუ ორი დღით ადრე კი ტელევიზიით აჩვენეს ფილმი „ახალი ერა“, თუ „პომპეის უკანასკნელი დღე“, რომლებშიც არის ეპიზოდები სწორედ პირველქრისტიანების დევნაზე ძველი რომის იმპერიაში. ღმერთი-რჯული, წერილი დაწერილი და გადაცემული მქონდა, როცა აჩვენეს. შევარდნაძის პარლამენტში ლამის დაიბდღვნეს ყველაფერი; გიგა ლორთქიფანიძე სულ ჯოხის ქნევით ყვიროდა. უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა დებატები, ვერ ინელებდნენ. ამ წერილის და სხვა რამეების გამოც, იმ მხარემ უჩივლა გაზეთ „იბერია-სპექტრს“და ითხოვდნენ ჩემი ვინაობის გამხელას. ცხადია, არავის გავუცივარ, გაზეთი კი ექვსი თვით დახურეს.*

შევარდნაძის კლანის წევრებისთვის, ჩემი აზრით, სათაურთან ერთად აღმაშფოთებელი იყო: „გვესროდნენ ოთარ მეღვინეთუხუცესის სახლიდან, გვესროდნენ მარჯანიშვილის თეატრიდან და თბილისის ძველი უნივერმაღის შენობიდანაც“. სიმართლე გითხრათ, იქ ხალხმა თქვა, ამ კორპუსში ცხოვრობს მეღვინეთუხუცესიო. მეტიც, იმ კორპუსის ერთი სადარბაზოს ზედა სართულებზე თავშეფარებულები რომ ვიყავით, კიბე ამოირბინა ვიღაც ავტომატიანმა, რომელიღაც კარზე დარეკა, კარი მცირედ რომ გაიღო, ჩვენზე ქვემოთმდგომებმა გაიგეს, ვიღაც ქალმა როგორ უთხრა კაცს, ზემოთ, კიბეებზე, იმალებიანო. აი მაშინაც თქვეს, გურანდა გაბუნია იყოო. მე არ დამინახავს ეს ქალბატონი, არც ის საუბარი მომისმენია, არც კარისთვის შემიხედავს, აბრა იყო თუ არა გვარით. ხოლო ის, რომ ნამდვილად ისროდნენ მარჯანიშვილის თეატრის სახურავიდან და ძველი უნივერმაღის შენობის სახურავიდან, ეს ჩემი ორი თვალით მაქვს დანახული. ეს ორი შენობა სტრატეგიული პუნქტი იყო, რათა მთავრობის სახლისკენ არ გავეშვით. იქნებ ზოგმა იმ ავტომატიანთაგან, არც კი იცოდა, რომ ის თეატრის შენობა იყო? გამწარებული, მხურვალედ მლოცველი ხან თეატრის შენობის სახურავს ვუყურებდი, ხან ჩემს დას, რომელიც მორბოდა ტყვიების წვიმაში მოედანზე, მის ზურგს უკან კი მიწაზე მოხვედრილი ტყვიები მტვრის კორიანტელს აყენებდა და ღმერთს მის გადარჩენას ვევედრებოდი... პარლამენტში მიცავდა დეპუტატი, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს. ასეთი ფაქტიც მიამბეს: ქალბატონ გურანდა გაბუნიას შეუკრებია მთელი მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივი და ჩაუტარებია საერთო კრება, წერილს თვითონ კითხულობდა თეატრალიზებულად და პერიოდულად მცირე პაუზების დროს,თურმე ცერად გადახედავდა ხოლმე რეჟისორ ოთარ ჩხეიძეს დასამუნათებლად, აქაოდა, ეს ვინ გამოგრევიათო გვარში! ახლა, ამ 20 წლის მერე, დიდი მადლობა გაზეთის მაშიდელ კოლექტივს, განსაკუთრებით კი ბატონ ირაკლი გოცირიძეს, ხსენება და არდავიწყება მას!

***26.1.2013,** ქეთევან ჯერვალიძე*

1-ლ თებერვალს ხუნტამ სპორტის სასახლეში „ელიტის“ შეკრება მოაწყო. დარბაზი ვერ გაავსეს და დაფეთებულებმა სიცარიელის დასაფარავად ხალხი იარაღის მუქარით ჩამოყარეს სარეისო ტრანსპორტიდან. იმათმა დიდმა ნაწილმა გამოპარვა მოახერხა და ვაგზლის მოედანზე ჩვენ შემოგვიერთდა. „ელიტის“ თავყრილობაზე საზეიმოდ და სამარადჟამოდ დაადგინეს, რომ ისინი არიან „უმაღლესი“ კლასი და მათ ეკუთვნით პრიორიტეტი ქვეყნის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში. ამასობაში ჩვენი მიტინგი ნელი მსვლელობით ყოფილი „ცკ“-ის შენობისკენ დაიძრა. „ელიტამაც“ თავისი ბოსების მხარდასაჭერად იმ ადგილს მოაშურა. ასე აღმოვჩნდით ერთმანეთის პირისპირ ისინი, ორი ათასამდე და ჩვენ – ნახევარ მილიონზე მეტი. ატირებული, შეურაცხყოფილი, ანუ როგორც ისინი გვეძახიან ბრბო, უფრო მაღალფარდოვნად კი – ლიანგი. გვიყურებდნენ მძულვარებით, ზიზღით, რაც მათი ცხოვრებისეული ნორმებიდან გამომდინარეობდა. მათ შეგონებებში ქართული სიტყვები ისე ეყარა, როგორც მარგალიტი მათივე სამშვინველის ნაოხარზე: „ჩვენ მოვიგეთ რა, წადით ახლა სახლებში რა, მონებო, მონებო“ და კიდევ სხვა. შეიძლება ითქვას, რომ მათი მეტყველების კულტურაში დღევანდელი პარლამენტის სიბრძნის დამამტკიცებელი კონტურები უკვე ილანდებოდა.

მათ თვალებში მე ზიზღის გარდა, შიში და სასოწარკვეთა დავინახე. სწორედ ამ შიშმა მოაწყობინა მათ ორი თებერვლის „სისხლიანი კვირა“ და „ბართლომეს ღამე''.

პირველი თებერვალი ჯანსაღ ძალთა ნამდვილი დემოსტრაცია იყო. ყველა ვიყავით, ''ვითარცა სული ერთი, უამრავ გვამთა შინა დამტკიცებული და ძირმტკიცე სიყვარულით შეკრული''.

ორი თებერვალი... როგორც ველოდით ისე დაიწყო: თორმეტი საათისთვის მეტროები გადაკეტეს. ხალხი ფეხით მოდიოდა და რადგან მოედანი მილიციას და მათ „ბიძაშვილებს“ ეკავათ, მეტროს მისადგომებთან გროვდებოდა. კარგა ბლომად რომ შევიყარენით, მოედანი გავავსეთ, მილიცია სადღაც გაქრა, საინფორმაციო მიტინგი ჩატარდა და მანიფესტაცია თამარის გამზირს დაუყვა, ზღვა ხალხი მოდიოდა. რამდენიმე ასეული მეტრი საოცარი დუმილით გამოვიარეთ. არ ვიცი, იქნებ წინასწარ ამ დუმილში ვგლოვობდით ჩვენს უცოდველი სიყვარულის გამო დასჯილ მიცვალებულებს, რომელთაც ახლა ათი თუ თხუთმეტი წუთის სიცოცხლეღა დარჩენოდათ. იქნებ ყოველი ჩვენგანი საკუთარ სიკვდილს უჭვრეტდა, ვინ იცის? ბოლოს ერთმა ხანდაზმულმა კაცმა მოგვმართა: ხალხნო, რა მოგვივიდა, გუშინდელმა დღემ როგორ დაგვყარა ისე, ხმის ამოღება რომ გვიჭირსო და შემოსძახა: საქართველოს კანონიერ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას გაუმარჯოსო. მას სხვები შეენაცვლნენ: „ძირს ხუნტა!“ ...საპასუხოდ, ჩვენი ბანად ქცეული „ძირს“, ''ძირს'' გუგუნებდა.. თამარის ხიდს მშვიდობით მივაღწიეთ. პირველმა რიგებმა, რომელთაც დროშები, ხის ჯვარი და პლაკატები მიჰქონდათ ცირკს მიატანეს. გმირთა მოედანზე გასასვლელი ავტობუსებით იყო ჩახერგილი. მათ უკან სახანძრო მანქანა იდგა, რომელმაც ჯერ ვაგზლის მოედანზე დაგვზვერა, მერე კი, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანი საბრძოლო პოსტი ჩაიბარა. სანამ პირველი რიგები რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ცირკისა და მის მოპირდაპირე გორაკიდან სროლა დაგვიწყეს. მკვლელები ბუჩქებში ისხდნენ, მაგრამ ფოთლებშემოძარცვული ტოტები ვერ ფარავდა მათ სახეებს, ზოგი, არც კი იმალებოდა. ჩვენ გვერდით ხან ერთი ეცემოდა, ხან – მეორე. დაჭრილები

სანაპიროსკენ გაგვყავდა და კერძო მანქანების დახმარებით

დასასრული მე-4 გვ.

დასაწყისი გვ. 3

საავადმყოფოებში ვუშვებდით. ტყვიების კაკანი არ წყდებოდა. ხალხი, გაოგნებული, უკან იხევდა, მე კი სარგადაყლაპულივით ვიდექი და ვერ ვინძრეოდი. უცებ მეგობარმა პალტოს კალთაზე დამქაჩა, უმალ გამოვფხიზლდი. ამ მკვლელების ველური სიამოვნებით აღსავსე მზერა დღესაც თვალწინ მიდგას. დარწმუნებული ვარ დღეს, არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის. ღმერთმა შეუნდოთ. მანიფესტაცია მაინც არ დაიშალა და გზა აღმაშენებლის გამზირისკენ განაგრძო. ზოგი თავს ველარ ერეოდა და კიოდა: გამოდით, გვესვრიან, გვხოცავენო, შემოსწრებულნი ჩვენთან ერთად ტიროდნენ, ზოგიერთ აივანზე კი თვითკმაყოფილი იდიოტური სახეებიც ჩანდა.

2 თებერვალს დაღუპულთა სია

1. **მამუკა ტერიშვილი – 18 წლის**
2. **ალეკო დავარაშვილი**
3. **ზურაბ დიდებაშვილი – 17 წლის**
4. **გერონტი ლიპარტელიანი – 25 წლის**
5. **იური ტალახაძე – 42 წლის**
6. **მიხეილ ფოლადაშვილი – 50 წლის**
7. **ტარიელ ხერკელაძე – 41 წლის**
8. **ტრისტან ცერაძე – 70 წლის**
9. **იმედა ჭანტურიძე – 17 წლის**
10. **ზურაბ ჯავახიშვილი – 15 წლის**

ორ თებერვალს კარგად მოწმენდილი მზიანი ზამთრის დღე იყო, მაგრამ მოულოდნელად ციდან ცვარი წამოვიდა, თითქოს უკეთურთა და პატრიარქისაგან განწირულთ, ღმერთი ციდან გვიგლოვდა და ცრემლს გვაფრქვევდა. გამწარებულნი არ ვიშლებოდით, მარჯანიშვილის თეატრისკენ ჩავუხვიეთ, ახლა აქ ატყდა სროლა. გვესროდნენ ოთარ მეღვინეთუხუცესის სახლიდან, გვესროდნენ მარჯანიშვილის თეატრიდან და თბილისის ძველი უნივერმაღის შენობიდანაც, როგორც იქნა დაგვშალეს. პატარ-პატარა ჯგუფებს დაგვდევდნენ, გვესროდნენ ბეტეერებიდანაც კი. ნაწილს მარჯანიშვილის მეტროს ესკალატორებზეც ჩასდიეს. ჩხრეკდნენ სადარბაზოებს, არ ატარებდნენ სასწრაფოებს, ექიმებს არ უშვებდნენ დაჭრილებთან.

უამრვი რამ შეიძლება კიდევ დაიწეროს, მაგრამ მთელი სერიალი ამ დარბევებისა და ხოცვა-ჟლეტისა, ამ აპარტეიდისა საკუთარი ერის მიმართ ჩემს ცნობიერებაში ერთ, ჩემი აზრით, სრული ობიექტურობის გამომხატველ წინადადებად დაკრისტალდა. ჩვენ ისე დაგვდევდნენ, როგორც პირველ ქრისტიანებს ძველ რომში. ჩვენც ისევე ვეწირებოდით იმ წმინდა და საღმრთო იდეის სიყვარულს, რომელსაც სამშობლოს თავისუფლება ჰქვია და რომლის განხორციელებას პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას პიროვნებაში ვხედავდით და ვხედავთ დღესაც…

აი, ერთი წელიწადი გავიდა, პოზიცია არ შეცვლილა. ჩემი წინაპარი, ილიას უერთგულესი კაცი წიწამურში ილიასთან ერთად მოკლეს. მოდი და ნუ იცხოვრებ ღირსეულად, ისე, რომ მტერი შურით გულზე გასკდეს.

ყველამ ვიცით, რომ ილია სოციალ-დემოკრატებმა „ეროვნული საკითხის" მკვიდრ ნიადაგზე დაყენების გამო მოკლეს. ისიც ყველამ კარგად ვიცით, რომ კომპარტიამ და მისმა უკანონო ძმებმა პრეზიდენტიც ნაციონალური საკითხის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების გამო დემოკრატიის სახელით გააძევეს. ღმერთო, გვიშველე!!! ვცხოვრობ უზომოდ დამცირებული და შეურაცხყოფილი, რადგან წამართვეს სიყვარულის, არჩევანისა და ხმის მიცემის უფლება, როგორც რიგითსა და მათი კლანისთვის მიუღებელს. მაგრამ ჩვენი სიყვარული ისეთი წრფელი და უანგარო იყო, არის და იქნება, რომ ტანჯვა მშვენიერებას იმოსავს. ყოველი განსაცდელი კი ამ მშვენიერების წინაშე კარგავს თავის სიმწვავეს, „ყოველმა ქართველმან უნდა აღირჩიოს გზა ლეონიდისა".

— ხმიანებს ჩემი დიდი წინაპრის სიტყვები ჩემში. თავგამოდებით ვეგებები ასეთ სულიერ მდგომარეობას, რაკი ჩემში გმირის უშიშარ სულს ვჭვრეტ და „ურწმუნოთაგან ზარგანხდილ ქრისტიანთა" მეოხ წმინდა გიორგის ვევედრები:

„აღსდექი, წმინდა გიორგი,
აღმართე შენი შუბია,
ვერ ხედავ გველის პერანგში
სამყარო გახვეულია?!"

29 აპრილი, 1993წ.

ქეთევან ჯერვალიძე

ვისთვისაა საჭირო საქართველოში ქართველთა ავტონომიური რესპუბლიკა?

აჭარის თემაზე პირველი წერილი დავწერე 25 წლის წინ («საწუხ არს ესე»; 28.10. 1988; გაზეთი «ახალგაზრდა კომუნისტი»; მეორე წერილი: «თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია?" დაიბეჭდა აქვე, 1990 წლის 17 მარტს)... მას შემდეგ რამდენი რამ მოხდა, მაგრამ ამ მიმართულებით ბევრი არაფერი შეცვლილა.

სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახეობა — **ავტონომიური რესპუბლიკა** — არსებობდა მხოლოდ საბჭოთა (კომუნისტურ) იმპერიაში და დღეს ანომალიას წარმოადგენს; კერძოდ, კომუნისტური იმპერიის დაშლის შემდეგ ასეთი დასახელების სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები რუსეთის ფედერაციაში ტრანსფორმირდა **რესპუბლიკებად**; მაგ., დაღესტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას დაერქვა **დაღესტანის რესპუბლიკა,** ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას — ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა...

ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკები საბჭოური დასახელებით დარჩა მხოლოდ აზერბაიჯანში, საქართველოსა და უკრაინაში (http://tinyurl.com/b4tahwc).

მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის უცხო ამგვარი დასახელების მქონე ე.წ. ნაციონალურ-პოლიტიკური თვითმმართველობები რუსულ-კომუნისტურ ნაღმებად რომ რჩება აზერბაიჯანშიც, საქართველოშიც და უკრაინაშიც, ვფიქრობ, განმარტებას არ საჭიროებს.

XXI საუკუნის მეორე ათეულის დასაწყისშიც საქართველოში არის მოსაზრება, რომ აჭარის ავტონომიის ასეთი ფორმით არსებობა ხელს შეუწყობს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნების ინტეგრაციას საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში.

ამგვარი მოსაზრება ან გულუბრყვილო გათვლების მქონეთ ეკუთვნით, ანდა მათ, ვისაც მიზნად აქვთ საქართველოს შემდგომი დანაწევრება და საქართველოს დაშლა გვიან შუა საუკუნეების სამეფო-სამთავროების საზღვრების მიხედვით. სწორედ ამიტომაა, რომ ასეთი პოლიტიკოსები ინტენსიურად ლაპარაკობენ საქართველოს ფედერაციული მოწყობის შესახებ და გარეშე ძალებს სიხარულით დაეთანხმებიან კონფედერაციულ მოდელზეც კი.

აქტიურ პოლიტიკაში მყოფი გარკვეული ძალების მიერ იგეგმება **საქართველოს დანაწევრების საერთაშორისო აღიარება ე.წ. საქართველოს კონფედერაციის თუ ფედერაციის იურიდიული გაფორმებით;** ამ გეგმაში კი მავანთ ერთ-ერთ რგოლად აქვთ **აჭარის რესპუბლიკა;** შესაძლოა, იგეგმება რომ ფედერაციის სუბიექტებად იქცნენ საქართველოს სხვა კუთხეებიც (დღეს წარა-მარა ამიტომაც ხომ არ ინიშნებიან ე.წ. გუბერნატორები?).

საქართველო ისეთი მცირე ტერიტორიის ქვეყანაა, რომ მართვის გაიოლების მიზნით ნამდვილად არ არის საჭირო ქვეყნის დანაწევრება გუბერნიებად, ავტონომიებად თუ რესპუბლიკებად... ამგვარი საჭიროება არ არსებობს, არც საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

საქართველოს პოლიტიკური დეცენტრალიზებით დაინტერესებულნი არიან მეზობელი თუ არამეზობელი ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშენი: მათი გეგმით, იოლია ცენტრალურ კავკასიის ნაწილში მაინც გავლენის მოპოვება მათთვის საინტერესო ერთ თვითმმართველ «ავტონომიაზე», ვიდრე ერთიან საქართველოზე (მაგ., რუსეთი დიდი ხანია ცდილობს საქართველო აქციოს ფედერაციულ სახელმწიფოდ; ამ თვალსაზრისით საინტერესოა თ. კიტოვანის ინტერვიუც, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა პრაიმ-ტაიმში).

ქართველთა ერთი ნაწილიც ეგუება ამ ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის არსებობას; კერძოდ, **საქართველოში არის მცდარი მოსაზრება, რომ, თითქოსდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა საერთაშორისო შეთანხმების შედეგად და საქართველო ვალდებულია, დაიცვას ეს შეთანხმება.**

ამ ანტიქართული ლეგენდის პროპაგანდისტებს მოკლედ ასე შეიძლება ვუპასუხოთ:

1. XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს, როცა საუბარი იყო «სამუსლიმანო საქართველოს» ავტონომიაზე, მასში იგულისხმებოდა არა მხოლოდ აჭარა, არამედ მთლიანი სამხრეთ საქართველო (ერუშეთი, ტაო, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, ლაზეთის დიდი ნაწილი, მაჭახელი...); **საქართველოს შემადგენლობაში ასეთი მოცულობის ავტონომიას მე დღესვე დავთანხმდები.** აქვე აღვნიშნავ, რომ აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა 17 საუკუნის მანძილზე ქრისტიანი იყო და არის დღესაც; შესაბამისად, აჭარის ავტონომიის არსებობის გამართლება რელიგიური ნიშნით ისეთივე ულოგიკოა, როგორც, მაგ., ქუთაისსა თუ თბილისში რომელიმე ახალგააქტიურებული კონფესიის მიხედვით ავტონომიის შექმნა; მთავარია, რომ საქართველოში, შესაბამისად, აჭარაშიც, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებაა.

შენიშვნა: 1920 წლის საქართველოს მთავრობის დიპლომატიისა და ქართული შეიარაღებული ძალების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან საკმაოდ სწრაფად აღდგა თითქმის იმავე სახით, როგორიც პირველ მსოფლიო ომამდე იყო: 1920 წლის ივლისში, როცა **აჭარა და ბათუმის ოლქი ართვინითურთ დავიბრუნეთ,** ქვეყნის ხელისუფლების კონტროლირებულმა სახელმწიფო ტერიტორიის ფართობმა თითქმის ქართველთა ისტორიული საცხოვრისის საზღვრებს მიაღწია (ეს იყო უდიდესი მიღწევა XIV საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ, როცა გიორგი ბრწყინვალემ საქართველო კვლავ გააერთიანა (http://consulate-georgia.org/?p=8794).

2. ცნობილი ფაქტია: აჭარის ავტონომიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა **საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და საქართველოს მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ** 1921 წლის 9-16 მარტს მოსკოვში თურქეთისა და რუსეთის ახალი მთავრობების ანტიქართული შეთანხმებით. ამ დროს, ჯერ კიდევ საქართველოში ფუნქციონირებდა ნ. ჟორდანიას კანონიერი ხელისუფლება.

საქართველოდან ნ. ჟორდანიას მთავრობის იარაღის გზით განდევნის შემდეგ, დაპყრობილ საქართველოში ბოლშევიკურმა რუსეთმა ძალაუფლება გადასცა ორჯონიკიძე-მახარაძის ხუნტას, რომელსაც, რუსეთ-თურქეთის გარიგების მე-15 მუხლის შესაბამისად, მაღლევე (13.10.1921) ყარსში დაადასტურებინა მოსკოვის 1921 წლის მარტის ანტიქართული რუსულ-თურქული გარიგება საქართველოს წინააღმდეგ (რომელიც ითვალისწინებდა ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის უდიდესი ნაწილის აღიარებას თურქეთის შემადგენლობაში, ბათუმისა და მისი მიმდებარე მიწების ავტონომიას და ბათუმის პორტო-ფრანკოდ ქცევას).

საქართველოს, არც ერთ კანონიერ ხელისუფლებას ლეგიტიმურად არ უცვნია, არც მოსკოვის რუსეთ-თურქეთის «მეგობრობის ხელშეკრულება» და არც მოსკოვის ხელშეკრულების ყარსის ასლი.

აქვე დავძენ:

დღეს მთელი მსოფლიოც და საქართველოს პოლიტიკური ელიტის ყველა წარმომადგენელიც აღიარებს, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება კანონიერად არსებობდა თავისი არჩევის ვადის შესაბამისად — 1995 წლამდე (ამ ხელისუფლებას დევნილობაშიც არ შეუწყვეტია ფუნქციონირება!).

რუსეთის მიერ (დასავლეთის გარკვეული წრეების სანქციით!) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და შევარდნაძე-სიგუა-კიტოვანის კლანისთვის ძალაუფლების ჩაბარების შემდეგ **შევარდნაძის არალეგიტიმურმა დე ფაქტო მთავრობამ** 1992 წელს «აღიარა» **მოსკოვ-ყარსის ხელშეკრულება** (იხ., ე. შევარდნაძისა და ს. დემირელის მიერ ხელმოწერილი «ჩარჩო ხელშეკრულება»; ძალაშია 1993 წლის 25 მარტიდან; რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 1998 წ. 13 მარტს; რეგისტრაციის ნომერი: 430.003.000.132). ექსპერტთა შეფასებით, 1992 წელს საქართველოს სახელით →

← თურქეთთან გაფორმებულ «მეგობრობის, კეთილმეზობლობის ხელშეკრულებაში» **ყარსის ხელშეკრულება ნახსენებია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთ-საქართველოს საზღვართან დაკავშირებით;** იხ., მაგ., საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის **— კახა სიხარულიძის** მოსაზრება: «მხარეებისთვის მოქმედებს შეთანხმების ის მუხლები, რომლებიც ეხება მხოლოდ სასაზღვრო საკითხებს» (http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1534244.html).

ვფიქრობ, მკითხველისთვის ზედმეტი განმარტების გარეშეც ნათელია, რომ ყარსის ხელშეკრულება არასოდეს დაუდასტურებია საქართველს კანონიერ ხელისუფლებას; ასევე, ეს დოკუმენტი დღეს დე იურე არ ავალდებულებს საქართველოს შეინარჩუნოს ქართველთა ავტონომია.

3. არც ერთი საფუძვლით, არც რუსეთსა და არც თურქეთს იურიდიული უფლება არა აქვთ ჩაერიონ საქართველოს შიდა საქმეებში ან პრეტენზია იქონიონ საქართველოს ისტორიულ ნაწილზე — აჭარაზე (საქართველოს მეზობელ თუ დამეზობლებულ სახელმწიფოებს ისედაც ბევრი ისტორიული ქართული მიწა-წყალი აქვთ მითვისებული). ოფიციალურადაც ბევრჯერ გაცხადებულა: **საქართველოსადმი კეთილმეზობლურად განწყობილი თურქეთი აჭარისა თუ საქართველოს სხვა მხარეებთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს საშინაო საქმედ მიიჩნევს.**

აქვე აღვნიშნავ: მრავალი უცხოური თუ ქართული წყარო ცხადჰყოფს, რომ ოდითგანვე აჭარა იყო საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური რეგიონი და ქართველთა საცხოვრისი; შდრ.: დასავლეთ საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო სულ მცირე — ტრაპიზონამდე, ჩრდილოეთი საზღვარი კი — ძველ-ლაზიკამდე — ნიკოფსიამდე (Nikofsis; ამჟამინდელი ქალაქი ტუაფსე). საქართველოს, არც ერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ეს მიწები არ გადაუცია სხვა ხალხების მიერ დაფუძნებული სახელმწიფოსათვის.

დღეს ჩვენ არ ვაყენებთ ტაო-კლარჯეთის რეალური ისტორიის შესაბამისად პოლიტიკური საზღვრების გადასინჯვის საკითხს (თუმცა, აუცილებელია, ამ კუთხეების ავტოქთონი ქართველების ენობრივ-კულტურული უფლებების დაცვა); **ვაცნობიერებთ, რომ ამგვარი პრეტენზიები დიდ საფრთხეს შეუქმნის თურქეთს,** შესაბამისად, არც თურქეთი უნდა იყოს იმაზე ორიენტირებული, რომ აჭარის უკანონო ავტონომიის თემის ლობირებით გაღიზიანება გამოიწვიოს მისდამი კეთილგანწყობილ საქართველოში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთი ეპიზოდი:

1991 წელს აჭარის უკანონო ავტონომიის ბედი იოლად წყდებოდა აჭარაში რეფერენდუმის ორგანიზებით; რეფერენდუმის ჩატარებას მხარს უჭერდა აჭარის მოსახლეობაც და აჭარის რაიონების ახალდანიშნული ხელმძღვანელებიც. სამწუხაროდ, რეფერენდუმის ჩატარებას ხელი შეუშალა **მოსკოვიდან (და არა — თურქეთიდან!)** მართულმა ასლან აბაშიძის კლანმა, რომელსაც ლობისტები ჰყავდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაშიც; კრემლმა ამ ჯგუფის ხელშეწყობით დაამხო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაც (ამ და კრემლის მხარდამჭერმა სხვა ჯგუფებმა მოდერნიზებული იმპერიის ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღეს ძალაუფლება; ე.წ. პრივატიზაცია-პრიხვატიზაციის პერიოდში მათ განახორციელეს მთავარი მიზანი — მიითვისეს დიდძალი ქონება).

შენიშვნა: სამწუხაროა, რომ ეს მოვლენები დღემდე სამართლებრივად არაა შეფასებული; მიმაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო მანამ არ დაადგება აღმშენებლობის ბუნებრივ გზას, სანამ სამართლებრივად არ იქნება შეფასებული მოვლენები, რომელიც განვითარდა საქართველოში 1991 წლის მაისიდან ბოლო «რევოლუციებამდე»).

4. აჭარის ავტონომიის თემით დღემდე მხოლოდ ჩრდილოელი მეზობელი მანიპილირებდა; ასევე, ეს თემა გულწრფელად აწუხებთ იმ დასავლეთელ მეგობრებს, რომელთაც **საბჭოური პროპაგანდის ინერციის გამო დღემდე ვერ გაიგეს, რომ აჭარელი, მეგრელი, სვანი, იმერელი, მესხი... ეთნიკური ქართველია** და არა — ეთნიკური თუ ენობრივი უმცირესობა საქართველოში.

5. **საქართველო სუვერენული სახელმწიფოა** და სრული უფლება აქვს, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის შესაბამისად ჩამოაყალიბოს მმართველობითი და თვითმმართველობითი სისტემები. ჩემი აზრით, სრულიად ზედმეტია საკუთარი კონსტიტუციის, საკანონმდებლო ორგანოს (აჭარის ავტონომიის უმაღლესი საბჭო), დროშისა და გერბის მქონე ავტონომიური წარმონაქმნის არსებობა აჭარაში, რომლის ავტოქთონ მოსახლეობას მხოლოდ ქართველები წარმოადგენენ (და სადაც მშვიდად ცხოვრობენ ასევე, აქ გვიან დასახლებული: აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები...).

მსჯელობის შემდგომი გავრცობის გარეშე მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი თეზისები:

I. ქართველთა ავტონომია საქართველოში გარედანაა თავსმოხვეული და, **არსობრივად, მსოფლიო პოლიტიკური სივრცის ანომალიას წარმოადგენს.** თვითმმართველობის თვალსაზრისით, აჭარის რაიონები თუ სოფლები ისეთივე «სტატუსით» უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც გურიის, იმერეთის, მესხეთის, კახეთის, სვანეთის, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეების დასახლებული პუნქტები... პირადად მე არა ვარ, არც არჩეული თუ დანიშნული გუბერნატორების, ასევე, არც საქართველოს ისტორიული მხარეების (აჭარა, გურია, მესხეთი...) საზღვრებში ოფიციალური თუ არაოფიციალური ავტონომიების მომხრე.

II. **საქართველო არის დიდი ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ეპიცენტრში** და თუკი საქართველო ცენტრალიზებული სახელმწიფო არ იქნება, უმოკლეს დროში დანაწევრდება **ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშეების** გავლენების ველების შესაბამისად:

კონფედერაციულ თუ ავტონომიებად დეცენტრალიზებულ საქართველოს ძლიერი ქვეყნები დაინაწილებენ.

III. თანამედროვე პირობებში საქართველოს ყველა რაიონში (მათ შორის აჭარის რაიონებშიც) **არჩევითი უნდა იყოს სოფლისა თუ რაიონის გამგებლები,** მაგრამ უნდა შენარჩუნდეს ცენტრალიზებული სასამართლო ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები; ცენტრალური ხელისუფლების დოტაციით უნდა დაიგეგმოს მთიანი რეგიონების სოფლების შენარჩუნება და ა.შ.

ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების დაცვის კონტროლის მიზნით ზოგ განაპირა რეგიონში შეიძლება დაინიშნოს პრეზიდენტის/პრემიერის წარმომადგენელიც (ძალიან მცირე შტატებით).

IV. შევარდნაძისა და არძინბა-კულუმბეკოვის კლანების გამოყენებით რუსეთის იმპერიამ აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში პროვოცირება მოუხდინა პოლიტიკურ კონფლიქტს, რომელშიც ჩაითრიეს ქართველების, აფხაზებისა და ოსების ერთი ნაწილი, მაგრამ ვერ შექმნეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტები. **დღესაც საქართველოს სხვა მხარეებში მშვიდად ცხოვრობს ბევრი ოსი თუ აფხაზი; შესაბამისად, არის დიდი შესაძლებლობა**, რომ მალე აღდგეს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ამ ეთნოსთა ნორმალური თანაცხოვრება. საერთაშორისო თანამეგობრობის ფორმატით (და არა — მხოლოდ რუსულ-ქართული დიალოგით) უნდა ვიზრუნოთ, რომ **აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დაბრუნდნენ საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი დეპორტირებული ქართველები და სხვა ეთნიკური ჯგუფები** (ნახევარ მილიონზე მეტი პირია იძულებით გამოდევნილი ამ ისტორიული ქართული მიწებიდან). დევნილთა დაბრუნების შემდეგ სამივე ეთნოსის უფლებების დაცვის პერსპექტივით საქართველოს სახელმწიფოს ამ ნაწილებში (აფხაზეთსა და ცხივნალის მხარეში) უნდა შეიქმნას მაღალი ხარისხის თვითმმართველობები.

V. აჭარის ქართველობის (ასევე, აქ თუ საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები აფხაზების, ოსების, რუსების, აზერბაიჯანლების, უდების, სომხების...) **ნორმალურად ცხოვრების გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთიანი, ძლიერი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფასეულობებსა და ადამიანთა უფლებებზე რეალურად ორიენტირებული საქართველოს ყველა დონის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები** და არა — კუთხური (არაიშვიათად, კლანურ-ფეოდალური) თვითმმართველობა, მით უმეტეს, ე.წ. საბჭოური ავტონომიური რესპუბლიკის ფორმატით. ქართველთა ისტორიულ საცხოვრისში და ქართულენოვანი მართლმადიდებლობის უპირველეს კერაში — აჭარაში — მცხოვრებ ქართველებს საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში განსაკუთრებული სტატუსი არ ესაჭიროებათ... ავტონომიური თვითმმართველობა უპრიანია, მაგ., ესპანეთსა თუ საფრანგეთში მცხოვრები ავტოქთონი უმცირესობისთვის — ბასკებისთვის; ბასკები უმცირესობას წარმოადგენენ სხვა (არამონათესავე) ეთნოსების დომინანტობით შექმნილ სახელმწიფოებში.

P.S. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან მაღიზიანებდა **ფედერაციული ცნობიერებისა** და **ე.წ. ლიბერტიანული** (სინამდვილეში ფსევდოლიბერალური) **«იდეების» პროპაგანდა,** რომლებიც აქტიურად სტიმულირებულდებოდა პოსტპუტჩისტური ხელისუფლებების დროს; სამაგალითოდ დავასახელებ ტელევიზია „რუსთავი 2“-ის პროექტს: **«ჯეოსტარი»** (სადაც მომღერლებისადმი მხარდაჭერას ითხოვდნენ კუთხეების მიხედვით) და **საზოგადოებრივი მაუწყებლის ფსევდოლიბერალურ** (სინამდვილეში კლანურ) **პოლიტიკას.**

იმედია, საქართველოს ამჟამინდელი და მომავალი ხელისუფლებები აღარ შეასრულებენ მსგავს დაკვეთებს.

ტარიელ ფუტკარაძე

რუსეთის ჟურნალისტების უნიონი და რადიო თავისუფლება რუსული ჯაშუსია

კგბ-ს გენერალი **ოლეგ კალუგინი**

კგბ-ს გენერალ-მაიორი ოლეგ კალუგინი, რომელმაც აირჩია რა პიროვნული თავისუფლება, 1990 წელს გადავიდა აშშ-ში. კგბ-ს (რომელმაც ნაკვალევის შესანიღბად სახელწოდება ფსბ-დ შეიცვალა) ტერორისტული ბანდის მიერ 2002 წელს დაუსწრებლად მიესაჯა 15 წლიანი პატიმრობა გულაგში. კალუგინმა ინტერვიუ მისცა რადიო თავისუფლების RFE/RL ანალიტიკური განყოფილების თანამშრომელ ნიკ კრასტევს ინგლისურ ენაზე (ეს ინტერვიუ რუსულ ენაზე, გასაგები მიზეზების გამო, არ არსებობს), რომელშიც მოუთხრო რუსული შპიონაჟის შესახებ ამერიკაში რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამასახურის (Служба внешней разведки Российской Федерации) საჯაშუშო ქსელის დამსხვრევასთან დაკავშირებით.

შერისხულმა ჩეკისტმა გენერალმა მიუთითა: როცა საბჭოთა კავშირი იმსხვრეოდა, ამერიკაში ჩავარდა რუსეთის ჯაშუშური მოღვაწეობაც. ახლა, დაჩოქილი რუსეთის წამოდგომისას, ეს მოღვაწეობა სრულიად აღსდგა.

რუსეთი პატრიოტული გრძნობებით კვებას საზღვარგარეთ მცხოვრებ მილიონობით რუსს. გრძელდება ფსბ-ს მიერ რუსი ემოგრანტების გადაბირება, რითაც ჩემს დროს 1956-1990 წლებში დაკავებული იყო კგბ. მაშინ ჩვენ ამერიკასა და ევროპაში გვქონდა სოლიდური ადგილობრივი წყაროები, ამიტომ ჩვენ ასე ძლიერად, როგორც პუტინის რუსეთი, ჯაშუშებს ემიგრანტების რიგებიდან არ ვსაჭიროებდით.

„რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია“ ყოველთვის თამაშობდა მნიშვნელოვან როლს რუსეთის ჯაშუშურ საქმიანობაში, დღეს მისი როლი ამ სფეროში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სსრკ სამ სვეტს ეყრდნობოდა:

1. კომუნისტურ პარტიას
2. კგბ
3. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს

თანამედროვე რუსეთი ეყრდნობა ისევ და ისევ სამ სვეტს:

1. კგბ
2. რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას
3. რუსულ ბიზნესს

ჩემი ყოფილი კოლეგები, კგბ-ს ოფიცრები, დღეს ბიზნესით არიან დაკავებულები, რომელიც მდგომარეობს ან ფულის გათეთრებაში ან დაზვერვით ოპერაციებში.

რადიო თავისუფლებაში ინფილტრაცია ყოველთვის იყო კგბ-ს უმთავრესი ამოცანა. კგბ კონტრდაზვერვის განყოფილებაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, იყო სპეციალური ქვეგანყოფილება რუსული ემიგრაციისათვის, პრესისათვის და რადიოსადგურებისათვის.

რამდენადაც რადიო „თავისუფლება“ დასაწყისში ცრუ-ს მიერ ფინანსდებოდა, ის ჩვენი პრიორიტეტული სამიზნე იყო.

ძველი ემიგრანტული გაზეთები და ჟურნალები, აგრეთვე იყო ჩვენი სამიზნეები, მაგრამ მეტნაკლებად. ჩვენ გვყავდა რამოდენიმე ინფორმატორი რადიო თავისუფლების სამსახურში. მათგან უმთავრესი იყო ოლეგ ტუმანოვი — რადიო „თავისუფლების: დირექტორი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია იგი უკვე დღეს მოსკოვში ცხოვრობს.

რუსულიდან თარგმნა
ალ. სანდუხაძემ

შენდობისა და პატიების იმედით!

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II, მიმდინარე წლის 4 იანვარს, დაბადებიდან 80 წლის, ხოლო აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილე შეუსრულდა. მრავალრიცხოვან მილოცვებიდან, ჭეშმარიტად არაორდინალურ „მილოცვად“ გაიჟღერა მწერლისა და პუბლიცისტის მიხეილ ღანიშაშვილის საზოგადოებრივ ქსელში გავრცელებულმა ტკივილიანმა წერილმა პატრიარქისადმი, რომელსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მგმობელი მეტი სუბიექტი აღმოუჩნდა, ვიდრე ობიექტური შემფასებელი. ვბეჭდავთ ბატონ მიხეილ ღანიშაშვილის პოეტურ „ეპისტოლეს“, რომლითაც ღვივის თითქმის მიმქრალ-მინავლებული ქართველი მწერლების პატრიოტული სული დღეს (რედ.).

ამ წერილმა, შეიძლება, ბევრი ვინმე შეაშფოთოს, მაგრამ ის, რასაც ჩემს ადამიანურ სინდისს ვეძახი, უფლებას არ მაძლევს ვდუმდე. საქმე კი, არც მეტი და არც ნაკლები, საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ ილია მეორეს ეხება. მე მას, როგორც ჩვენი წმინდა და სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელს, ცხადია, პატივს ვცემ, მაგრამ მისი პიროვნებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტის მიმართ გარკვეული უნდობლობა და ეჭვები მაქვს. ეს ეჭვები კი, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობეს:

ა) ვერსად მოვიძიე რაიმე უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ 1978 წელს, როდესაც ე. შევარდნაძის ინიციატივით ქართული ენის საკონსტიტუციო დასაჭურისება მზადდებოდა, პირადად ილია მეორეს და წმინდა სინოდს ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ ხმა ამოეღო!

ბ) 1991–92 წლებში, როდესაც ე.წ. ოპოზიცია, რომელიც რეალურად კრიმინალურ–კომუნისტურ დაჯგუფებას წარმოადგენდა და კრემლის მხარდაჭერით სამხედრო გადატრიალებას აწყობდა საქართველოში, სულ ველოდებოდი, რომ კათოლიკოს–პატრიარქი, წმინდა სინოდის წევრებთან ერთად, რუსთაველზე გამოვიდოდა, ჩადგებოდა დაპირისპირებულთა შორის და მოუწოდებდა ამბოხებულებს იარაღის დადებისა და ძმათამკვლელი ომისაგან თავშეკავებისაკენ, მაგრამ ნაცვლად ამისა, მივიღეთ სურათი, როდესაც ქაშუეთის ეკლესიიდან ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ პარლამენტის შენობის მიმართულებით და ზოგიერთი სამღვდელონი პირადადაც კი მონაწილეობდნენ ამ შემზარავ შტურმში!

გ) 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის მსვლელობისას, ან მის შემდეგ, ვერ მოვისმინე ილია მეორისა და წმინდა სინოდის განცხადება, რომელიც ცალსახად დაგმობდა პუტინისტური რუსეთის შემოჭრას, ომის გაჩაღებას ჩვენს ტერიტორიაზე, ქართველთა მასობრივ გენოციდსა და ჩვენი ძირძველი მიწების ასე ცინიკურად მიტაცება–დაპყრობას!

დ) 2012 წლის წინასაარჩევნო და შემდგომ პერიოდში ეკელსიას და სამღვდელოების საკმაოდ დიდ პროცენტს ეჭირა გამოკვეთილად აგრესიული პოზიცია ოპოზიციის მხარდასაჭერად, მრევლს ეკითხებოდა აშკარად პოლიტიკური ქადაგებანი და ამბიონებიდან გაისმოდა მოწოდებებიც კი სახემლმწიფო გადატრიალებისაკენ, თუკი ის ვერ შეძლებდა არჩევნების გზით გამარჯვების მიღწევას!

ე) ყოველთვის გამაღიზიანებლად მოქმედებდა საქართველოს უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობლის მხრიდან ზედმეტად მორჩილი დამოკიდებულება და პატრონ–ყმური ურთიერთობა უაღრესად პოლიტიზირებული რუსული ეკლესიისა და მისი საეჭვო ბიოგრაფიის მქონე მეთაურის მიმართ!

ვ) ყოველთვის შემაშფოთებელი იყო და არის ეკლესიის დამოკიდებულება განსხვავებული კონფესიების, დასავლურ–ცივილიზებული ლიბერალური ღირებულებების მიმართ, რაც საზოგადოებას ფუნდამენტალიზმის მსხვერპლად აქცევს, იწვევს მის იზოლაციონალიზმს, მარგინალიზაციას და წყვეტს ყველა სხვა ადამიანური ვექტორისაგან, რაც რუსული მართლმადიდებლობის თვინიერ მოიაზრება!

ე) საეჭვოდ მოსჩანს ჩვენი ეკლესიებისა და სამღვდელოების ყოვლად შეუფერებელი მატერიალიზაცია, ფულისაკენ, სიმდიდრისაკენ, ფუფუნებისაკენ დაუოკებელი ლტოლვა, რაც სოციალურად გაჭირვებულ მრევლში პროტესტისა და ანტაგონიზმის განცდას ბადებს და აშორებს მას დედა–ეკლესიისაგან!

ზ) დღემდე ვერაფრით დავაჯერე თავი, რომ ზემოჩამოთვლილი მანკიერებანი, რაც, საბოლოო ჯამში, საქვეყნო, ზოგად–ეროვნულ ტრაგედიას წარმოშობს, ეკლესიის საჭეთმპყრობლის ყურსა და თვალს მიღმა ხდება და თუ ხდება, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა ჩვენი ერისა თუ ბერისა და ყოველივე ამაზე პასუხისმგებლად ისევ ილია მეორეს მიმისამართებს გონება!

ამიტომ და კიდევ სხვა მრავალი მსხვილმანი თუ წვრილმანი გარემოებებისა გამოც, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის ყოველდღიურად ვხვდები და ვხედავ, ჩემი დამოკიდებულება ილია მეორის მიმართ ვერ არის იმდენად დადებითი, რომ თავს დამშვიდების უფლება მივცე და არ შევუერთო ჩემი ხმა ადამიანთა იმ წრეს, ვისაც ყოველთვის ფხიზლად უჭირავს თვალი ქვეყნისათვის სასიცოცხლო ბევრ მომენტზე და, მიუხედავად საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან მომდინარე რისხვისა, არ ერიდება სიმართლის თქმასა და მხილებას!

თუ ვცდებოდე იმაში, რასაც ვწერ, შენდობასა და პატიებას ვთხოვ პირველ რიგში, უფალს, მერე თვით უწმინდესსა და უნეტარესს, ხოლო შემდეგ კი შენ, ჩემო მკითხველო, მაქვს რა თქვენი ქრისტიანობის, მორწმუნეობისა და გზააბნეული ცხოვარისათვის სათნო და მშვიდობიანი სიტყვით სწორი გზის ჩვენება–მითითების იმედი!

მიხეილ ღანიშაშვილი

ხმაური და პასუხგაუცემელი კითხვები ბესარიონ გუგუშვილის წიგნის პრეზენტაციაზე

ბესარიონ გუგუშვილის ამ შემზარავი დიზაინის წიგნის განხილვას, ჯერ ვერ შევუდგებით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ერთი ეგზემპლარი ეს-ესაა მოვიპოვეთ და მხოლოდ გულდასმით წაკითხვის შემდგომ გავაკეთებთ ჩვენს პირუთვნელ შეფასებას. დიზაინი კი ავტორისეული უნდა იყოს (წიგნში არ არის მითითებული სხვა დიზაინერ-მხატვარი) და ლაკმუსივით წარმოაჩენს, სწორედ ავტორისეულ ხასიათსა თუ ბუნებას. წიგნის პრეზენტაცია კი მოეწყო ნაციონალური მოძრაობის ლობისტურ მაღაზიათა ქსელ „პარნასის“ ერთ-ერთ ფილიალში. ხოლო, თავად წიგნი, გამოიცა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისა და დეპუტატის ნუგზარ წიკლაურის უნივერსიტეტის გამომცემლობის მუშაკის ლია ბერუაშვილის პატრონაჟით, რისთვისაც წიგნის რედაქტორი იოსებ ღუდუშაური გულითად მადლობას უხდის მას.

წიგნის პრეზენტაციამ, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი საბჭოს ერთადერთი და ნაკლებად ცნობილი დეპუტატი ფირუზ დეკანოიძე, სრულიად ქაოტურ, ხმაურიან ვითარებაში ჩაიარა. დეკანოიძე, შეკითხვის დასვის მოსურნეებს, არ აძლევდა საშუალებას კითხვები დაესვათ ფინეთიდან ჩართულ პრემიერ-მინისტრისა და წიგნის ავტორისათვის. წიგნის მაღაზიის სალონში 20-მდე შეკრებილთაგან მხოლოდ მალხაზ გორგასლიძემ და ვახტანგ ბახტაძემ შეძლეს შეკითხვის დასმა, რასაც ბესარიონ გუგუშვილმა მხოლოდ ჩვეული პირადი შეურაცხყოფებით უპასუხა, რაშიც მხარს უბავდა გუგუშვილის მარიონეტი იოსებ ღუდუშაური, რომელიც ასევე ფინეთშია ემიგრირებული. ბატონ იოსებ ღუდუშაურს, რომელიც ზვიად გამსახურდიას დროს დუშეთის პრეფექტი გახლდათ, Skype-თი საუბრისას, რამდენიმე წლის წინ ასეთი შეკითხვა დავუსვი:

— ბატონი ბესარიონ გუგუშვილი, მიუკერძოებელი გამოძიებით, ზვიადის მკვლელობის შეთქმულების მონაწილე რომ აღმოჩნდეს, თქვენ მაინც გუგუშვილს დაუჭერთ მხარს?

იგი შეკითხვით, თუმცა ძალიან გაღიზიანდა, მაგრამ პასუხი ასეთი გამცა:

– დიახ,მას დავუჭერ!

ამ საუბრიდან რამდენიმე ხანში კი მან Skype -ს სიიდან ამომშალა.

ღვარძლითა და სიძულვილით აღსავსე ამ წიგნში, თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ თავმოყრილია ის ინტერვიუები და მასალები, რასაც ბ.გუგუშვილი წლების განმავლობაში ავრცელებდა პრესაში ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის მტკიცების“ მიმართულებით. წიგნის სათაური — „მკვლელობის დაკვეთა“ -კონსტანტინე გამსახურდიას მისამართით ნასროლი მკვახე სიტყვა უნდა იყოს მისი საპარლამენტო გამოძიების გამო. ისტორიული დანაშაულის გასაბიაბურებლად მან, სწორედ ის უნდა დაწეროსს, რაზეც საკუთარი უსაფრთხოებისათვის შეიპირეს ხუნტის კაცებმა! და ეს მისი ერთადერთი მუშაკობა არ გახლავთ ყალბისმქნელობაში; ბესარიონის მიერ შექმნილი ინტერნეტ გვერდით — „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“, — იგი, არა მარტო საკუთარ ოპონენტებს ესხმის თავს, არამედ ჰყოფნის სინდისი და გამბედაობა, ზვიად გამსახურდიას სახელით ებრძოლოს, დაგესლოს და დაამუნათოს ზვიადის ნაწამები შვილიც. აი, ნიმუში ბატონ ბესარიონის ინტერნეტ-სიყალბიდან:

<u>პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია</u> საყვედური! რა დაგიშავე ცოტნე, რომ ჩემს მიმდევრებს დროში ჩარჩენილებს უწოდებ?! ეს შენ ხარ შვილო მკვდარი პოლიტიკოსების მიმდევარი და არა ისინი, რომლებსაც შენ 20 წლის გარდაცვლილი პოლიტიკოსის მიმდევრები დაარქვი. შვილო, ამით ვითომ დასცინე ჩემი მტრების თვალში?! ღმერთმა შეგინდოს! დაფიქრდი ხოლმე როცა რაიმეს თქმას აპირებ.

ჩვენ იძულებული ვართ აქ შევწყვიტოთ საუბარი წიგნზე. ჩვენი პოლიტიკური შეფასება კი მის პრეზენტაციასთან დაკავშირებით ქვემოთ გამოქვეყნებულ განცხადებაში გამოვხატეთ:

საქართველოს
ზვიად განმათავისუფლებლის პარტია
ZVIAD LIBERATOR'S PARTY OF THE GEORGIA
თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. 8 ტელ: 92 36 35; მობილ: 8 51 92 36 55
TBILISI, 380005, LEONIDZE STR. 8 TEL: 92 36 55; Mobil: 8 51 92 36 55

№_____ _____

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის განცხადება

მიმდინარე წლის 26 დეკემბერს დაგეგმილია კანონიერი ეროვნული მთავრობის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ბესარიონ გუგუშვილის წიგნის — „მკვლელობის დაკვეთა“ — პრეზენტაცია. წიგნის სათაურიდან და თავად ბ-ნ გუგუშვილის დღემდე ცნობილი განცხადებების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მის მიერ შედგენილი ზემოხსენებული წიგნი კიდევ ერთი მცდელობაა, ქართველი ერი და საერთაშორისო საზოგადოება „დაარწმუნოს“ ზვიად გამსახურდიას მიერ სიცოცხლის „თვითმკვლელობით“ დასრულებაში, რაც გახლავთ სწორედ გუგუშვილისთვის შეკვეთილი ვერსია იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა ააცილოს ედუარდ შევარდნაძესა და მის ხუნტას ზვიად გამსახურდიას დევნისა და მკვლელობისათვის, ხოლო თავად კი კვლავაც შეინარჩუნოს საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტიები.

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია მოუწოდებს უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს, ნუ მიიღებენ მონაწილეობას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, აწ უკვე სიკვდილის შემდეგაც წარმოებულ შეთქმულებასა და ცილისწამებაში და ბოიკოტი გამოუცხადონ ბ-ნ გუგუშვილის ყვითელი წიგნის პრეზენტაციას!

პარტიის თავმჯდომარე
ლეილა ცომაია
2012 წლის 25 დეკემბერი.

მსხვრევადი აკაკი ბაქრაძე

აკაკი ბაქრაძეს უდიდესი ავტორიტეტი აქვნდა ეროვნული მოძრაობის დროს. მას 90-იანი წლების ილიას უწოდებდნენ. მისი ლექციებისა და მოხსენებების მოსასმენად ხალხი მიიჩქაროდა და ტევა არ იყო. მის სატელევიზიო გამოსვლებს მთელი საქართველო უსმენდა და შემდეგ ბჭობდნენ ამაზე. ბოლოს ისე საჯაყად დაემართა ბაქრაძეს, რომ მტერიც ვერ უზამდა. ქართველთა გულებში აღმართულ დიდების კვარცხლბეკიდან ბაქრაძე გაიპარა. ცხოვრებამ დასცინა მის მედასავლეთეობას და ჩალად აქცია მისგან თქმული სიტყვა. ქართველებს ხელთ შერჩათ ნაერისკაცალი, კომუნისტების ნასახელარი ერთი მობუტბუტე კაცი, ეროვნული მოძრაობის საბოლოო დასამარების მონაწილე, შევარდნაძის მოდასე გურული. ისე ჩავიდა საფლავში ცხოვრებისგან დაძრახული, რომ ერთი არა უთქვამს რა თავისი ძველი სახელის შესაფერი. ერის შუქურად დასახული კაცი, 1992 წლის დამდეგსვე, ჭვარტლიანი კვარის შუქსაც ძლივსღა გამოსცემდა. მისი სახელი გააცამტვერა თბილისის ომის პირველივე დღეებმა. ბაქრაძე ჩაიყლაპა 1992 წლის დასაწყისშივე. ბაქრაძისგან დარჩა ჯაბა იოსელიანის მეგობარი, დაჭიავებული კაცი, რომლის კალამი „ სამოქალაქო ომის“ სისხლშია გასვრილი. მას ერთი არა უთქვამს რა, როცა ზვიადელებს დევნიდნენ, აწამებდნენ, როცა სამეგრელო აიკლეს, შევარდნაძის მეცადინობით ომები განზრახ წააგეს და ათიათასობით ქართველი გაწყდა. ის გაებუტა ჯაბა იოსელიანს და ელდარ შენგელაიამ შეარიგა. ეს თამაზ ჩხენკელისაგან და თავად ჯაბა იოსელიანისგან ვიცი. რაღაც ხუმრობა იწყინა იოსელიანისაგან და ამიტომ გაებუტა. ბაქრაძე არ იყო ის კაცი, რომ იოსელიანისთვის პირში მიეხალა სათქმელი. შევარდნაძის გამხრწნელმა ბატონობამ წარმოაჩინა, რომ ბაქრაძე იყო ჩვარი, რომელსაც თავი აღარსად გამოეყოფოდა. მახსოვს, ტაბლოიდი, A4 ფორმატის გაზეთუკა გამოუშვა უცხო პლანეტელებზე 1993 წელს. დაჩიავებული ბაქრაძე დაიარებოდა შევარდნაძის მოდასეთა შეხვედრებზე, ირეოდა იმ ლიბერტარიზებულ პარტ-ნომენკლატურასა და მას გადაჭდობილ ანტისაბჭოელ დისიდენტებს შორის, რომელსაც ასე უშეღავათოდ ებრძოდა საბჭოთა პერიოდში. ის მოესწრო ინტელიგენციის კლასის დეგრადაციას და ზნედაცემულობას. ბაქრაძეს გაუჭირდა საქართველოს მასშტაბით ამაღლებაც კი. სანამ კომუნისტების დალაგებული იყო ქართლი, მანამ ჩანდა ბაქრაძე ქართველ ერისკაცად. ის იყო თბილისელი გურული და ასეთად დარჩა. არაფერმა ისე ნათლად არ გამოაჩინა ეს, როგორც საბჭოთა სისტემის დამთავრებამ. ბაქრაძე იყო რუსთა მიერ ნათამამები, იოლი ცხოვრებით აცეტებულ თბილისელთა სალონის პოლიტიკური მთქმელი, ოთახის მოუბნარი, რომელიც გარეთ არად ვარგოდა. ბაქრაძეს არ შეეძლო ქართველთა მასის დარაზმვა კი არა, დიდი პოლიტიკური თავყრილობის გაძღოლაც კი. ბაქრაძე მოესწრო საქართველოს გახრწნას შევარდნაძის მიერ. ასეთი ლაპარაკით ერთობოდნენ აქ წლობით, რომ ქართველმა სტალინმა გაყო გერმანია, დიდმა პოლიტიკოსმა, ქართველმა შევარდნაძემ კი გააერთიანა და ამ ქართულ ფენომენს მსოფლიო იცნობს. ან კიდევ ასეთი ნათქვამი: სატანა გამსახურდიამ მამარდაშვილს გული გაუხეთქა. ბაქრაძე იყო ყოველივე ამის შემსწრე. პლურალიზმის გარემოში ჩაყენებული ბაქრაძე აღმოჩნდა ერთი ჩია კაცი, ისეთი უმნეო და გაცრიატებული ვიეთი, რომ არც დაიჯერებდი ამის სახელოვან კრიტიკოსობას კომუნისტების ზეობის ჟამს. 1992 წლის პოლიტიკური კატასტროფის შემდეგ, 1993- 98 წლებში ბაქრაძემ ვერაფერი დაწერა გამოსაჩენი და ქვად დასადები. მან არაფერი თქვა იმაზე, რომ ქართველი ინტელიგენციის ასეთმა საარაკო არაკაცობამ გაამართლა ბოლშევიკური რეპრესიები და არარად აქცია ამ რეპრესიების გამო ცრუ ჭირისუფალთა მიერ გაზეთებსა და წიგნებში ატეხილი ვაი-უშველებელი. ბაქრაძემ ხმა ვერ ამოიღო იმაზე, რომ დასავლეთმა მოიტანა ნეოკოლონიალიზმი და ლიბერტარიზმი. არც იცოდა რა იყო ეს. იოტისოდენა არა დარჩა რა ეროვნული მოძრაობიდან უკვე 1992 წლის ბოლოსათვის. ეს გააკეთეს თავად ქართველებმა და მასონებს კი დააბრალეს. სიცრუე იყო ამდენი ბიბლიობა. რუსთა მიერ სახრითა და ხიშტით მოკრებილი ქართველი ნაცია ისევ დაიშალა ტომებად. ომები და დაცემა სხვა ხალხებსაც გადაუტანიათ, მაგრამ ისინი შთებიან ნაციებად. მათ საკუთარი ქვეყანა არ გაუძარცვავთ. ქართველნი კი ერთურთის დამძრახველ და დამჩაგრავ ტომებად ჰგიან. საბჭოთა იდეოლოგიის სიცრუე შეცვალა საქართველოს ისტორიის სიცრუემ, როცა გამოდის უამრავი ნაწერი ქვეყნის ფეოდალურ წარსულზე, მეფეებზე, თავადებსა და მღვდელმთავრებზე. ახლანდელი საკითხების, ისტორიის ფილოსოფიის სარბიელზე კი ვერა რა ითქმის. წარსულის ჩხრეკა და მისი სანაქებოდ გამოჩენა არის დღეისობის სიძნელეთაგან თავდასაძვრენი, ლაჩრობისა და ინდიფერენტიზმის, უცოდნელობის მისაჩქმალი ილეთი. ბაქრაძე ყოველივე ამაზე დუმდა. კი იძლეოდა ინტერვიუებს 1992 წლის შემდეგ, მაგრამ სათქმელი მას არ უთქვამს.

ბაქრაძის ერთი-ორი საჯარო გამოსვლა მეც მომისმენია და ვერას ვამბობდი ეჭვსა და უკმარობის განცდაზე. შემოგზავნილსა და პროვოკატორს მეტყოდნენ თავმომწონე თბილისელნი. არც წამოდგომასა და შეკითხვას ჰქონდა აზრი. პოლემიკაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. საყოველთაო მონაჩმახმა ევროპულ საქართველოსა და ოდითგანვე მის ევროპისკენ სწრაფვაზე ცნობა მოუწამლა ქართველობას. ამაში კი ნამეტურ ბაქრაძეს მიუძღვის დიდი წვლილი. მკვახე შეძახილი თავად ბაქრაძეს ეკუთვნის და აი რატომ:

„ქართული მწერლობის“ 30-ტომეულის მეხუთე ტომს (გამომც. „ნაკადული“, თბ. 1988), წამძღვარებული აქვს აკაკი ბაქრაძის წინასიტყვაობა (გვ. 5-30). ეს არის ყოვლად აფრაკული მსჯელობა მსოფლიო ისტორიის უცოდნელი ბაქრაძისა. მან იცოდა საქართველოს ისტორია და ეს შეეწია სახელის მოპოვებაში. საქართველოს იქით რა იყო, ბაქრაძე ამაში ვერ გაერკვა ცხოვრების ბოლომდე. აი ეს წინასიტყვაობა რომ არ დაებეჭდათ კომუნისტ ცენზორებს, მერე ამაზე დადგებოდა მიეთმოეთი, რომ აგერ, ბაქრაძეს არ დაუბეჭდეს ეროვნული სულით აღბეჭდილი ტექსტი და მისთანანი. ამ წინასიტყვაობას დამწუხრებული სახეებითა და ოხრვით კითხულობდნენ ქართველნი და ისე არჩევდნენ მას, ვითომც დიდი ნააზრევი ყოფილიყოს. ეროვნული მოძრაობა იწყებოდა იმ 1988 წელში და ყოველი ასეთი ნაწერი, რაც ქართველთა თავმოთნეობას აამებდა, რომ ისინი ევროპელები იყვნენ, ხელიდან ხელში გადადიოდა. ამათი წიგნების მიხედვით რომ განსაჯო, ყველა ჭკვიანია, მთელი საქართველო კი მუდამ მოღორებულია.

ამ წინასიტყვაობაში ბაქრაძე ამბობს, რომ იოანე მთაწმიდელი ესპანეთს აპირებდა გამგზავრებას. იმპერატორებმა ბასილმა და კონსტანტინემ არ გაუშვესო (გვ. 13). ჯერ ერთი ბაქრაძემ უნდა მიუთითოს რომელ კონსტანტინეზეა ლაპარაკი, რადგან ამ სახელით რამდენიმე ბასილევსი იყო ბიზანტიაში. ასევე უნდა მიუთითოს იოანე მთაწმიდელის ცხოვრების წლები. რა, ეგრე ახსოვთ ქართველებს თავისი ძველანი, რომ მარტოღა ახსენე ვიეთი წინაპართაგანი და უკვე უწყიან ვინ, როგორ? ბასილევსის ტახტზე ყოფნის ჟამის გარკვევაზე მეტად კი იოანე მთაწმიდელის ესპანეთს ზიდილია გასარკვევი. პრინციპულ საკითხზე ლაპარაკობს ბაქრაძე და ზუსტი უნდა იყოს საკითხის გადმოცემაში. ვთქვათ, წასულიყო ექვთიმე მთაწმიდელის მამა, ბერი იოანე (ერისკაცობაში ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი), (მიახლ. 920-1005) ესპანეთს და იქაურებს შეხვედროდა. მერე? რა იყო ესპანეთი და მთელი ევროპა ან X, ან XI-XV საუკუნეებში? ვთქვათ, ესპანეთის ევროპული იმპერიის ზეობისას (XVI-XVII საუკუნეები) ვინმე ქართველი ჩასულიყო იქ და ეთქვა, რომ ის ესპანელთა ნათესავია და კავკასიის იბერიიდან სამხვეწრად მოვიდა. არა, ხომ იარა ევროპაში იმ თარსიან 1700-იან წლებში სულხან-საბა ორბელიანმა და რა ჩიტი დაიჭირა? არვინ უგდო ყური და წამოვიდა გაწბილებული. მაშინ ესპანეთის იმპერია კიდევ მძლავრობდა. ხომ შეიტყვეს ესპანელებმა, რომ კავკასიის იბერიიდან ელჩი დადიოდა ევროპაში და მერე? ბაქრაძე არ აყენებს ამ საკითხს, ამაზე არაფერს იტყვის. მისი ეს წინასიტყვაობა ამ წლებში დაიწერა, როცა ერთი ამბავი იდგა ესპანეთის იბერიელებთან ნათესაობის გამო. რუსების ჯიბრში დგომით დაწერა ეს საცოდაობა და იდიოტობა ბაქრაძემ. მისმა დათესილმა ღვარძლმა ნაყოფი მაღე გამოიღო. ეს ნაყოფი კი ისაა, რომ წიგნიერმა ქართველებმა აიკვიატეს ბიზანტიზმის დამღუპველობა საქართველოსათვის და დაიჯერეს, რომ ბიზანტია ხელს უშლიდა საქართველოს ევროპისკენ სწრაფვაში. პოლიტიკურ ფეტიშად იქცა ქართველთა შორის ეს ევროპა.

აკაკი ბაქრაძემ განამტკიცა ქართველთა შორის ილუზია, რომ რუსი ეგრე არ მეგობრობდა ქართველს, როგორც მასთან დასავლელი კაცი იმეგობრებდა. დრომ კი ის დასტურჰყო, რომ ქართველი მარტოა. დასავლელი კაცი არაა მისი მეგობარი და ახლა ქართველს რუსის მეგობრობაც სანატრი გაუხდა. მოიჭამა და სამუდამოდ განქარდა ეს პოლიტიკური ლეგენდა საქართველოს ევროპასთან ნათესაობაზე. დღეს თუ კიდევ ვინმე ამის მტკიცებას ძველებურად ცდილობს, ან იდიოტია, ან ცრუპენტელა. გაატიალა ქართლი ხიმანკალი კაცების ამ რიოშმა ზნეობრივმა რადიკალიზმმა. ვთქვათ, ევლოთ ბაგრატიონთა მახვეწარებს ევროპაში XVII საუკუნეში, როგორც მათ რუსეთში უვლიათ. აქ რომ მოვიდოდა ევროპელი, ეგრევე კათოლიკურად მონათლვას მოითხოვდა და გეტყოდა: ევროპელი თუ ხარ, ევროპელები კათოლიკენი არიან. იეზუიტთა ორდენიდან მოვიდოდნენ ქართლში და სულ რუსეთის წინააღმდეგ ზაკვა და ღალვა იქნებოდა. ასე იყო პოლონეთში, დასავლეთ უკრაინაში. ან პროტესტანტი მისიონერი მოვიდოდა და ქართველთა ტომების ნაწილი კათოლიკე იქნებოდა, ნაწილი კი პროტესტანტი. არ იზრუნებდა ევროპელი იმაზე, რომ საქართველოს ტომები ნაციად გარდაექმნა. ვთქვათ, ევროპელები აქ მოსულიყვნენ XIX საუკუნეში და გადანათლვას ეგრე აღარ მოითხოვდნენ, რადგან რევოლუციური ეპოქა იყო დაწყებული, მაგრამ კოლონიალისტური რეჟიმი დამყარდებოდა. იმ ევროპელმა ჩინეთისა და ინდოეთის კულტურები არ ითნო. შევიდა და ტყავი გააძრო ჩინელსაც და ინდოელსაც. ევროპელი იმ ქვეყნებში იყო მძარცველი და მჟლეტელი. სულ არა წაგიკითხავს რა კოლონიალიზმის ისტორიიდან? თუ გგონია, რომ შენი სვეტიცხოველი და ძველი ხელნაწერები მას გულს აუჩუყებდა და შეგეამხანაგებოდა, ბრიყვი ხარ. ევროპელი კოლონიალისტები არ მოშლიდნენ ბაგრატიონთა მეფობას, მაგრამ სამეფო კარს ყმად დაიყენებდნენ. ისინი დატოვებდნენ იმერეთის ტახტს, კახეთის ტახტს და ქართლის ტახტს. ბრიტანელები უფრორე გაამიზეზებდნენ სამი ტახტის ერთურთისგან განკერძოებას. ამის შემდეგ ქართველს ცალკე თავისი ტომების მოკრება და ნაციად ჩამოყალიბება ექნებოდა სადარდებელი, ცალკე კომპრადორული არისტოკრატიისა და მეფის ტახტის დამხობა საქართველოს მხარეებში, ცალკე კიდევ ეროვნული ანტიკოლონიალისტური მოძრაობის ორგანიზება. ამისი თავი ვინმეს ჰქონდა ქართველთა შორის? რუსებმა ფეოდალიზმის დროში ჩამყაყებულ საქართველოს ისტორიული ნახტომი აქნევინეს. ჯერ ერთი, მათ ძალით გააერთიანეს საქართველოს ტომები, მეორეც ის, რომ მეფის ტახტის გაუქმებით, ქართველს თავიდან ააცილეს ანტიმონარქიზმისა და მეფესთან ხანგრძლივი ბრძოლის აუცილებლობა, რაც იყო ყველა ევროპულ და ევროპეისტულ ქვეყანაში. ეგრე არაა, რომ შენ ევროპეიზმი გინდა და ანტიმონარქიზმი და ათეიზმი კი არ გინდა. ევროპეიზმის ფუძე იყო ორი საუკუნის წინ ათეიზმი და მონარქომაქია. ევროპელები აქ რომ ყოფილიყვნენ, მერე ილია და აკაკი ბაგრატიონთა მოსაყივნელ წიგნებს დასწერდნენ და ტახტის დამხობას ამოიჭრიდნენ გულში ყველა მათი მოდასენი. უამრავი ანტიკლერიკალური წიგნი დაიწერებოდა. ამის გარდა, გაჩნდებოდა რუსული ორიენტაციის ქართველთა დასი, რომელიც საქართველოდან ევროპელთა ფეხის ამოკვეთას დაისახავდა მიზნად. იქნებოდა წვრილი ომები და მუდმივი კონფრონტაცია პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. თუ ჟორდანიას დროს ქართლში არ შემოვიდოდა ბოლშევიკი რუსი, ის უთუოდ შემოვიდოდა ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ. ჟორდანიას პოლიტიკას მიუძღვის ბრალი იმაში, რომ აქ წითელი არმია შემოვიდა. ნუ აბოგინებ აქ რუსეთის მომტერე ევროპელ კოლონიალისტთა ჯარებს. ხომ თავზე დაგეცა ეს დამოუკიდებლობა? გაჩერდი და შეიფერე, ნუღა მტრობ რუსეთს, ნუ ბუქნავ სხვის დაკრულზე. ბრიტანეთი ღამობდა საქართველოს თავის კოლონიად და რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ პლაცდარმად ქცევას. ამას რუსი არ მოითმენდა. ჟორდანია რომ არ აჰყოლოდა ბრიტანელების წაქეზებას რუსეთის წინააღმდეგ, არ იქნებოდა 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაცია და გაქცევა საქართველოს ფარგლებს გარეთ ნოე ჟორდანიას მთავრობისა. ტყუილია ეს დაუსრულებელი კრუსუნი რუსთა მიერ ბაგრატიონთა ტახტის მოშლაზე და ქადილი მის აღდგენაზე. ამას იზამდა ცუდი ისტორიკოსი, შევარდნაძის მოდასე გურული, ფეთიანი ღევან სანიკიძე. ისტორიკოსი მამა-შვილი, ღევან და გუბაზ სანიკიძეები იყვნენ შევარდნაძეები ქართულ ისტორიოგრაფიაში. არა, ტახტი გენატრება, მეფე გინდა? წლობით ამაზე უბნობ? ჰოდა, აღადგინე ეს ტახტი, თუ ამისი თავი გაქვს. ახლა ხომ თავისუფალი ხარ და არვინ გიშლის ხელს. რა არის ამდენი წელი ლაპარაკი საქართველოს უგვირგვინო მეფეზე, ერეკლე II-ს ძეთაგანზე ალექსანდრე ბატონიშვილზე ? თავისი ძმებიც არ ედგნენ მას გვერდით. ეს ერთი იბრძოდა თავგამეტებით რუსთა წინააღმდეგ მთელი თავისი ცხოვრება. ერეკლეს ერთი დუჟინი ვაჟებიდან ერთი ალექსანდრე იყო რუსეთის თავგანწირული მტერი, მაგრამ პოლიტიკური სპეკულაციისათვის მისი სახელის გამოყენება ახლანდელ მედასავლეთეთა მიერ, მასზე დაშაქრული წიგნების წერა არაა სწორი. რუსების ჯიბრით ლაყბობენ ამდენს მეფის მოყვანაზე ქართველები. ისევ იმ ესპანეთის ბაგრატიონებისკენ იშვერენ თითს. თავადაც არ იციან, რა უნდათ, რა ალაპარაკებთ. სულ ასე როგორ არის? არა, არაა ქართველი ეს ესპანელი ბაგრატიონი, მიუხედავად იმისა, რომ ქართულად უბნობს. არაა ამ ბედშავი ქვეყნის ჭირისუფალი ეს ხორხე ბაგრატიონი და მოეშვი მის ხსენებას. აქეთ გამომხედავი არაა ის და მისი ჯალაბობა. ტურისტადაც არ ჩამოდის ქართლში. სხვა რაღა გინდა?

შემდეგ ბაქრაძე ამ თავის წინასიტყვაობაში წერს: „საქართველო ევროპისაკენ გაპარვას ცდილობდა. ბიზანტია უკეტავდა კარს“ (გვ. 13). აქვე ისიცაა მის მიერ თქმული, რომ გიორგი მთაწმიდელი კათოლიციზმის უკეთესობასაც აღიარებდა იმპერატორ კონსტანტინე X დუკასთან საუბარში.

თუ ეს სადღაც წერია ძველ ხელნაწერებში, ის მაინც არ გამოდგება იმ მიზნისათვის, რასაც ბაქრაძე ისახავს. გიორგი მთაწმიდელი თუ კათოლიციზმის უკეთესობას აღიარებდა თვით ბიზანტიის ბასილევსთან, კონსტანტინე X დუკასთან (1059-67) საუბარში, მაშინ ტყუილია ყოველივე ის, რაც გიორგი მთაწმიდელზე (1009-

გაგრძელება გვ. 9

ნაბოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახს 130 000 ლარი გადაეცემა

საქართველოს ახალი მთავრობის ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის 21 იანვრის განცხადებით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოჯახს, 2002 წელს მიღებული კანონის გათვალისწინებით, 130 000 ლარი გადაერიცხება. მისივე თქმით, ეს თანხა 2003 წლის ბიუჯეტში იყო გაწერილი, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო ვერ მოხერხდა მისი გადახდა. 2012 წლის დეკემბერში, ძალგატონ მანანა არჩვაძე- გამსახურდიამ ფინანსთა სამინისტროს მოგვმართა განცხადებით კუთვნილი თანხის გადაცემასთან დაკავშირებით. 2013 წლის ბიუჯეტში ჩვენ შევიტანეთ აღნიშნული დავალიანება და ახლა საშუალება გვაქვს გავცეთ იგი — განაცხადა ხადურმა.

გვერდით ვაქვეყნებთ 2002 წელს ე. შევარდნაძის მიერ მიღებულ კანონს, რომლის საფუძველზეც მხოლოდ 11 წლის შემდგომ ხდება მისი რეალური აღსრულება პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 78, კვირა, 31 მარტი, 2002 წელი.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 139

2002 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის წევრთა სოციალური და სხვა გარანტიებით უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის წევრთა უშიშროების სათანადო სტანდარტებით, ცხოვრებისა და საქმიანობის ღირსეული პირობებით უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ა. გამყრელიძე) სამ თვეში უზრუნველყოს „საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება და საქართველოს მთავრობის სხდომაზე წარმოდგენა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად დაადგინოს და უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლისათვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, სახელმწიფოს ხარჯზე, აგარაკით სარგებლობისა და სამსახურებრივი ტრანსპორტით მომსახურების უფლებით, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს დაუწესოს ყოველთვიური სოციალური გასაცემელი, რომლის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პრეზიდენტისათვის დადგენილ თანამდებობრივ სარგოს;

ბ) უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლის უფასო სამედიცინო მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს უფლება ეძლევა ისარგებლოს:

ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პერსონალური სახელმწიფო დაცვით;

ბ) საქართველოს აეროპორტის სამთავრობო გასასვლელით (**vip–2**) სახელმწიფოს ხარჯზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს ეძლევა დიპლომატიური პასპორტი, რომლითაც სარგებლობის უფლება მას უნარჩუნდება სიცოცხლის ბოლომდე.

6. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული გარანტიების გარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას ოჯახის წევრებს საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დაუწესდეთ სხვა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებიც.

7. ეთხოვოს ქ. თბილისის მერიას კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს ქ. თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხი.

8. საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრომ (მ.ჩხენკელი) ორ თვეში წარმოადგინოს წინადადებები ქ. თბილისში განთავსებული „კოლხური კოშკის“ საპროექტო და აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შესახებ.

9. 2002 წელს ამ ბრძანებულების შესასრულებლად საჭირო ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან.

10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ ბრძანებულების შესასრულებლად საჭირო ხარჯები ცალკე მუხლად გაითვალისწინოს საქართველოს 2003 და მომდევნო წლების სახელმწიფო ბიუჯეტების კანონპროექტებში.

11. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ (მ. აღეიშვილი), სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა (ს. პაპაშვილი), სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა (ი.ანდრიაძე) უზრუნველყონ ამ ბრძანებულების მოთხოვნების შესასრულებლად სათანადო ღონისძიებათა დროულად განხორციელება.

12. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ა. ჯორბენაძემ.

ედუარდ შევარდნაძე.

მოსახლეობამ სტალინის აღდგენილი ძეგლების შეღებვა დაიწყო

სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გორსა და საქართველოს თითო-ოროლა სოფელში შემორჩენილი სტალინის ძეგლების სამართლიანი დემონტაჟის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის პრო-რუსული ორიენტაციის იმედად, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანისა და თელავის რაიონის სოფელ აკურას მაცხოვრებელთა ჯგუფმა თავიანთ სოფლებში, სტალინის დაბადების დღესთან დაკავშირებით, თვითნებურად აღადგინეს სტალინის ძეგლები, ხოლო გორში გამოჩნდა ინიციატორთა ჯგუფი, რომლებმაც ასეულობით ხელმომწერის პეტიცია შეიტანეს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სტალინის ძეგლის აღდგენის მოთხონვით, თუმცა მოთხოვნა დღემდე არ დაკმაყოფილებულა. ამასობაში კი, ალვანის მოსახლეობის ჯანსაღმა ნაწილმა, მათი ოჯახების ამომწყვეტის ძეგლის ხელახლა წამოჭიმვის გამო პროტესტის ნიშნად, 18 იანვარს ძეგლი წითელი საღებავით დაფერეს. სავარაუდოდ, იგივე ბედი ელის სოფელ აკურაშიც თითო-ოროლა რეტროგრადის თვითნებობით წამოჭიმულ ძეგლსაც.

მსხვრეული აკაკი ბაქრაძე

დასაწყისი გვ. 7

1065), როგორც რჯულის ბურჯზე თქმულა. ეს ცნობა ან ნარიოშალია, ან რომელიმე ბერმა ბრიყვულად დაწერა. კაცი რომ საეკლესიო მოღვაწე და ბერია, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველივე მისგან ან მასზე თქმული საჭეშმარიტოა და მოსაწოდებლად ღირს. ბაქრაძის ნათქვამით ასე გამოვიდა, რომ ბიზანტიაში სახელშეძენილ ქართველ მამებს – იოანე და გიორგი მთაწმიდელებს გაპარვა სურდათ. ისინი აფერისტებად გამოვიდნენ ბაქრაძის ნახლართ წინასიტყვაობაში. შეუძლებელია იოანესა და გიორგის არ სცოდნოდათ ქრისტიანული იმპერიალიზმის ნომოსი და ბიზანტიური ოიკუმენის იერარქია, რომელიც თვით ქრისტეს ავტორიტეტითაა განმტკიცებული. საქართველო შედიოდა ამ ოიკუმენაში, როგორც ერთ-ერთი ქვეშევრდომი კონსტანტინოპოლისა. ასე იყო უწინ. სუვერენიტეტის პრინციპი არ არსებობდა იმ სახით, როგორც ეს XIX-XX საუკუნეებში იყო. მხოლოდ ბიზანტიაში კი არა, არამედ კათოლიკურ ევროპაშიც ასე იყო. ამის წინააღმდეგ გამოსვლამ შექმნა პროტესტანტული ერესი და ახალი, სეკულარიზმთან შეთანხმებული საიმპერიო იდეა. არა აქვს ეს გააზრებული ბაქრაძეს და მისი აფრაკული ლაპარაკით ისე გამოდის, რომ იოანე და გიორგი მთაწმიდელების დროსაც იგივე პოლიტიკური პრინციპები იყო, რაც ახლაა. თუ იოანე და გიორგი მთაწმიდელები არ ეთანხმებოდნენ ბიზანტიური ოიკუმენის პრინციპს, მაშინ ერესი დაეწყოთ, როგორც ლუთერმა დაიწყო ევროპაში. გარდა ამისა, არც იოანე მთაწმიდელის, არც გიორგი მთამიწდელის დროს ბიზანტია არ განიცდიდა დაქვეითებას. იყო კრიზისი, მაგრამ სადაც რაღაც არის დადგენილი, სადაც რაღაც არის იერარქიზებული და შკალირებული, კრიზისი იქ ყოველთვისაა. პროტესტანტობა ლუთერის დროსვე განიცდიდა კრიზისს. კრიზისი ყოველთვის არ ნიშნავს დაცემას. იმ ძველ ქართველებს რომ მართლა ნდომოდათ ესპანეთის იბერიაში წასვლა, რამდენჯერმე ჩავიდოდნენ. ევროპაში მოსახვედრი გზები მხოლოდ ბიზანტიაზე არ გადიოდა. ეს კი არა და ქართველი არ ვარგოდა მოგზაურად. დიდი საისტორიო მოვლენები მოხდა იმპერიების შექმნით და ქართველს ყური არ გაუბარტყუნებია. ერთი აღწერილობა არაა, არც არაბეთის, არც მონღოლთა იმპერიის, არც თემურ-ლენგის იმპერიისა ქართულ ენაზედ. ამხელა იმპერიები იყო საქართველოს გვერდით და ქართველმა ვერსად გადგა ფეხი სახილველად. სანამ იტალიელი მოგზაური მარკო პოლო (1254-1324) აზიას მოიხილავდა და აღწერდა თავის წიგნში, მანამ ქართველს უნდა ევლო აზიაში და ცოდნა ეძებნა. ჩადი, ნახე არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი და აღწერილობა დატოვე. ყურის ძირში იყო მთელი აღმოსავლეთი. სანამ თავზე არ დაეცემოდა დიდ ომებში გაძლიერებული დამპყრობელი საქართველოს, მანამ არც უწყოდნენ ქართველებმა რა ხდებოდა აზიის უკიდეგანო ველებზე. ბიზანტიელმა კეისარმა თუ დაუშალა იოანე მთაწმიდელს ესპანეთს წასვლა, ეს არ ნიშნავს, რომ ბიზანტია ხელს უშლიდა საქართველოს ევროპასთან დაახლოებაში. ბაქრაძეს კი სწორედ ეს უნდა ამტკიცოს ერთ და ისიც საეჭველ ცნობაზე დაყრდნობით. შესაძლოა, სადღაც რაღაც საუბარი იყო და ეს ჩაწერეს ქართველმა ბერებმა, მაგრამ ეს ჩანაწერი თაბაუთს დიდს ვერას შვრება საიმისოდ, რისი მტკიცებაც ბაქრაძეს მოუწადინებია.

საშინლად სუსტი ჩანს ამ წინასიტყვაობაში ბაქრაძე და არ ვარგა ის ისტორიკოსად, რაც ყოველ მის აბზაცში დასტურდება. იგი „ბიზანტინიზმის ერთგულებას“ უწოდებს „ძველ შინაგან სენს“, რომელიც საქართველომ ვერ მოიცილა (გვ. 26). აქვე ბაქრაძე იტყვის, რომ ბიზანტიური სენის საშიშროებას ძველად გიორგი მთაწმიდელი და დავით აღმაშენებელი ხედავდნენ, უფრო გვიან — სულხან-საბა ორბელიანი და ახალგაზრდა ანტონ კათალიკოსი, მეცხრამეტე საუკუნეში ნიკო ნიკოლაძე. ან კიდევ ეს: „ევროპისაკენ მიმავალი გზა საქართველოს ისლამმა კი არ გადაუკეტა, არამედ ბიზანტიამ“ (გვ. 29). ვაი ნამსჯელს და ვაი მომსჯელეს!

ბაქრაძე წერს ბიზანტიის ჩამოქვეითებაზე. ბიზანტია კი არა, ქრისტიანობა კვდებოდა აღმოსავლეთში. ასევე დაემართა ქრისტიანობას ევროპაში რენესანსის შემდეგ. ამ რელიგიურმა კრიზისმა გამოიწვია პროტესტანტული ერესი და ერესის ერესები მთელ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. ბიზანტია თუ ქვეითდებოდა, რაც ბაქრაძეს უწერია, ამის მიზეზი რა იყო? ბაქრაძე არას ამბობს ამაზე.

აკაკი ბაქრაძე არას იტყვის იმაზე, რომ ბიზანტია იყო მაშინდელი ქრისტიანული მსოფლიოს კულტურტრეგერი და ფლაგმანი. ევროპა მონათლულ ბარბაროსთა მხარე იყო. ისტორიიდანაა ცნობილი, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ჩანგალი ეშმაკისეულად იყო მიჩნეული, რადგან ბიზანტიიდან შემოტანილი ეს საციქველი ინახობისას ზოგმა ტუჩში შეირჭო, ზოგმა კიდევ ღრძილში. ტლანქი ხელი ჰქონდათ. ეგრევე ეშმაკს დააბრალეს ჩანგლის გამოგონება და საუკუნეები უჩანგლოდ იყვნენ. რამდენი ასეთი სირეგვნე იყო ევროპაში. კატების სახრჩობელები იყო. ეშმაკთან მებრძოლი ბერები კატებს დასდევდნენ და ფიქრობდნენ, რომ ეს ღვთივსათნო საქმეში მიეთვლებოდათ. შეშის ნაპობისგან გამოჩორკნილ თოჯინას ვისაც უპოვიდნენ, კოცონზე წვავდნენ, ვითარც მაჩხიბს. აბანო არ იყო ათეულობით საუკუნე. ექიმი ძლივს სადმე იპოვებოდა. მუსლიმთა ელჩიონი როცა სტუმრობდა რომელიმე ევროპული სასახლის კარს, მის ზინტლიანობას ჰკვირობდა. როგორ ეტყობა ბაქრაძეს, რომ არ წაუკითხავს, თუნდაც ქართული ბიზანტინისტიკის ტექსტები. ბაქრაძემ დაინახა მოსახმარის სიჭრელე, პოლიტიკური იმპროვიზაცია ევროპისა, წოდებული დემოკრატიად და ამით მოხიბლულმა დაჯღაბნა ეს წინასიტყვაობა.

განა დასწერს ვიეთი ისტორიკოსი ბაქრაძის მცირე კრიტიკას მაინც. ბაქრაძის ჟურნალისტური მისტიფიკაცია უკვე დაწყებულია და რა ტყუილები დაიწერება, თქმა აღარ უნდა.

ახლა რამდენიმე სიტყვას ვიტყვი მესიანიზმზე, რომლის გაგებაში ბაქრაძემ თავის ამ წინასიტყვაობაში კვლავ დაადასტურა თავისი უმეცრება. მესიანიზმი ისაა, რომ არსებობს მთელი კორპუსი ტექსტებისა, სადაც საბუთდება, რომ ესა და ეს ქვეყანა არის ღვთის ჭურჭელი.

ასე იყო ბიზანტიაში, ასე იყო ევროპის კათოლიკურ იმპერიაში, ბრიტანეთის იმპერიაში, რუსეთის იმპერიაში. ასე არის აშშ-ს იმპერიაში. ეს არის მესიანიზმის ვლენის უნივერსული წესი. საქართველოში ასე არ ყოფილა. იყო ერთადერთი ტექსტი იოანე-ზოსიმესი. მას ეპიგონებიც არ ჰყოლია. არავინ ქართველ ბერთაგან არ აღიპყრო ეს იდეა და არაფერი დაწერა ამაზე. იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი...“ ეულ ძეგლად დარჩა. სტანდარტული ეგზეგეზაც (საეკლესიო განმარტება) არავინ დაწერა იოანე-ზოსიმეს „ქებაის“ გამო. ქვეყნის საეკლესიო შაბლონებია დაწერილი ძველქართულად, ქართული მესიანიზმის ორიგინალური გააზრება კი ვერვინ შეძლო თვინიერ იოანე-ზოსიმესი. ვერ შეეჭიდნენ ქართველი საეკლესიო მწერლები ამ თემას. ყოვლნი სახელმოპოვებული ქართველი ბერნი მიწყივ ენასა შინა ბუღრობდენ, გარნა ქართული ენის სიდიადე მაინც ვერ იგზნეს. ფრიად მრავალი დაწერეს, გარნა კლებულია ეს ყოველივე, თვითნაბადობა არ უვის. წიგნნი ქართული მესიანისტური სულის აღმაზევებელნი და მამზევებელნი დიდად გვაკლან. ეს დღემდე ასეა. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ქრისტეს დედის კვართი აქ მსვენარებს და რად ვერ შეიქმნა მესიანისტური სწავლება ამის გამო? სულ ვეძებდი ამის პასუხს XV- XVIII საუკუნეების ქართველ მამათა ნაწერებში და ვერსად ვერრას მივაგენი. ბევრი რამ თარგმნეს ექვთიმე მთაწმიდელმა (ათონელმა) (955-1028) და გიორგი მთაწმიდელმა, მაგრამ მათთან არსადაა ქართული მესიანიზმის ხსენებაც კი. მათ უხამდათ ამაზე განწიგნება. ისინი რომ საქართველოს იმპერიის მესიანისტურ ტვირთზე მოფიქრალნი არ იყვნენ, ფრიად მწარე და დასაძმარები მოსასმენია ეს, მაგრამ ამ ფაქტს ვერ აარიდებ თავს. სადღაც კი უწოდა გიორგი მთაწმიდელმა ქართველებს საღმრთო ერი, მაგრამ ეს ოდენ შაბლონური თქმა იყო. დენიზა სუმბაძემ ახლახანს დაწერა წიგნი: „გიორგი მთაწმიდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, 2012. აქ ნაცადია იმ მესიანისტური იდეის განცხოველება, რაიც ზვიად გამსახურდიასგან მოდიოდა.

არც ექვთიმე და არც გიორგი მთაწმიდელები არ ყოფილან ორიგინალური ავტორები და მით უმეტეს ფილოსოფოსები. ისინი უფრო მთარგმნელნი და სხვათა ნაწერების გადმომღებნი იყვნენ, ვიდრე თვითმყოფადი ავტორები. დავითისას მცხოვრებმა, არც იოანე პეტრიწმა, არც არსენ იყალთოელმა არ გამოთქვეს აზრი დავით აღმაშენებლის იმპერიის მესიანისტურ დანიშნულებაზე, რაც დიდად საკვირველია. მათ თვალწინ აღშენდა ქართლი და მორჭმულებით განივსო დავითის მახვილით. მეტად საჭირო იდეური დაფუძნება კი დავითის იმპერიისა არავის გამოუთქვამს. დავითისგან შემორჩა „გალობანი სინანულისანი“, მაგრამ ქართველთა მესიანიზმზე აქ არა თქმულა რა. არც რას მისი ვაჟი ამბობს ამაზე, დიდად კი უხამდა. მომდევნო დროის ბაგრატიონებმა ისე დაივიწყეს დავითი, რომ ვითომ, არც ყოფილა! თუნდაც ერთ ბაგრატიონ მწერალს არ ჰყავს ნახსენებიც კი დავით აღმაშენებელი. რაღაც ლექსებს წერდნენ და ეგ იყო სულ. ასევე იყვნენ მწერი ქართველი თავადებიც, რომელნიც ოდენ სამიჯნურო ლექსებს თხზავდნენ. არვის გახსენებია დიდი წინაპარი დავითი და ნაქნარნი მისნი. თამარ მეფე თავისი თავის სამების მეოთხე წევრად შერაცხვას ითნევდა და ერთი არა დააწერინა რა მან დიდ პაპაზე აზმანი და ისტორიანი.

ნებისმიერი მესიანიზმი ყოველთვის გულისხმობს იმპერიალიზმს. თუ ქართველი ძველად მესიანისტი იყო, შესაბამისად, ის იმპერიალისტიც იყო. ბაქრაძეს ეს არ უნდა რომ იცოდეს. სადაც მესიანიზმზეა საუბარი, მაშასადამე, იმპერიაზეა საუბარი. მესიანიზმი არის რელიგიური სუვერენობა, არის უმაღლესი სახელმწიფოებრიობის იდეა. მესიანიზმი არ ნიშნავს ორიენტაციას სხვაზე. შენდათავად ხარ ორიენტირი სხვებისთვის. ბაქრაძეს რომ ეს სცოდნოდა, თამარ მეფის თურქულ სასულთნოებზე ბრიყვულ ორიენტაციას ქართველთა მესიანიზმს არ უწოდებდა. და კიდევ ერთი: შუა საუკუნეების საქართველოში რომ ევროპელ რეზიდენტებს მოედგათ ფეხი, ისინი არ ითნევდნენ ქართველთა მესიანიზმს და ამოძირკვავდნენ მას. აგერ, გამსახურდიას მესიანისტურ იდეას, რომელიც იოანე-ზოსიმედან ამოდიოდა, რა უყო დასავლეთმა. ამას ბაქრაძე მოესწრო და კრინტი არსად დაუძრავს მის გამო. ბაქრაძეს რომ მესიანიზმისა რაიმე სცოდნოდა, ის შეჩქვიფდებოდა, ელდა ეცემოდა და თავის ამ წინასიტყვაობას გადახედავდა, ახლებურად დასწერდა. ორიენტაციის მეტად საჭირო საკითხს იგი ახლებურად გაიაზრებდა. მან ეს არ გააკეთა იმიტომ, რომ არა ეყურებოდა რა, არც მესიანიზმისა და არც დასავლეთის კოსმოპოლიტიზმისა. მან არ დაინახა ის წინააღმდეგობა, რაც მის ამ ნაწერსა და სინამდვილეს შორის იყო. თუ საქართველო ვერ მივიდა დასავლეთთან, დასავლეთი მოვიდა საქართველოსთან. მოვიდა და დედაც აუტირა. ტიპური ქართველი იყო ბაქრაძე თავისი განსჯით. ის იყო დიდი სივრცის მოშიში, ჰორიზონტის მორიდალი, ბაღბოსტნის სიდიდის ისტორიკოსი.

აი, რას სწერს ბაქრაძე თავის წინასიტყვაობაში: „მესიანისტური იდეა საქართველოს ბიზანტინიზმისაგან თავდასაღწევად სჭირდებოდა“. მისი თქმით, თავის დაღწევა რომ თავის დროზე მომხდარიყო, არც მონღოლთა და არც მისი მომდევნო შემოსევები იქნებოდა ესოდენ მძიმე შედეგიანი საქართველოსთვის (გვ. 29). რა თავისდაღწევაზეა აქ ლაპარაკი ? მონღოლებს მთელი მილეთის დაპყრობა ჰქონდათ გულში ამოჭრილი. მათ რა იმით, საქართველო ბიზანტინიზმისაგან თავდაღწეული დახვდებოდათ თუ არა? რა, აღარ იქნებოდა ომი და საქართველოს დახარკვა? მერე კიდევ: რა მესიანისტური იდეა ჰქონდა საქართველოს, ვითარც ბაქრაძე იმტკიცებდა ? თუ ბიზანტია სუსტდება, შენ გაპარვას კი ნუ ცდილობ, რომ სხვას შეეთბუნო, არამედ გვერდში დაუდექი დასუსტებულს, რადგან რჯული გავალებს ამას. ერთნი ხართ ქრისტეში და მისი იმპერიის მოქალაქეებად ითვლებით. ესაა ცივილიზაციური იდენტურობა. მერე კიდევ: რუსეთი რომ დასუსტდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, შენ კი ნუ დასცინი მას, არამედ წინ აღუდექი მის დასუსტებას, რადგან რუსული ოიკუმენა თუ მოიშალა, საქართველოს თათრის დროზე უარესი რამ მოელის. იმიერ და ამიერ კავკასიის არც ერთი ხალხი ქართველთა მოკავშირე არ იქნება. ყველა დუშმანის თვალით დაუწყებს ცქერას ქართლს. თუ შენ მაინც ნგრევის ჟინი გაგიჟებს, მაშინ რჯული დააგდე და საჭმელის გამო სხვას მიეკედლე. შემდეგ ეს ლამაზი სიტყვებით შემოსე და იყავი ასე. ნუღა ლაპარაკობ ქართველთა კავკასიურ მისიაზე. ნუღა გიდგას ჩმახი, რომ ჭეშმარიტი რჯული მხოლოდ ქართველს უპყრია. ნურც შენ საეკლესიო ჟურნალებში იქადი კონსტანტინოპოლის დაბრუნებას და საამისო ჟამს ნუ ითვლი, რადგან არ ხარ ქრისტესი, არ გაქვს ქრისტიანული იმპერიალიზმის ყადარი თვალის საწიერი. გიორგი მთაწმიდელი და ბიზანტიაში მოღვაწე ყველა სახელშეძენილი ქართველი ბერი გესახელება და გინდა, კონსტანტინოპოლი კი არ გინდა? ასე ვერ იქნება. კონსტანტინოპოლი არის ყოველი ქრისტიანის სულიერი სამშობლო მაშინაც კი, როცა ეს ქალაქი არ არსებობს. ეს ადრეც ვთქვი. კონსტანტინოპოლის პატრიარქია ყოველი ქრისტიანის სულიერი მოძღვარი.

თამარ მეფემ ორიენტაცია აიღო სამცხე-ჯავახეთის მეზობლად მდებარე თურქულ სასულთნოებზე. მან შემოიღო ათაბაგის სახელო. ეს თურქული სიტყვაა. ათაბაგი მეფის შემდეგ მეორე კაცად აქცია თამარმა. არა, ორიენტაციას რომ იღებ თურქულ სამეფოებზე ბი-

გაგრძელება გვ. 12

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ვაჟა ხორნაულის ლექსები

მაძღარი თეიქრის ერთაო

აღარც წინაპრის კალამი
აღარც წინაპრის ხმალია
აღარსად ბერი ლუხუმი
აღარსად მისი ძმანია
პური არ მზისა გემოთი
გაუცინარი წყალია
დავიწყებული ხატები
(მიუსაფრობა ლანდების)
გამკრთალებული კვალია
ღალატის ელვადაკრული
ჩამოგდებული კარია
გაღმა-გამოღმა დარდები
მონატრებული დარია
დაღონებული გუთანი
ბალახიანი ბანია
გადედლებული კაცი და
გამამლებული ქალია
ცხვრისტყავიანი მგლისაგან
ყელგამოჭრილი ხარია
არწივთა შთამომავალი
ბეღურასავით მფრთხალია
ყანაში გალაღებული
ღრიანკალი და კალია
ნაფუძარების ტკივილით
გაოგნებული მთანია
მზერა გზას მიჩერებული
ქვითინით ქსოვა-რთვანია
უსიხარულო საფლავზე
დახავსებული ჯვარია
მტერთან ვერტარიელობა
სიტყვა ავი და მცდარია
ლხინს მიცემული ცოცხალი
ძილგატეხილი მკვდარია.

მამულო ფიქრის ერთაო
მარადიულო სევდაო
შენი ბროლი და ლალია
ქვიშაში მიმობნეულა
ოთხივე მხრიდან შარია
ჩამოშლილია შირიმი
წყაროს ბილიკი მშრალია
კოშკებში შიში შრიალებს
ჩარხი უკუღმა ტრიალებს
დადუმებულა ზარია
მომრავლებულა საცდური
ნატყვიარი და ბზარია
ნაპირებს აღარ მფარველობს
ზეცის ნათლული-ქარია
ვარსკვლავებს ასტკივებია
შენი ცოდვა და ბრალია
ესაა ჩვენი წუხილი
(გულებს გაკრული ბრჭყალია)-
აღარც წინაპრის კალამი
აღარც წინაპრის ხმალია
აღარსად ბერი ლუხუმი
აღარსად მისი ძმანია...

ბედნიერების მწვერვალი
შორი და მიუვალია.

მარადიული ზარიეთ რეკავს

სამყაროს ათბობს და ალამაზებს
მისი სიმღერა თუ მისი სევდა...
სიყვარულისგან დაბრმავებული
ადამიანი ყველაფერს ხედავს.

სულ სხვაა ფერი და სურნელება
მის სინათლეში გაზრდილი ვარდის.
სიყვარულისგან მუხლმოკვეთილი
ადამიანი მწვერვალზე ადის.

ისაა ოქრო ზესკნელ-ქვესკნელის,
ზღაპრის მტრედი და სამოთხის შველი.
სიყვარულისგან ძილგატეხილი
ადამიანი სამყაროს შვენის.

ბედნიერია,ვინც შეიყვარებს,
ვისაც უყვარს და ვისაც უყვარდა.
სიყვარულისგან გზააბნეული
ადამიანი მივა უფალთან.

გებრალებოდეს,ვინც ვერ იგემებს
მისეულ ნექტარს,შხამსა თუ ეკალს.
სიყვარულისგან მოკლული გული.

* * *

და ამჯობინა წვიმას მამონა,
ვენახს-კაზინო და ცას-ბაზარი,
ძმასთან და მტერთან იმაიმუნა,
შეგირდი გახლავთ ნაჯამბაზარის.

პირფერის პოზამ კუზი აჰკიდა
და დაეძებდა იღბალს სად არა.
/ხელს მიშლიდნენო,უკვირს აქედან/,
ისლიკინა და იფარსადანა.

კრულვას უთვლიდა წყეულ მიზეზებს
/და ბოლო ძაფი გაწყდა წარსულთან/
და მარმარილოს ხვეულ კიბეზე
იქედნესავით მაღლა აცურდა.

ფიქრობდა:“ვიცი,აქ ქაჯეთია,
თუ ვინმემ თითი დამიქნიოსო,
საშვს გამოვუწერ ათასბეჭდიანს,
წამში ვანახებ საიქიოსო.“

მოკვდა-ეს ბოლო შენაძენია,
ჩაესმის „განვედ!“ და ხმა არულის,
ძველი ნიღბები ვეღარ შველიან
და ვერც-ფანდები,ფარსადანული.

უკვდავების წყაროსავით

აკიაფდა თვალი მარჯნის,
ისმენ წყაროს ანცობებს.
ჰორიზონტის ყვავილნარში
ვარსკვლავები წანლობენ.

მიწა მწირის ჯვალოსავით
თბილია და უბრალო.
შენ ხარ ჩემი სალოცავი,
იისგულა უფალო.

რა ჩონგური, რის გიტარა
/ხმა გაკმინდეს მერცხლებმა/,-
სიჩუმეა იმისთანა,
გალობისა შეგრცხვება.

სადღაც ცეცხლი მობრიალე,
ხმა სივრცეში გავიდა.
მთვარის ოქრო მოწკრიალებს
ღრუბლის თეთრი ღარიდან.

მიწა მწირის ჯვალოსავით
თბილია და უბრალო.
შენ ხარ ჩემი სალოცავი,
უკვდავების წყაროსავით
გეწაფები,უფალო.
...
რა შეედრება
იმ პოეტის ბედნიერებას,
ქარიშხლები რომ გამოიარა,
უდაბნოებში ნამიანი
კვალი რომ დატოვა
და ბოლოს ერთად გაუჩერდა
გული და კალამი...

და საქართო პატარავდება

დედა შვილს ელაპარაკება -
სიტყვები გულიდან
ისეთი ნათებით ამოდიან,
თითქოს ახალი
ვარსკვლავები იბადებიან
ახალი ცის გასახარებლად.

დედა შვილს ელაპარაკება
და მწვანე ყურმილი
ფერმკრთალი თითების
სევდიან სითბოში
ისე ფეთქავს,
ვით მაჯა შვილისა.

მათ შორის დიდი მანძილია,
ვინ იცის, რამდენჯერ
გადავლილ-გადმოვლილი
მონატრების მზისფერი ბილიკებით.

დედა შვილს ელაპარაკება
და სამყარო პატარავდება
და, სადაცაა, ბუდედ იქცევა
და იმ ბუდეში ორი გული
უკვდავების წყაროსთან ამოსული
ყვავილივით დაიწყებს ფეთქვას.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ლექსები „ქრისტეშობა“ და „ქვაბავაზაკი“ ზვიად გამსახურდიას არ ეკუთვნის!

სანამ უშუალოდ საკითხის არსზე გადავიდოდე მინდა აღვნიშნო, რომ მე, არც ლიტერატურის მკვლევარი გახლავართ და არც ლიტერატურის კრიტიკოსი, უბრალოდ მიყვარს ლიტერატურა და კალამიც თავადაც მომისინჯავს ამ დარგში. ბატონ ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი (პოეზიისადმი) კი ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მოტივირებულია მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის, პოეტური ქმნილებების ჟონგლიორთაგან დაცვით. საზოგადოდ ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიას მტრები და ყალბისმქმნელები, არც სიცოცხლეში აკლდა და არც სიკვდილის შემდგომ აკლია. ჩვენს ამჟამინდელ დავის საგანს კი, ზვიად გამსახურდიას სახელით გავრცელებული რამდენიმე ლექსი წარმოადგენს. ესენია: „ჩემი თაობა“, „ქვაბავაზაკი“ და „ქრისტეშობა“.

როგორც გამავრცელებელთაგან ირკვევა, სამივე ლექსი ზვიადის სიცოცხლეშივე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში, თუმცა უცნობია, იცოდა თუ არა ამ ლექსების შესახებ თავად ზვიადმა. მე, როგორც ზვიადთან მეტ-ნაკლებად დაახლოებულ პირს, ამის შესახებ არაფერი მსმენია მისგან და თავად ჩემთვისაც ამ დრომდე უცნობი იყო პირველი-ორი ლექსის ზვიადისად გავრცელების ფაქტი. ხოლო, რაც შეეხება მესამე ლექსს „ქრისტეშობა“ იგი მეც, ზერელობით, ზვიდისად მიმაჩნდა. რადგან ლექსი, ზვიადის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა ჯემალ დავლიანიძის რედაქტორობით გამომავალ ეროვნული მოძრაობის გაზეთ „საქართველოს სამრეკლო“-ს ბოლო გვერდზე (N 1, 16-23 ნოემბერი, 1996 წელი), რომელიც 07.01.92 წლითაა დათარიღებული და სტამბურ ტექსტს ახლავს ზვიად გამსახურდიას, როგორც ავტორის ფაქსიმილე.

გაზეთის რედაქტორის ჯემალ დავლიანიძის ზეპირი თქმით, ეს ლექსი მას გამოსაქვეყნებლად გადასცა აწ გარდაცვლილმა აკადემიკოსმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა, რომელსაც ბატონი ზვიადის დაკრძალვისას გროზნოდან ჩამოუტანია ხელნაწერის სახით, თუმცა ლექსი ხელმოუწერელი ყოფილა და თავად ტექსტიც არ ყოფილა ზვიად გამსახურდიას ხელნაწერი, მაგრამ რადგან გროზნოდან ჩამოიტანა, ჩაითვალა, რომ ლექსი ზვიდ გამსახურდიას ეკუთვნოდა. ხელნაწერი ვარიანტი კი საბოლოოდ ჩავარდნილა რედაქციის თანამშრომელ ზაურ იობაიას ხელში, რომლიდანაც დაკარგულა, ხოლო მოგვიანებით კი თავად იობაიაც გარდაიცვალა. იობაია საგაზეთო პასუხში რომ, თითქოს, ლექსი „ქრისტეშობა“ მანამდე სხვაგანაც იყო გამოქვეყნებული, უთუოდ გულისხმობს უზენაესი საბჭოს დეპუტატ ზვიად ბოკუჩავას მიერ 1995 წელს გამოცემულ კალენდარს, რომელზედაც გამოქვეყნებული იყო ეს ლექსი დეპუტატ ბეჟან ჯავახიასგან გამოთხოვილი ზვიადის ეკლესიური ფოტოთი.

ბატონი დავლიანიძის თქმით კი, ლექსი, გამოქვეყნებამდე ბატონ მუხრან მაჭავარიანისთვის მიუტანია და მისთვის უკითხავს, შეიძლებოდა თუ არა ეს ლექსი ზვიადის დაწერილი ყოფილიყო, რომლისგანაც ასეთივე სათუო პასუხი მიუღია: „შეიძლება...“ და მხოლოდ მას შემდეგ გადაუწყვეტია მისი გაზეთში დაბეჭდვა. თუ ლექსის განთავსების ადგილის მიხედვით ვიმსჯელებთ (განთავსებულია გაზეთის ბოლო, მერვე გვერდზე), რედაქტორი მთლად დარწმუნებული ვერ უნდა ყოფილიყო ზვიადის ავტორობაში, თორემ უფრო საპატიო ადგილს (წინა გვერდს) მიუჩენდა ლექსს. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და მას მხოლოდ არსებობის უფლება აქვს.

ლექსის გამოქვეყნებისთანავე ჯემალ დავლიანიძეს ცხარე პოლემიკა გაუმართა აწ გარდაცვლილმა მწერალმა ომარ გოჩელაშვილმა, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა ლექსზე ზვიადის ავტორობას (გაზეთები „აღდგომა“ N51(148), 1996 წლის დეკემბერი, სათაურით „პრეზიდენტის დისკრედიტაცია თუ მისი სახელით სპეკულაცია?“, გაზ. „აღდგომა“ N3(156), 1997 წლის იანვარი, სათაურით „საქართველოს სამრეკლო“ სარისხვო ზარს რეკავს“, გაზ. „ოქროს საწმისი“, N19, 1997 წლის, სათაურით „უცილობლობს, ვითა ჯორი“ და სხვ.). ომარ გოჩელაშვილის მოსაზრებას პირად საუბრებში იზიარებდნენ პოეტები ირინე ტალიაშვილი, მზისადარ ნავროზაშვილი და სხვები.

„ქრისტეშობის“ ავტორად, ზვიად გამსახურდიას, საეჭვოდ მიიჩნევს ცნობილი ლიტერატორი და ასევე დეპუტატი მრგვალი მაგიდიდან თემურ ქორიძე და გამოთქვამს სურვილს შეუდგეს ზვიადის პოეზიის კვლევას.

ომარ გოჩელაშვილის პოლემიკას რადიკალურად მწვავე რეაქცია მოჰყვა, როგორც გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“ რედაქციის მხრიდან, ასევე გაზეთის პასუხისმგებელი მდივნის (შემდგომში, ერთ-ერთი რედაქტორი) ზურაბ წულაიას ცალკე წერილით „ჩვენი განმარტება“ (იხ. დასახელებული გაზეთი 23-31 დეკემბერი, N4(34), 1996 წელი, გვ.3). ხოლო ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში ზაურ იობაიამ, სათაურით „ფინაჩი“, პიროვნულად გააცამტვერა ომარ გოჩელაშვილი (იხ. 7-14 იანვარი, 1997 წ. N5(35),გვ.5). თუმცა, მე ვერც გოჩელაშვილის წერილის პათოსს გავიზიარებ, რომ თითქოს „საქართველოს სამრეკლოს“ რედაქციას (ან, თუნდაც, კალენდრის გამომცემელს), ამ ლექსის ზვიადისად გამოქვეყნებით, რაიმე უკეთური მიზანი ამოძრავებდათ (ზვიადის დისკრედიტაცია, მისი სახელით სპეკულირება და სხვ.).

უნდა ითქვას, რომ გოჩელაშვილის პიროვნული გაცამტვერების გარდა, თავად პოლემიკის საგანზე (ლექსზე), გაზეთის რედაქციის მხრიდან საერთოდ არაფერი თქმულა, გარდა ლიტონი შეპირებისა, რომ „ლექსის წარმოშობაზე... შევეცდებით ჩვენეული ანალიზი და პასუხი შემდეგ ნომრებში შემოგთავაზოთ“ (ზურაბ წულაია), რაც დაპირებად დარჩა.

ლექსთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა, დროთა განმავლობაში ჩემს მეხსიერებაში დაილექა და გასული, 2012 წლის 31 დეკემბერს, ზვიადის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მცირე მოგონებასთან ერთად, ინერციით მეც წამიცდა ხელი ზვიადისეულად წოდებულ ამ ლექსზე და Facebook-ში ისიც გამოვაქვეყნე, რასაც მალევე ზვიადის უფროსი ვაჟის კონსტანტინე გამსახურდიას გამოხმაურება (შენიშვნა) მოჰყვა. გთავაზობთ ქვემოთ:

Konstantine Gamsakhurdia

მინდა მოგახსენოთ ჩემი თვალსაზრისი, რომ ლექსი «ქრისტესშობა» ზვიად გამსახურდიას კალამს არ ეკუთვნის. ესაა ფსევდოეპიგრაფი. იგი არც ერთ პუნქტში არ შეესაბამება მის ტროპიკას, სახისმეტყველებას, რითმათწარმოებას, თეოლოგიას ისე, როგორც ეს იკვეთება მის ერთადერთ პოეტურ კრებულში «მთვარის ნიშნობა» (პირველად გამოიცა 1989 წელს). ამ ლექსში იმადროულად არის რამოდენიმე ლიაფსუსიც. იმის გამო, რომ ხსენებული პოეტური კრებული მიჩქმალული იყო, ბევრი არ იცნობს მას, ხოლო ბევრისთვის იგი მეტისმეტად რთულია, როგორც ჩანს. ზვიად გამსახურდიას პოეზია, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში და სრულიად ორიგინალური და თვითმყოფადია, მომავალში უთუოდ გახდება პროფესიონალური შესწავლის საგანი. რაც შეეხება ამ ლექსს, (ანუ «ქრისტესშობა») შესაძლოა მის დამწერს მართლაც არ ამოძრავებდა ცუდი ზრახვა — რამდენადაც ეს ლექსი ადვილად გასაგებია და ახდენს ემოციურ ზემოქმედებას ადამიანებზე.

ამ მოკრძალებულმა შენიშვნამ გადამაწყვეტინა თავადაც დავინტერესებულიყავი საკითხით და დავიწყე წყაროების მოძიება. პირველწყაროდ, რასაკვირველია ავიღე ზვიად გამსახურდიას ერთადერთი ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“, რომელიც კიდევ ერთხელ სრულად და ამჯერად სხვა თვალით წავიკითხე. 1989 წელს გამოცემულ ამ კრებულში, 1992 წლის 5 იანვრით დათარიღებული ლექსი „ქრისტეშობა“, რაღა თქმა უნდა, არ მიძებნია, მაგრამ წინარე ორ ლექსს კი მთელი გულისყურით და მონდომებით დავუწყე ძებნა. წიგნის ფურცლებიც კი გადავთვალე, ვინძლო, ფურცელნაკლული (ამოხეული) არ ყოფილიყო! 1980-იან წლებში ხალხში ხელნაწერით გავრცელებული, არც ქვემომოყვანილი ლექსები აღმოჩნდა ამ კრებულში.

ჩემი თაობა

შიშში აღზრდილი, უნდობლობაში დაკაცებული,
ციხის მუქარით გამწარებული,
მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა,
ვისაც ღალატად უთვლიდნენ სინდისს
და უმეცრებად გამბედაობას.
სხვისი ბრძანებით ნამღერი ჰიმნით,
სხვისი ბრძანებით ნაკითხი წიგნით,
დიბერმანივით ერთნაირი გარეთ და შიგნით.
მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა.
ან გაყიდული სულით ხორცამდე,
ან ციხე-ციხე ნათრევ-ნაცემი,
ან დარდით ღვინის კასრში ჩამხრჩვალი,
ან ჩინ-მედლებით სავსე, გამცემი,
რაც ჰქონდა წმინდა
ყველაფერი ხელში დაობდა.
თან მეცოდება, თან მეზიზღება
ჩემი თავიც და ჩემი თაობაც.
რა გააჩნია? რა დატოვა? რას გაიხსენებს?
პირუტყვის შიში, გადამდები სენი საზარი,
თუ თავის ყოფის სირცხვილი და არარაობა,
მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა.
დღეს თამაშია ვნებათა ღელვის,
მხოლოდ თამაში, გრძელი, გაბმული,
სირცხვილი იმას, რაც სულს აკლია!
ეს სპექტაკლია, ცუდად დადგმული
და ყალბი ასლი სინამდვილისა!
ქალები ბერწნი, ვაჟნი ცვედანნი
აი დედანი!

ზ.გ.

ქვაბავაზაკი

ის წინაპართა სიწმინდეს ბილწავს
და არის სუკ-ის ერთგული ძაღლი,
ეკლესიისას აფერხებს წინსვლას,
სარწმუნოების მტერია ახლის.

შენიღბულია წმინდა სამოსით,
როგორც ცხვრის ქურქით მგელ-მტაცებელი,
მიყიდული აქვს მტრისთვის ნამუსი,
არის მზაკვარი და მტაცებელი.

იგი მამონას სახელით გნათლავს
და ბელზებელის სახელით გლოცავს,
ის ნათლობისთვის წაგგლიჯავს ათმაგს,
ქორწინებისთვის წაგგლიჯავს ოცმაგს.

ამასხარავებს, ამოკლებს წესებს
ლაზღანდარობით, ქილიკით, გესლით,
მისი ბაგენი ჭორს და ღვარძლს თესენ,
მის ყურებს მხოლოდ დასმენა ესმით.

აღსარებაზე ფხიზლობს ჯაშუში,
რათა დოსიე შეავსოს შავი,
ხან იკეტება რწმენის ნაჭუჭში,
რომ მოგაჩვენოს წმინდანად თავი.

ვაჭრობს ხატებით, სოვდაგრობს ჯვრებით,
შავი დღისათვის იძენს ქონებას,
ვისაც ჩაიგდებს ძალით თუ ნებით,
დააკარგვინებს თავს და გონებას.

შემოიკრიბა ირგვლივ მსყიდველნი,
ლესბოსელნი და მამათმავალნი,
ჭორებისა და ღვარძლის მთესველნი,
გესლიანნი და ენამრავალნი.

ტაძარი ღვთისა, მადლისა მფენი
ისე სწამს, როგორც მექა ან ქაბა,
მას წმინდა სახლი მამისა ჩვენის
გარდუქცევია ავაზაკთ ქვაბად.

ის შემოგზავნა აქ ანტიქრისტემ,
რათა დაამხოს ღვთის ეკლესია,
მახე დაუგოს მიამიტ თვისტომს
და დაავიწყოს ღმერთი მესია.

წარწყმედილია სოდომის ცოდვით,
ის არ იხილავს ზეცას აროდეს,
მისი სახელი არის ჰიპოკრიტ,
მის მწყემსობიდან ზეცა გფარავდეს.

ზვიად გამსახურდია

დიახ, არც ერთი ამ ლექსთაგანი არ არის შეტანილი ზვიადის სიცოცხლეში, 1989 წელს გამოცემულ ლექსების კრებულში, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად „მთვარის ნიშნობაში“, აგრეთვე არ არის შეტანლი, არც მერაბ კოსტავასადმი 1985 წელს მიძღვნილი ლექ-

გაგრძელება გვ. 13

მსხვრევადი აკაკი ბაქრაძე

დასაწყისი გვ. 9

ზანტიელთა ჯიბრით, წადი, ჯერ მოიმოწაფე, ქრისტეს შემოუყენე თურქთა ურდოები და ათაბაგობა მერე იყოს. ამაზე ბაქრაძე ხმას არ იღებს. სამცხისა და მესხეთის მომეზობლე თურქული სამეფოები ნიშნავს იმას, რომ იქით ისლამის მიწაა (დარ ალ-ისლამ), აქეთ დასაპყრობი მიწა. აქ საათაბაგოს შემოღება იყო უგუნურება. ასეთი სახელო უნდა დაწესებულიყო ქართლის მთიანეთში, შიდა ქართლში, მაგრამ არა აქ. დავით აღმაშენებელმა რომ ყივჩაყთა ურდო ჩამოასახლა, მონათლა და სახელმწიფო საქმე მათ ჩააბარა, ეს დიდად სარისკო საქმე იყო და არ ნიშნავს იმას, რომ დავით მეფე ამით ბიზანტინიზმისგან თავდაღწევას ლამობდა. არ ენდო მეფე დავითი ქართველთ და მათ ყივჩაყი დააყენა თავზე გზირად და მსტოვრად. ყივჩაყს დაუმოყვრდა დავითი და გარს სულ ცოლეურები ეხვია. ეხუმრება ვინმე სტეპის თურქული ტომების, ამ ყივჩაყ-პაჭანიკთა ამხელა ურდოს გადმოყვანას კავკასიის ქედის იქიდან და გაქართველებას, როცა დავით მეფეს სულ თურქულ სამეფოებთან ჰქონდა ლალვა? გიორგი V ბრწყინვალემაც (1318-1346) იგივე გაიმეორა მონღოლთა ბატონობის გადავარდნის შემდეგ. ურდო ყივჩაყებისა მანაც ჩამოასახლა ქართლში. რა მოსაზრებით აღასრულა ეს გიორგი V-ემ, არსად წერია „ქართლის ცხოვრებაში“. ბრწყინვალე ეწოდება ამ მეფეს, მაგრამ დიდი ვერაფერი გაუკეთებია თავისი ამ სახელის საფერი. მან არ ბრძანა, რომ ბერებს დაეწერათ ქართული მესიანიზმის ტექსტი. ბიზანტიის მტერი, ქრისტიანობის ამომგდები იყო ყველა თურქული სასულთნო და თამარმა მათზე როგორ აიღო ორიენტაცია? საათაბაგოს შექმნა ქვეყნის განაპირას, ქართლისადმი მტრული სასულთნოების მოსაზღვრედ სირეგვნე იყო და არა ბიზანტინიზმისაგან თავდასაღწევი ქართული მესიანიზმი. ისტორიაში ისიც უცნობია, რის გამო იყო განხეთქილება თამარის რუსი ქმარყოფილის მომხრეებსა და თამარის დასს შორის. თამარის ასული რუსუდანი (1222-45) თურქული სასულთნოდან მოყვანილ უფლისწულზე გათხოვდა. ეს რა მესიანიზმია? აპოსტატა იყო რუსუდანიც და გიორგი ლაშაც (1207-22). ისინი კათოლიკეებს შეეკრნენ ბიზანტიის წინააღმდეგ. ბიზანტიური ოიკუმენის წინააღმდეგ გამოვიდნენ თამარის შვილები. რაც თავს დაეთია მარტოდ დარჩენილ საქართველოს, მატიანიდან ცნობილია. თამარია დამნაშავე იმაში, რომ მისგან ასე აღზევებული და გაძლიერებული ათაბაგები განუდგნენ ტახტს, მესხეთ-ჯავახეთი თურქმა წაიღო და მისი იყო, სანამ რუსმა არ დაუბრუნა საქართველოს. ეს მესხები თურქული წარმოშობის გაქართველებული ტომი იყო, რომელიც შემდეგ ისევ გათურქდა. თემურ -ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ ქართულ- თურქული წარმოშობის მესხები ერთიანად გამუსულმანდნენ და ქართლის მტრებად იქცნენ. რა მესიანიზმია ის, როცა თამარი სამების მეოთხე ჰიპოსტასად შეირაცხა და მისი ძე ქრისტეს სწორად ? ამის გამო რჯულთამებრ საუკუნო წყევლა ეგების. საქართველოს ყველა ეკლესიაში თამარის წყევლა უნდა წარმოითქმოდეს ყოველ წირვაზე. წყეულიმც იყოს უკუნისამდე ეს დედაკაცი და შვილნი მისნი. ბიზანტიას ასე თუ ედავებოდა ქართველთა სამეფო კარი, გამოდის რომ რეგვენნი ყოფილან ძუელი ქართუელნი. მე ვეძებდი და ვერსად ვიპოვე ცნობა იმაზე, იცოდნენ თუ არა ბიზანტიელებმა ქართველთა სამეფო კარის, ამ გაბუდაყებული დედაკაცის ეს არნახული გულზვაობა ქრისტიანობის ისტორიაში? იესუს დედის სნორი კი არა, არამედ სამების მეოთხე წევრი ხარ? შენი შლეგი ნაშიერი კი იესუს სწორად შეირაცხა? ან კათოლიკე მისიონერებმა თუ თქვეს რაღაც ამაზე? თამარმა და მისმა შვილებმა დაღუპეს დავით აღმაშენებლის ფუძეყრილი საქმე ქართველთა იმპერიისა. ლაშა-გიორგის როდესმე გახსენებია ეს მესიანიზმი თუ რუსუდანს? თამარის შვილებზე უარესი მეფეები მერე მოვიდნენ. ქართველი მეფეების ბრალით იყო თემურ -ლენგის რვა ლაშქრობა ქართლში და ამის შემდეგ კიდევ თურქული სასულთნოების დანასისხლად გადაკიდება 1400-იანი წლების დასაწყისში. დღემდე აჩნია ქართლს მაშინდელი წყლულები, დღემდე იმკის ქართლი თემურ-ლენგის გამაჩანაგებელი ლაშქრობების შედეგს. წელში გადატეხა თემურმა ქართველთა მოდგმა. მას კიდევ დიდსულოვნება ჰქონდა, თორემ გააქრობდა ქართლს. ომის ღმერთი და დიდად ყისმათიანი კაცი იყო თემურ-შაჰი. ევროპის მეფენი ძრწოდნენ მისი მორჭმულების წინაშე და ულიქნიდნენ, რომ ევროპაში არ შეჭრილიყო იგი. მისი დროის საქართველოში, არც არავისგან ყოფილა შეცნობილი თემურ-შაჰის მორჭმულება და სპარაზენობა.

ქართველთა მესიანიზმზე, რაც დღეს იწერება, არის რიოშობა. აქ, გამსახურდიას ჯიბრით, 1992-99 წლებში დიდი გულმოდგინებით ტალახს შერიეს ქართველებმა იოანე-ზოსიმედან მომდინარე და გამსახურდიას მიერ ახმიანებული მესიანისტური ქართული იდეა. დღეს, როცა ისევ ისე მესიანისტობენ ლიბერალ-კაპიტალისტი ქართველები, ვითომც არაფერი, ეს ნიშნავს, რომ უსინდისობასა და იდიოტობასთან გვაქვს საქმე ერთდროულად. ასეთი რამ ითქმის: „ქართველი ერი ანტიქრისტიანულ გლობალისტურ სივრცეში მაინც ასრულებს თავის სულიერ მისიას“. მსგავსი წამოყვირებები სამი ძახილის ნიშნით ან მრავალწერტილით მთავრდება ხოლმე. არაა საქართველოში შექმნილი მესიანისტური სწავლება და ტყვილად ჩემულობენ ამას ქართველნი. ჯიბრიანი ლაპარაკი, რომ „ გიორგი I აღარ იცვამდა ბიზანტიის იმპერატორისაგან ნაბოძებ სამეფო წითელ წაღებს, რადგან ეს აღიქმებოდა მორჩილებისა და მეხარკეობის ნიშნად“. დააზუსტონ, რა მორჩილებასა და მეხარკეობაში მყოფი იყო მეფე გიორგი (1014-27)? ამას არ ამბობენ. უნდათ წარმოაჩინონ, რომ ბიზანტიას ურმებით გაჰქონდა ქართლიდან ხარკი და დაყათრული ბერძნები უნამუსოდ იარებოდნენ. რა ბიზანტიელი და რა ყიზილბაში, არა? ეს უნდათ თქვან, რომ ეგრე ჩაგრავდა ბიზანტიელი ქართველს, რომ საწყალი ჩაგრული თურქთანღა გარბოდა და თან მესიანისტობას ჩემულობდა. სულ ასეა. ბიზანტიაზე ბევრი აუგია დაწერილი ათეისტური, ანტიმონარქისტული და ანტიკლერიკალური იდეოლოგიის გავლენით. რუსმა საბჭოთა ბიზანტოლოგებმაც წილი დაიდეს ამაში. ადვილია ამ ლიტერატურიდან რაღაც ნეგატივის ამოკითხვა და მასზედ მთელი განზოგადების დამყარება, ბიზანტიის ქოლვა, მაგრამ ეს არაა ისტორიკოსობა.

მესიანისტური იდეა ამერიკაში გაქცეულმა ბრიტანელმა პურიტანებმა დაუპირისპირეს ბრიტანეთის ტახტის მესიანიზმს XVII-XVIII საუკუნეებში. აი, აქ არის შესაძლებელი მსჯელობა ორ მესიანიზმზე. საქართველოსა და ბიზანტიის შემთხვევაში ასე არ ყოფილა. ასევე იყო თურქული მესიანიზმი არაბული მესიანიზმის წინააღმდეგ, ირანული შიიტური მესიანიზმი თურქული სუნიტური მესიანიზმის წინააღმდეგ. თურქებმა ხალიფატის დროშა არაბთაგან ომით აიღეს ხელში ოტომანთა იმპერიის ექსპანსიისას. რუსული მესიანიზმი ტევტონთა მესიანიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ იდგა XIII და XV საუკუნეებში. რუსეთთან ომში ტევტონთა მესიანიზმი გააცოცხლა ნაციზმმა. ადრეული ქრისტიანობის დროის მესიანიზმი უარყოფდა წარმართული რომის იმპერიულ იდეას თავისი იმპერიული იდეის სასარგებლოდ. როცა მესიანიზმზე ლაპარაკობ, მაშინ ამ ფაქტებიდან ერთი მაინც უნდა მოიხმო, რასაც ბაქრაძე არ აკეთებს.

აკაკი ბაქრაძემ, ვინც სულ ჩხრეკდა საქართველოს უბედურ წარსულს და მის ორიანტაციაზე ცუდად მსჯელობდა, არ იკითხა: ევროპასთან დაახლოებით საქართველო როგორ აიცილებდა ნეოკოლონიალისტურ მოპყრობას? ჟორდანიას დროს, როგორ მოექცა ევროპა საქართველოს, ეს ბაქრაძეს ეცოდინებოდა. ამ კითხვების დაყენება გააცამტვერებდა ბაქრაძისეულ ევროპულ ორიენტაციას. ბაქრაძისგან შეიქმნა ერთობ დამტკბარი მოჩვენება და მას გაუჩნდა მრავალი ეპიგონი, რომელნიც საქართველოს ევროპულობაზე ლაპარაკით საშოვარზე გამოსულან. ბაქრაძისა და მისი ეპიგონების დავთარში რომ ბევრი სიმცდარე სწერია, ამას საფუძვლიანი გაბათილება სჭირია. ეს კი ნაკლებადაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. დიდად უჭირდა ბაქრაძეს ისტორიის მოვლენებში გარკვევა. იგი ფაქტების სიმრავლიდან იღებდა ორ-სამ ფაქტს და მათზე დაყრდნობით მცდარად განაზოგადებდა. ასე დაამკვიდრა მან აზრი, რომ ბიზანტიის დროსვე საქართველოში ევროპას ესწორებოდნენ. უნახავს ვინმეს, რომ შეყრილიყვნენ ქართლის მუდმივი ჭირით დაბრძენებული ქართველი მეისტორიენი და ფილოსოფოსნი, რათა ემსჯელათ ქვეყნის ორიენტაციაზე ისე, როგორც ეს ჰხამს? როდესმე ნახულა 90-იანი წლების ბოლოს, როცა ყველაფერი თავისი ნამდვილი სახით წარმოსდგა ქართლოსიანთა წინაშე, რომ აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე და სხვები, ვინც ქვეყნის ბელადებად მიიჩნეოდნენ 90-იანების დასაწყისში, შეყრილიყვნენ და განესაჯათ ამდენი უბედურება? დაიფანტნენ ეს ეროვნული ლიდერები და მათი დასები და გამჩენიც ვერ მოკრებს მათ ვერასოდეს.

ევროპა (კულტურის ავანგარდის გაგებით) მაშინ ბიზანტია იყო. რენესანსამდე და კიდევ კარგა ხანი მის შემდეგ ევროპა რა იყო? კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წლის მაისი) შემდეგ, იტალიაში გადასულმა ასობით კულტურტრეგერმა ბიზანტიელმა შეამზადა რენესანსის დაწყება ევროპაში. რომ არა ისინი, რენესანსი კიდევ დიდხანს ვერ დაიწყებოდა და ევროპელი კაცი ვერ დაინახავდა ანტიკურობის დაბრუნების აუცილებლობას. ბაქრაძემ ეს არ იცოდა.

1453 წლის შემდეგ, არსად ძველ ქართულ მწერლობაში არაა გლოვა წმინდა ქალაქის, კონსტანტინოპოლის დაცემის გამო. ერთი არაფერია თქმული, არც საეკლესიო და არც საერო მწერთაგან XV-XVIII საუკუნეებში, რაც დიდად გასაკვირია. განა მხოლოდ ესაა. არსად ძველ ქართულ მწერლობაში არ ისმის ვაება იმის გამო, რომ კონსტანტინოპოლი 1204 წელს ჯვაროსნებმა აიღეს და გაძარცვეს. ევროპის ქალაქები ნაძარცვით გაამშვენეს, რადგან თავად ვერ მხელოვნებლობდნენ. ჯერ კიდევ ბარბაროსები იყვნენ. წმინდა ქალაქი კარგახანს მათ ხელში იყო. ბიზანტიაში სახელმოპოვებული რომელიმე ქართველი მამა წერს ამაზე? 1261 წლის ივლისის დასაროულს ბიზანტიელებმა განდევნეს ჯვაროსნები წმინდა ქალაქიდან და არც სიხარულის ხმა ისმის ძველ ქართველთა ნაწერებში ამის გამო. ვითომ არც ყოფილა!

ეთქვა ბარემ ბაქრაძეს, რომ არ გვინდა ეს ბიზანტიური მემკვიდრეობა, მართლმადიდებლობა და კათოლიციზმს ან კალვინიზმს შეუდგეს საქართველო. აი ეს შეფარული აზრი გამოსჭვივის ბაქრაძის ამ წინასიტყვაობიდან. რომც ეცვალა რჯული ქართველობას, განა ისევ ის ტაკიმასხარა და ამ ცხოვრების ბითური არ იქნებოდა? რჯულის შეცვლაზე აზრი გამოითქვა შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მის გარემოცვაში, რათა უფრო დაახლოვებოდნენ დასავლეთს. გვიანდელი ბაქრაძე ხომ ხედავდა, რომ ევროპული ორიენტაცია ქვეყანას თავზე გადასდიოდა და რა სიკეთეს ეწია ამით ქართლი? ბაქრაძე მოესწრო იმას, თუ როგორ მოექცა დასავლეთი საქართველოს და დაამკვიდრა ნეოკოლონიალიზმი. მან ვერსად ამოიღო ამაზე ხმა. ჯერ ერთი, რომ ვერ გაბედა და მეორე ის, რომ მას არ ჰქონდა საამისო ცოდნა და არგუმენტაციას ვერ ქმნიდა. კომუნისტებთან მოდავე ბაქრაძე ბუმბერაზად ჩანდა და საბჭოეთის დაშლამ ის ლანდად და ბლუჩუყუნა ლიბერალად აქცია. პლურალიზმის დამკვიდრებამ ქვეყანას დაანახა, რომ ბაქრაძემ ვერ ივარგა მოაზროვნედ და მისი სახელი პარაზიტირებდა ბოლშევიკურ ცენზურაზე. ეს ცენზურა აჩენდა მას და სახელს სძენდა, რომ ილია ჭავჭავაძეზე კი რაღაც ადგილები ამოუჭრეს კომუნისტებმა, მას საჯარო ლექციის წაკითხვა დაუშალეს და მისთანანი. ცენზურის მოშლამ კი შეუვალად დაადასტურა ბაქრაძის უღონობა და ინტელექტუალური სიმწირე. ბაქრაძემ დაინახა ეროვნული მოძრაობის ეფემერულობა, სიკვდილი და მისი განახლების შეუძლებლობა. მან არ დაარისხა განგაშის ზარი, რადგან ამისი თავი არ ჰქონდა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკოსი ბაქრაძე დამთავრდა საბჭოთა სისტემის დამთავრებასთან ერთად!

გოჩა გვასალია

აგვისტო — ოქტომბერი, 2012

დაიბეჭდა მნიშვნელოვანი შემოკლებებით (რედ.).

ლიბერტარიანელი ცრუობს

ლიბერტარიანული იდეოლოგიის პროპაგანდისტმა გია ჯანდიერმა ჟურნალ „ტაბულაში“ (2012 წლის 4–10 ივნისი, №103) ცილი დასწამა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. მან თავის საჟურნალო სვეტში დაბეჭდა: „გახსოვს მკითხველო, რა მოხდა, როდესაც პრეზიდენტმა გამსახურდიამ პურის ფასი გაყინა? 3 წელი რიგში ვიდექით და ძალიან უხარისხო პურს მივირთმევდით“.

1991 წელს საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის კრახის პირობებში, გარდამავალ ეტაპზე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საარსებო ლუკმა რომ არ გამოაცალა ადამიანებს, ბრალად ჩაუთვალა გია ჯანდიერმა. თუმცა მას „დაავიწყდა“, რომ 1992 წლიდან თენგიზ სიგუამ და ოთარ ფაცაციამ პურის ფასი არაერთხელ გაზარდეს. გია ჯანდიერს „დაავიწყდა“, თუ ვინ იყო იმ წლებში „პურის მეფე“ საქართველოში – ნინო ბურჯანაძის მამა ანზორ ბურჯანაძე. ვერ გაუბედავს, ვერც მათთვის და ვერც ედუარდ შევარდნაძისთვის „კუ–ბაღლინჯოებზე“ პასუხის მოთხოვნა და ცილს წამებს საქართველოს პირველ პრეზიდენტს. ის რომ დღეს გია ჯანდიერს დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი აქვს, ეს პირველ რიგში ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა. კარგი იქნება თუ ბაზრის მადიდებელი თავის პროპაგანდისტულ საქმიანობაში გაითვალისწინებს, რომ 1947 წელს ალჟირისთვის დაწესებულ კოლონიურ სტატუსში საფრანგეთის ხელისუფლებამ ჩაწერა: „მთელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის გარანტირებულია ეკონომიკური თავისუფლება“. ის რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენს ეპოქაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ეს არის ზვიად გამსახურდიას ისტორიული დამსახურება და ლიბერტარიანელის ცრუ ბარლდება მას ვერ შეარყვეს.

დავით არაბიძე

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ლექსები „ქრისტეშობა“ და „ქვაბავაზაკი“ ზვიად გამსახურდიას არ ეკუთვნის!

დასაწყისი გვ. 11

სი „წამებულ ძმისადმი“. ხსენებული ლექსი ზვიად გამსახურდიას მხოლოდ მოყვანილი აქვს მისი რედაქტორობით გამოცემულ მერაბ კოსტავას ლექსების კრებულის (გამოიცა 1990 წელს) წინათქმაში „ძე ქარიშხლისა“, სადაც ზვიადი წერს: „ირაკლის (მერაბ კოსტავას ვაჟის — ლ.ც.) ტრაგიკული თვითმკვლელობის შემდეგ კვლავ მომივიდა ციმბირიდან ცნობა, მერაბი განწირულიაო!... ავტეხე ხმაური. იმხანად ამოხეთქა ჩემი გულიდან პასუხმა მის ლექსზე (გულისხმობს „ძმას ქრისტესმიერს“ — ლ.ც.), რომელსაც ახლა ვაქვეყნებ“. და სწორედ აქ აქვეყნებს მერაბისადმი მიძღვნილ ლექსს „წამებულ ძმისადმი“.

ამგვარად, ის არგუმენტი, რომ ზემომოყვანილი ლექსები („ჩემი თაობა“, „ქვაბავაზაკი“) იმიტომ არ შეიძლება იყოს ზვიადის, რომ ზვიადის კრებულში არ არის შეტანილი, ვფიქრობ, მთლად მყარ არგუმენტად არ გამოდგება.

1999 წელს, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, პრეზიდენტის ქვრივმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ საკუთრივი რედაქტორობით გამოსცა ზვიადის ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“, რომელშიც შეუტანია მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი ზვიადის ლექსი „წამებულ ძმისადმი“ და ამასთანავე, კიდევ რამდენიმე (შვიდი) ახალი ლექსიც, მათ შორის, სადაოდ ქცეული 1992 წლის 5 იანვრით დათარიღებული — „ქრისტეშობაც“. ისევე, როგორც „ქრისტეშობა“, დანარჩენი ახალი შვიდი ლექსიც, ზვიადისეული კრებულის ლექსებისაგან მკვეთრად განსხვავდება, როგორც სტილით, ასევე მხატვრული ღირებულებითაც. აი, ქალბატონი მანანას მიერ გამოცემულ რვეულში შეტანილი ეს ლექსიც!

ქრისტეშობა

ღიმილი და მილოცვები
თუმცა ბევრი გავეცით ქრისტე
აღსდგა — ჭეშმარიტად ხოლო
ჩვენ კი დავეცით

ალბათ თვითონ ღმერთი ირჩევს უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი ღამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა.
მერე ზეცად აღევლინე,არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილი დედამიწაზე.
ზეცად ასულს უკან გაგყვა ლოცვა ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი.
ალბათ მისთვის გაიაფდა ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი ადვილია დაცემა!
მეც დავრწმუნდი, არ გამქრალა ქვეყნად შური და
მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა.
და წარსული სიზმრად მექცა,მომავალი ოცნებად,
მეგობარი ვეღარ მიცნობს, მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა,
სევდას ვინ დაიბედებს,
ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი იმედებს.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!ჩემი სული ცას
უხმობს,
ჭეშმარიტად! – კვლავ იუდა ნიშნისგებით მპასუხობს.
თუმცა შუბლზე სამარცხვინო მინდა დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმენდილი ეგდოს ქვეყნად
ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს კვლავაც ღამე ეთიოს.
რწმენა ძნელად გადარჩება,ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად,
ქრისტე აღსდგა, ნამდვილად!

5.01.92 წელი

ზუსტად ასეა დაბეჭდილი ეს ლექსი ქალბატონ მანანასეულ თვითგამოცემაში, ხოლო ხალხში ხელნაწერის სახით გავრცელებულ ვარიანტებში, ლექსის თარიღად ზოგან აღნიშნულია 7.01. 92 წელი, ხოლო ზოგ შემთხვევაში თარიღი საერთოდ არა აქვს დასმული. ამასთანავე, ერთ-ერთ ხელნაწერ ვარიანტში (გრაფიკული ჩარჩოთი გამშვენებულ) ლექსს სათაურად გაკეთებული აქვს ლექსის მეათე სტრიქონი — „ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია დაცემა!“ რომელზედაც ხელმოწერად, თუმცა დასმულია ზვიად გამსახურდიას ფაქსიმილე, მაგრამ ლექსის ხელნაწერსა და ფაქსიმილეს შორის სხვაობა თვალადაც კარგად საჩინოა. ანუ, საქმე გვაქვს ტექნიკურ მანიპულაციასთან.

ამავე ხელნაწერ ვარიანტში, ქალბატონ მანანას ტექსტზე ეპიგრაფად წამძღვარებული კუპლეტი („ღიმილი და მილოცვები...“), მავანის მიერ თავად ლექსის სტრიქონებადაა დართული. ამგვარი ტექსტოლოგიური ლიაფსუს-ცვლილებები ხელნაწერებზე დაბეჭდული სენია და ამგვარ თამამ სენს ვერ ასცდა თვით „ვეფხვის ტყაოსანიც“.

ჩვენს ხელთ არსებული ქალბატონ მანანას მიერ დაბეჭდილი ზვიადის ლექსების კრებული კი, ჩვენი თვალსაზრისით, არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ გამოცემად მრავალ მიზეზთა გამო. კერძოდ: კრებულს არ გააჩნია საგამომცემლო ინდექსი, მითითებულ-დამისამართებული არ არის წიგნის გამომცემლობა და სტამბა, წიგნს არ ჰყავს დარგის სპეციალისტი რედაქტორ-გამომცემელი და რეცენზენტი, რომლებიც ორ სტრიქონიან ანოტაციას მაინც დაწერდნენ და გვამცნობდნენ, რომ ეს „წიგნი“ წარმოადგენს მეორე და შევსებულ გამოცემას და თავიდან აგვაცილებდნენ „ახალი ლექსების“ უკრიტიკოდ შეტანასაც.

ამდენად, „მთვარის ნიშნობით“ დასათაურებული ზვიად გამსახურდიას ახალი კრებული, რეალურად წარმოადგენს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მიერ 1999 წელს თვითგამოცემულ რვეულს, ხოლო 1989 წელს გამომცემლობა „მერანის“ მიერ გამოცემული ზვიად გამსახურდიას ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“ კი დღემდე რჩება ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

მე მზად ვარ, ჩემს ხელთ არსებული ყველა მასალა საძიებელ წყაროდ გადავცე კომპენტენტურ ლიტერატორ-მკვლევართ, რათა დადგინდეს ყველა სადაო ლექსის კუთვნილება თუ წარმომავლობა. თუმცა, სამწუხაროდ მე ვერ მოვიპოვე კალენდარი ხსენებული ლექსით, თავად გამომცემელ ზვიად ბოკუჩავასაგანაც კი, რითაც გამაკვირვა მისმა დამოკიდებულებამ მიძღვნითი კალენდრისადმი, რისი თუნდაც ერთი ეგზემპლარის საარქივოდ შენახვის სურვილი და ნება არ გასჩენია მას. ამგვარივე დამოკიდებულებით უნდა ავხსნათ კალენდრის გამოცემის ზუსტი თარიღის „ამოვარდნაც“ მისი მეხსიერებიდან!

ამიტომაცაა აუცილებელი, რომ ყოველი ადამიანი, ყოველგვარ საქმიანობაში, გულწრფელი იყოს!...

ჩემი ვარაუდით, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ბეჭდურ რვეულში ზვიადის კუთვნილებად შეტანილი „ქრისტეშობა“ და ბოლო ექვსი ლექსიც, შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე პოეტსა და მთარგმნელს ცოტნე გამსახურდიას, რომელიც 1992 წლისთვის, სრულიად მოწიფული, მე-16-ე წელში გადამდგარი ყმაწვილი იყო და რომლისთვისაც უცხო და შორებელი ვერ იქნებოდა საქართველოს იმდროინდელი ტრაგიკული ვითარება, რასაც ლეგიტიმურად ერწყმოდა მისი ოჯახის პირადი ტრაგედიაც, რამაც ყმაწვილის გულში გაელვებად შვა ამგავრი უნუგეშობა: „ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს? ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი — იმედებს,“ რაც ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ მომხრეებმა, ზვიადის დეპრესიულობის სასურველ ფრთიან ფრაზად აქციეს.

რაც შეეხება ლექსს „ქვაბავაზაკი“ (და ლექსიც „ჩემი თაობა“), რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია || წინააღმდეგ მარჯვედ იყენებს Facebook-ში, ხან ბაკურ წიკლაური-ს, ხან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელით შემოსული ბესარიონ გუგუშვილი, ასევე ერთობ საეჭვოა, რომ ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდეს.

ლეილა ცომაია

ვრცივესტიზაციე ნომენკლატურაზე

საბჭოთა კავშირში 1986 წლიდან ლეგალიზებულ იქნა ინდივიდუალური შრომა, ხოლო 1987 წლიდან საწარმოო საშუალებების ცენტრალური ფონდირება საბითუმო ბაზრით შეიცვალა, დაიწყო კოოპერატივების დაფუძნების პროცესი.

გამოცხადებულ „პერესტროიკამდე“ 30 წლით ადრე საბჭოთა კავშირში უკვე გაშლილად მოქმედებდა პარალელური „ჩრდილოვანი“ ეკონომიკა, რომელშიც წარმოშობილი გიგანტური ფინანსური ნაკადების ოპერატიული რეგულირება კორუმპირებული ნომენკლატურის მიერ „კანონიერ“ ქურდებზე იყო მინდობილი.

ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა დაუსვა რა წერტილი სახელმწიფო–ბიუროკრატიულ სოციალისტურ ეკონომიკას, კორუმპირებული პარტიული და სამეურნეო ფუნქციონირების წინაშე ნათლად დასვა ახალი ამოცანა: მოეხდინათ ყოფილი სოციალისტური საწარმოებისა და ფონდების პრივატიზაციიდან ხალხის გამოთიშვა.

1988 წლის 2 დეკემბერს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა გამოცა მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შემდგომი განვითარების შესახებ“, რომლის შესაბამისად 1989 წლის 1 აპრილიდან იწყებოდა სავალუტო ფონდებში არსებული საშუალებების თავისუფალი გაცვლა, ამ საშუალებების ყიდვა–გაყიდვა საბჭოთა მანეთებზე სახელშეკრულებო ფასებით, სსრკ საგარეო ეკონომიკური ბანკის მიერ ორგანიზებულ სავალუტო აუქციონებზე.

ამ დადგენილებამ ხალხი, ასეულობით მილიონი მუშა, კოლმეურნე თუ ინტილიგენტი თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. ხალხს უცხოური ვალუტა მხოლოდ უცხოურ ფილმებში თუ ენახა. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების ხელში სსრ კავშირში არსებული უცხოური ვალუტის მხოლოდ 5% იყო. ეს დადგენილება ემსახურებოდა კორუმპირებული პარტიული და სამეურნეო ფუნქციონერების, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, არმიის გენერალიტეტის, პრივილეგირებული ინტელიგენციის, „ჩრდილოვანი ეკონომიკის ტუზების“, „საკავშირო მნიშვნელობის კანონიერი“ ქურდების სტრატეგიულ ინტერესს, ხელთ ეგდოთ საბჭოთა კავშირში არსებული მთელი უცხოური ვალუტა. სწორად ამ სავალუტო აუქციონებმა გაუხსნეს გზა საგარეო ეკონომიკური ოპერაციებისკენ საბჭოთა კავშირში დაბადებულ „ნუვორიშებს“. მათ ხელში მოექცა ყოფილი სოციალისტური საწარმოო საშუალებების საბითუმო ვაჭრობა. საბჭოთა კავშირისა და მათ შორის საბჭოთა საქართველოს სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებში დაიწყო კონცერნების ფორმირება. ერთ–ერთი პირველთაგანი ასეთი კონცერნის შექმნაში იყო იმჟამად საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველი მოადგილე ასლან აბაშიძე.

1989 წლის 7 მარტს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა გამოსცა მინისტრთა საბჭოს მორიგი დადგენილება „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ზომების შესახებ“. დაწესდა ლიცენზირება შესაბამისად, მონოპოლიური კონტროლი ექსპორტ–იმპორტზე. უბრალო მოკვდავისათვის, თუ ის არ იყო კორუმპირებულ ნომენკლატურასთან წილნაყარი, სრულიად შეუძლებელი იყო ექსპორტ–იმპორტში ჩართვა.

კორუმპირებულმა ნომენკლატურამ მოამზადა სათანადო პირობები, რათა ხალხს არაფერი რგებოდა ყოფილი სოციალისტური საწარმოო ფონდებიდან. ამ დადგენილებებმა საბჭოთა კავშირში დაბადებუთლ-თაგან შვეს „ნუვორიშები“ მულტიმილიონებითა და მილიარდებით. ხალხი აღმოჩნდა მათი სოციალური და პოლიტიკური დიქტატის ქვეშ. პრივატიზაციის საფარქვეშ კორუმპირებულმა პარტიულმა, სამეურნეო და ადმინისტრაციულმა ფუნქციონერებმა, „ჩრდილოვანი ეკონომიკის ტუზებმა“ ყაჩაღურად მიიტაცეს ის, რაც ხალხს ეკუთვნოდა. ამას ემსახურებოდა 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვარში საქართველოში მომხდარი ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, ე. შევარდნაძის ტირანიის დამყარება, რომელმაც ქართველ ხალხს წაართვა 1991 წლის 26 მაისს აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერილი სოციალური საბაზრო მეურნეობა.

დავით არაბიძე

რა დამსახურებისათვის დააჯილდოვეს მოსკოვში ზაზა დავითაია?!

რეპლიკა

გასული წლის 22-30 ნოემბერს, მოსკოვში ჩატარდა ახალგაზრდა ჟურნალისტთა საერთაშორისო კონკურსი თემაზე „სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი მომავალი“, სადაც საქართველოდან წარდგენილ იყო ზაზა დავითაია. ამ არასამთავრობო ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ საეჭვო წარმომავლობის ქართველი, მოსკოვში მცხოვრებ- მოღვაწე კოლაბორაციონალისტი ვლადიმერ ხომერიკი.

ჩვენი გაზეთი, ცხადია დაინტერესდა, თუ რომელი საგაზეთო მასალების (ან, თუნდაც ერთი მასალის) გამო და რომელი ორგანიზაციიდან წარადგინეს ზაზა დავითაია მოსკოვურ კონკურსზე, რაც სრული ერთი კვირა მიმდინარეობდა და შესაბამისი კითხვებიც დავუსვით გამარჯვებულ კონკურსანტს. უნდა ითქვას, რომ დავითაია იმთავითვე შეაცბუნა ჩვენმა დაინტერესებამ მის „გასაიდუმლოვებულ“ მოსკოვურ ვოიაჟზე და ტელეფონში აგვიხირდა: რა სულელურ შეკითხვებს სვამთო და ამ იარლიყით ყველა შეკითხვიდან დაიძვრინა თავი. მაშინ ჩვენ შევეცადეთ, ნორმალური შეკითხვიდან მისთვის ფრიად უხერხულ შეკითხვაზე გადავსულიყავით, რათა ამ მკვახე შეკითხვით მაინც მიგვეღო მისგან რაიმე პასუხი, მითუმეტეს, როცა კონკურსის სახელწოდებიდან გამომდინარე, ასეთ კითხვასაც ჰქონდა არსებობის უფლება!

კითხვა:

– ამგვარ ე.წ. საერთაშორისო კონკურსებზე, უმეტეს შემთხვევაში მიწვევას იღებენ ხოლმე შერეული ოჯახის შვილები, ან გვარგადაკეთებული პერსონები. თუ მავანთა ნათქვამს ვირწმუნებთ, შენი ნამდვილი გვარია დავთიანი. ხომ არ ამართლებს შენი მოსკოვურ კონკურსზე წარდგენა ამ ხმებს?

ჩვენს აშკარად მწვავე კითხვას, დავითაიას მხრიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, უშვერი გინების კორიანტელი მოჰყვა. კითხვა, რომელიც, როგორც შეკითხვაშიც აღვნიშნეთ, ვიწრო წრეში გავრცელებულ ხმებს ეფუძნებოდა, ცხადია არ დაისმოდა, დავითაიას რომ შეძლებოდა პირუთვნელი პასუხის გაცემა ჩვენს მიერ თავდაპირველად დასმულ სრულიად ლეგიტიმურ კითხვებზე.

დიახ, ჩვენს არც ერთ შეკითხვაზე, მოსკოვის „საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულ“ დავითაიას პასუხი არ აღმოაჩნდა!

თუ ყურადღებას კონკურსის ასაკის ცენზზეც (Молодежный) მივაპყრობთ, 44 წელს გადაცილებულ ზაზა დავითაიას (დაბადებულია 1968 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში), არც ამ მხრივ ჰქონდა შანსი კონკურსზე მოხვედრისა.

ამდენად, ჩვენთვის ბნელი და ერთობ გაურკვეველი დარჩა, თუ **რა დამსახურებისათვის დააჯილდოვეს მოსკოვში ზაზა დავითაია! ასევე უცნობი დარჩა, თუ რამდენ მანეთში გამოიხატა, მისი ფულადი დაჯილდოება.**

ერთობ საგულისხმო ფაქტია, რომ ზაზა დავითაიამ, არც ერთი ფოტო მასალა და ინფორმაცია არ დადო თავის Facebook-ის გვერდზე ჩატარებული კონკურსის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი და მისი ცოლის მიერ გაზიარებულ ამ პოსტს:

Джавахкская Диаспора *posted to* **Zaza Da Natia Davitaiebi**
26. 11
В Москве (22.11.12) в Федерации Мира и Согласия прошло награждение лауреатов III-го Международного молодежного журналистского конкурса «Мирное будущее Южного Кавказа: общая история и современность».

ჩვენს მიერ ქვემოთ გამოქვეყნებული ეს ფოტო-მასალები, სხვისი გვერდიდან მოვიპოვებთ, რომელსაც ვერ ვასახელებთ, ვინძლო, ჩვენსავით მასაც არ განურისხდეს მოსკოვის ერთ-ერთი კონკურსის „ლაურეატი“ ზაზა დავითაია.

ახალი „დამოკლესი მახვილი“ საქართველოზე

სომხეთად წოდებულ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში 2013 წლის 18 თებერვალს დანიშნულია მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები. ამ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე კენჭს იყრის 7 პიროვნება.

მათ შორის ჩვენთვის გამოსარჩევია, ვინმე „ეპოსთმცოდნე“ ვარდან სედრაკიანი.

ვარდან სედრაკიანი 1967 წელს დაბადებულა ერევანში. 1992 წელს დაუმთავრებია ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ეს ის პერიოდია, როდესაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკურ- ეკონომიკურ რეფორმების გარიჟრაჟზე ფეხს იკიდებდა უმუშევრობაც. ამიტომ დღევანდელ საპრეზიდენტო კანდიდატს უსაქმურობის დასაძლევად დაუწყია სომხური ეპოსის შესწავლა. როგორც სჩანს სომხურმა ეპოსმა შთააგონა ვარდანს, რომ ის აუცილებლად უნდა გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი, რამეთუ მას ეკისრება არმენული საშვილიშვილო მისია — აღორძინება მითოსური დიდი სომხეთისა. მაგრამ მის „ეპოსთმცოდნეობას“ ასე ეხმაურებიან სომხურ სამეცნიერო წრეებში: Aravot.am-ი დაინტერესდა უნივერსიტეტისა და აკადემიის სამეცნიერო წრეებში, ცნობილია თუ არა სომხურ ეპოსმცოდნეობაში ვარდან სედრაკიანის სახელი და რა წვლილი მიუძღვის მას ამ საქმეში. საუნივერსიტეტო წრეებში ვ. სედრაკიანს საერთოდ არ იცნობენ. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა არცრუნ ავაქიანმა განაცხადა, რომ ის ეპოსმცოდნეს ამ სახელითა და გვარით არ იცნობს და ურჩია გაეკითხათ სომხეთის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

აკადემიურ წრეებში ვ. სედრაკიანს, რბილად რომ ვთქვათ, დადებითად არ გამოეხმაურნენ. დაინტერესებულ პირებს მეცნიერებმა აუწყეს, რომ ტერმინი „ეპოსმცოდნე“ საერთოდ არ არსებობს. ეს იგივეა, რომ ვთქვათ ჟირაფმცოდნე. შემდეგ მათ აღნიშნეს, რომ სომხურ „ეპოსმცოდნეობაში“ (მითოლოგია) ადამიანი ამ სახელით უცნობია. და ის ისეთი ეპითეტებით შეამკეს, რომ ზრდილობის წესების გათვალისწინებით არ ბეჭდავენ.

სომხეთის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სომხური ფოლკლორის თეორიისა და ისტორიის განყოფილების გამგემ სარგის არუთუნიანმა სააგენტოს წარმომადგენლებს ასეთი რამ უთხრა: „ნებისმიერ გიჟს შეუძლია კენჭი იყაროს პრეზიდენტის თანამდებობაზე. მე არ ვიცი ვინ არის ეს ეპოსმცოდნე. მე გაკვირვებული ვარ. თქვენც შეგიძლიათ კანდიდატურის წამოყენება, იწოდოთ, ვთქვათ, ეპოსმცოდნედ ან იგავმცოდნედ, ან საერთოდ ნებისმიერის მცოდნედ, მაგრამ არა უმეცარმა. მე არ ვიცი, არ მსმენია მისი გამოსვლების შესახებ და კატეგორიულად უარვყოფ ამ ადამიანს“. ჩვენს შენიშვნაზე, რომ ვ. სედრაკიანმა წიგნიც კი დაწერა, ბატონმა არუთუნიანმა ასე უპასუხა — „ახლა ვინ აღარ წერს წიგნებს — პორნოგრაფიაზეც, რა რაგინდა რაზე. მე არ ვიცი, რა გააკეთა მან — ეს უაზრობაა. ნახეთ, „ ეპოსმცოდნე“ პრეზიდენტობის კანდიდატია. სად ხარ შენ, მანუკ აბეგიანო, სად ხარ შენ კარო მელიქ-აღაჯანიანო, რითი იყვნენ დაკავებულნი ჩვენი დიდი ადამიანები?...“

ვარდანს კი, როგორც საპრეზიდენტო კანდიდადტს პირველი სვლები მოხაზული აქვს — სამცხე-ჯავახეთის დღევანდელ არმენიასთან „მიერთება“ და რუსეთთან საერთო საზღვრის შექმნა. მაგრამ მესხეთ-ჯავახეთის ზემოთ რომ მიწებია იმას რას უპირებს, უიმათოდ საერთო საზღვრის შექმნა როგორ იქნება? ალბათ, იმ მიწებს რუსეთს მიართმევს ძღვნად. ვარდანს, ისევე როგორც სხვა მრავალ ვარდანებს, ვურჩევდით გადაეხედათ კ. პატკანოვის ნაშრომისათვის — „ლორე-ტაშირის ისტორიული ოლქი“ და შეეგნოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს მხარე, არა თუ სამცხე-ჯავახეთი, არასდროს ყოფილა სომხური მიწა. მაგრამ, როგორც სჩანს მათთვის მიუღებელია აკადემიური ისტორიული მეცნიერება, რომელიც საფუძველს ძირფესვიანად აცლის მათ მრავალსაუკუნოვან „მითოსში“ გადაზრდილ ბოდვებს.

Во время образования в IV веке до н.э. Картлийского (Иберийского) царства Лоре-Ташири, а по Страбону Гогарена, как известно, входила в состав территории Грузии и населен был край грузинскими племенами. Еще раньше это место также являлось очагом возникновения древнегрузинской культуры, так как известно, в этом районе распространялась, была ее центром, знаменитая куро-аракская культура, которая является основой возникшей в дальнейшем восточно-грузинской культуры (ученый Климов).

Более до того, судя по тем источникам, которые нам оставили урарты, ассирийцы, персы, греки, — даже в эпоху существования таких могущественных государств как Царство Урарту, Мидийское царство (6 век), Ахменидский Иран (с середины 6 по 30 года 4 века до н.э.), Империя Александра, эта территория не входила в их состав, они ее не могли подчинить себе, оставались независимыми от них. Об этом также повествуют греческий историк, о том что: „Иберы не покорялись ни мидянам, ни персам, избежали даже македонского владычества“ (Плутарх. Помпей XXXIV).

Лишь самые южные территории, распространения иберийской народности, напротив северного берега Севан, были включены временно в состав Ахменидскй империи. Факт общеизвестный. Они платили дань и были включены в одну из ее сатрапий. Но более северные территории, а именно Лоре-Ташири оставались независимыми. (К.Патканов — историческая область Лоре-Ташири).

რაც შეეხება ამ ტერიტორიების დღევანდელ ეთნიკურ შემადგენლობას, სხვა მრავალ პატიოსან სომეხ მეცნიერებთან ერთად, ამერიკაში მოღვაწე ცნობილი სომეხი მეცნიერი როლანდ გრიგორ სუნი შემდეგნაირად ხსნის: „Армяно-грузинские спорные территории в разные исторические периоды контролировались как армянами, так и грузинами, но в течение девятнадцатого века и еще более — в период Первой Мировой войны — их мусульманское население (омусульманенные и отуреченные грузины — ред.) неуклонно сокращалось, а армянское население увеличивалось за счет потока беженцев от турецких массовых убийств. По мере эвакуации турецких войск из Закавказья, грузинскими войсками были заняты Ахалкалакский уезд и северная часть Лорийского р-на, в то время как армяне вошли в южную часть Лорийского р-на и в Памбак. Попытки разрешить территориальный спор мирным путем не увенчались успехом, и в начале декабря 1918 года начались военные действия.“(Рональд Григор Суни (выдержки из книги „Формирование грузинской нации“/ Индианополис/1994).

ასე რომ, ვარდანებო, ნუ ეპოტინებით მას, რაც არასოდეს გეკუთვნოდათ!

ვარდანა, გარდა ურა-პატრიოტიზმისა, უგზო-უკვლო ინტერნაციონალისტიც ყოფილა — ქართველთაგან საუკუნოობით „ჩაგრულ ხალხებს“ აფხაზებსა და „სამხრეთელ ოსებს“ სახელმწიფოებრიობის აღიარებასაც ჰპირდება და იმდენ, არმენებისთვის არ დამახასიათებელ გულუხვობასაც იჩენს — აფხაზეთს უბრუნებს ქართველთაგან წაღლეტილ ქუთაისსაც კი. აკი, ქუთაისსაც ხომ სომხურ ქალაქად ასაღებენ არმენი „მეცნიერები“ და „კოტად“ მოიხსენიებენ.

სედრაკიანი აპირებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას, მაგრამ მისი თანამემამულეები აფხაზეთსაც რომ სომხურად თუ სომხეთად ასაღებენ, ესაა ღიმილის მომგვრელი.

ხუმრობა იქეთ იყოს და, უკვე ორი თვეა ეს სედრაკიანი ახმოვანებს დაშნაკცუტუნის მიძინებულ ხვაშიადს, საქართველოდან კი სდუმან. სდუმს მთავრობა, სდუმან პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერები, სდუმს ინტელიგენცია და სამეცნიერო საზოგადოებაც.

რას ჰგავს ეს? როდემდე უნდა გვედგას კისერზე მონური სულის, ლაჩრულად ქედწახრილი მთავრობის უღელი?!

გადავხედოთ ამ სედრაკიანის გამონათქვამებს: „აფხაზეთს ქუთაისი უნდა დაუბრუნდეს“.

მისივე თქმით სომხები აფხაზებთან ვალში არიან, რადგან ისტორიულად იმ პერიოდებში, როცა საკითხი სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენას ეხებოდა აფხაზები მათ გვერდით იდგნენ (?).

«მოვიდა დრო ვალი დავაბრუნოთ. ჩვენ უნდა ვაღიაროთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ასევე გავაფორმოთ შეთანხმებები ამ სახელმწიფოებთან. ყველა გადმოცემით არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ ჩვენს ერებს გენეტიკური ერთობა აქვთ» (?) — აცხადებს სედრაკიანი. ფხიზლად, აფხაზებო, ფხიზლად!

«2008 წელს სამხრეთ ოსეთში მიმდინარე ომის დროს სომხეთს ჰქონდა ძალიან კარგი შესაძლებლობა, სამცხე-ჯავახეთში შეეყვანა ჯარი და ამისთვის ძალიან კარგი საბაბი არსებობდა: ერევანს ამის გაკეთება პრევენციული ზომის სახით შეეძლო, რადგან არ იყო იმის გარანტია, რომ ცხინვალის ოპერაცია ახალქალაქში არ განმეორდებოდა. მაშინ საქართველო სომხური ჯარის გაყვანაზე დიდ დათმობაზე წავიდოდა. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ქართველები ამის შესაძლებლობას ისევ მოგვცემენ და ამაზე მიუთითებს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის არა შორსმჭვრეტელი განცხადებები სომხების შესახებ»-აცხადებს ვარდან სედრაკიანი.

ფრიად საეჭვო და საგანგაშოა საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების „წაყრუება“ ამგვარი განცხადებების მიმართ.

ჩვენს ეჭვსა და აღშფოთებას კიდევ უფრო აცხოველებს ახლახან არმენი სეპარატისტის, ანტიქართული მოძრაობის ლიდერის ვაჰაგნ ჩახალიანის განთავისუფლება საქართველოს ციხიდან. გათავისუფლების პარალელურად, ჩახალიანმა საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა, რომელშიც ჯავახეთში მცხოვრები სომხების უფლებების მთელი რიგი საკითხებია ჩამოთვლილი.

«ჯერ კიდევ გადასაჭრელია ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის სამოქალაქო, ენობრივი, საგანმანათლებლო, რელიგიური და კულტურული უფლებების მთელი რიგი საკითხები — ჩამორთმეული ეკლესიების დაბრუნება, სომხური ენისთვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭება, ახალქალაქში სომხური უნივერსიტეტის გახსნა, რაიონებში რეალური თვითმმართველობის სისტემის დამყარება და სხვა. საქართველოს ახალი ხელისუფლების მოვალეობაა, სომხებით დასახლებული ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამოქალაქო სტრუქტურებთან დიალოგის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა».

ყოველივე ამის შემდეგ გელა ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ: „ჩახალიანი თუ აგენტია ბრალი აგენტობისთვის უნდა ჰქონოდა წაყენებული და არა იარაღის ტარებისთვის“. კომენტარი მკითხველს დავუთმოთ.

საყურადღებოა ისიც, რომ ჩახალიანის გათავისუფლების პარალელურად, საქართველოში ჩამოსვლის უფლება «ჯავახკის» სათვისტომოს თავმჯდომარეს შირაქ ტოროსიანს მისცეს.

ჩახალიანის გათავისუფლება გვაგონებს სამხედრო ხუნტის მიერ 1992 წლის იანვარში გათავისუფლებულ ოს სეპარატისტთა ლიდერის ტორეზ კულუმბეგოვის გათავისუფლებას თავისი შედეგებითურთ.

საქართველოს მთავრობის, ვიტყოდით, მონურად მორჩილი პოზიცია აორმაგებს ჩვენს ეჭვებს. გასულ თვეში საქართველოს პრემიერ-მინისტრი სტუმრობდა არმენიას, სადაც მას სომეხთა კათოლიკოსმა სამი მოთხოვნა წაუყენა და სამთავეს შესრულებას დაჰპირდა ივანიშვილი. რადიო თავისუფლების სომხური რედაქციისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ საქართველოს სკოლებში სომეხი ხალხის ისტორია სავალდებულო საგნად იქცევა.

განცვიფრებას იწვევს, აგრეთვე ბატ. ივანიშვილის მიერ გაკეთებული, საღ აზრს მოკლებული შემდეგი განცხადება: „მზად ვარ ხვალვე დავიწყო ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საკამათო ეკლესიების რესტავრირება.“

ბატონ პრემიერს შევახსენებთ, რომ ყოველი შენობა-ნაგებობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა, საქართველოს საკუთრებაა. და როცა ეკლესიაზეა საუბარი, რომელიც სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა სალოცავია, მაშინ მისი აღდგენა ხდება ამავე სარწმუნოების მრევლის მიერ და არა სახელმწიფო ხარჯებით. ეს ასეა ყველგან ! ყველაფერში მონურად გამორჩეული რატომ უნდა გახადოთ ჩვენი სამშობლო?

კიდევ უფრო საგანგაშოა ახალი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ანტიქართული ქმედება — აფხაზეთის რკინიგზის გახსნა. ესეც სომხური დაკვეთაა! მაგრამ ფიქრობს კი ვინმე, რა შედეგებს მოუტანს ეს საქართველოს?!

ეს ქმედება ხომ არ გააადვილებსა და დააჩქარებს სედრაკიანის, დაშნაკცუტუნისა და ჩახალიანის „ჯავაკახის“ გულისნადებს — რუსეთთან საერთო საზღვრის შექმნის შესახებ?

ბატონო პრემიერო, როდესაც თქვენ პირველად პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადეთ, კრწანიში დასვენებულმა ხრწნადმა ლეშმა შევარდნაძემ იმთავითვე გამოგიცხადათ მხარდაჭერა. სწორედ მაშინ გაჩნდა ჩვენში თქვენდამი უნდობლობის ეჭვი. ამ შიშს ამართლებს ყოველი დღე თქვენი ხელისუფლებაში მოსვლიდან. ბევრი უმწიფარი, ახლომჭვრეტელი პოლიტიკოსი თუ უბრალო ადამიანი, რომლებიც სააკაშვილის აღვირახსნილი რეჟიმის გადაგდებას და მისგან თავის დახსნას თქვენს მოსვლაში ხედავდა, ისევ ისეთივე გაბითურებული რჩება, როგორც 2003-2012 წლებში.

ბატონო პრემიერო, სააკაშვილის ხელისუფლების დირექტივების მიმცემი და მოკარნახე გარეწარი ჯორჯ სოროსი, ქართველმა ხალხმა შეიძულა, თქვენი მოსვლით ხარობდა რუტინა ობივატელი -არიქა გვეშველება, სოროსსაც ჩამოვიშორებთო, მაგრამ, თქვენც მშვენივრად შეუხმატკბილდით ამ საერთაშორისო ავაზაკს. ნუთუ, თქვენც სოროსის მრევლიდანა ხართ?!

გლახო კარგარეთელი

თანამედროვე ამბიანი

2012 წელს 22 დეკემბერს შესრულდა 21 წელი მას შემდეგ, რაც სამხედრო გადატრიალების გზით დამხობილი იქნა საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, რომლის არჩევა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ორსაუკუნოვანმა ბრძოლამ განაპირობა.

1990 წლის 28 ოქტომბერს, სწორედ საბჭოთა სივრცეში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, რის შედეგადაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლა კონსტიტუციური გზით და დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული სუვერენული სახელმწიფოს აშენება. აღსანიშნავია, რომ ზვიად გამსახურდიასათვის ხალხის ნება და კანონიერება უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენდა და ამიტომაც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმით გამოხატული მოსახლეობის ერთსულოვან ნებაზე დაყრნდობით გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ანუ 1801 წელს დაკარგული საერთაშორისო სამართლის სუბიექტობის სტატუსი საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს აღიდგინა (1918–1921 წლების დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა და არც ერთა ლიგამ არ აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა).

ამდენად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის უმთავრესი სამართლებრივი საფუძველი.

სამწუხაროდ, ამ ისტორიული მოვლენისადმი დამოკიდებულება სრულიად არაადექვატურია მის არსებით მნიშვნელობასთან, როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან. თუ კი მოვიშველიებთ შესანიშნავი მოაზროვნის და ფილოსოფოსის გერმანე ფაცაციას სიტყვებს, „რატომ ექცა ჩვენს ერსა და სახელმწიფოს 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვარი ჯოჯოხეთად და 1993 წლის 27 სექტემბრის ჯვართამაღლება–ჯვარცმად“, ეჭვგარეშეა, ნებათავისუფალ ქართველებს იმპერიული უღლიდან თავი არ უნდა დაეღწია:

– რადგან, გაბედა და თავისუფლების ნება გამოხატა 1989 წლის 9 აპრილს, 1990 წლის 28 ოქტომბერს უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარებისას, 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმზე, 1991 წლის 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე;

– რადგან, ეროვნულმა ხელისუფლებამ შუამდგომლობის გარეშე გამონახა საერთო ენა აფხაზებთან და 1991 წლის 29 სექტემბერს თანხმობისა და ნდობის ვითარებაში ჩატარდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

– რადგან, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის გონივრული პოლიტიკის შედეგად აფხაზეთთან მიმართებაში განხორციელდა მეტად მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებები: „საქართველოს სსრ“ შეიცვალა ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“, რითაც ბოლო მოეღო სეპარატისტთა ინსინუაციებს იმის თაობაზე, ვითომ კონსტიტუციურად აფხაზეთი მხოლოდ სსრ კავშირის შემადგენლობაში წარმოადგენდა საქართველოს სსრ ნაწილს და არა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში;

– რადგან, კანონი აფხაზეთის პოლიტიკურ–სამართლებრივი სტატუსის შესახებ ძალაში შედიოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რაოდენობის 2/3 და საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების მიერ მისი დამტკიცების შემდეგ (მუხლი 98);

– რადგან, 1991 წლის 27 აგვისტოს „აფხაზეთის ასსრ საყოველთაო სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ“ კანონის მე–5 მუხლს მე–3 ნაწილად დაემატა ის, რომ აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მესამედი ხმებით, რასაც ცალკე, ვერც აფხაზური და ვერც ქართველი მხარეები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მხარდაჭერითაც ვერ აგროვებდა. სწორედ ასეთი კონსტიტუციური ჩანაწერებითა და დამატებებით იყო დაცული აფხაზეთის პოლიტიკურ–სამართლებრივი სტატუსიც და საქართველოს მთლიანობაც;

– რადგან დამოუკიდებელი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე ნაბიჯ–ნაბიჯ მიმავალი ქვეყანა ე. წ. ვითომ „განახლებული კავშირის“ შემადგენლობაში ჩაეთრიათ;

რა გველის მომავალში? ალბათ, სასიკეთო არაფერი, თუ კი ასპარეზი დავუთმეთ ჩვენი დროის შადიმანებს.

ერთ–ერთმა მათგანმა ნაპოლეონ მესხიამ მორიგი მეხუთე კოლონის ჩამოსაყალიბებლად გამზადებულმა, 2011 წელს მის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „Как отторгалась Абхази“–ს გვერდებიდან, საკუთარი თავის ტრფობის ეშხით გაბრუებულმა, სეპარატისტებსა და კრემლის მაღალჩინოსნებს შეახსენა, რომ დროა დაიშალოს დღემდე დევნილობაში არსებული ლეგიტიმური აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, რატომ(?). იმიტომ, რომ დეპუტატმა ნაპოლეონ მესხიამ კარგად იცის დევნილობაში მყოფი კონსტიტუციურად ლეგიტიმური ა/რ უმაღლესი საკანონმდებლო სახელმწიფო ინსტიტუციის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ კავშირს საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცესთან რუსეთის მხრიდან მისი სრული ოკუპაციის პირობებში და სწორედ ამ მასაზრდოებელი ხაზის გაწყვეტას ლამობს ნ. მესხიას გაღმელი პარტნიორი. ამიტომაც ეპოტინება ყველაფერს, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს უქმნის საფრთხეს.

თურმე ნ. მესხიას აზრით: „... მხედველობაში არ ვიღებთ საქმის ვითარებას ყოფილ ავტონომიებში, გული მოგვდის, როდესაც მცირე იმპერიას გვიწოდებენ, თუმცა, მისი დამახასიათებელი ნიშნები უპირობოდ სახეზეა“. როგორც ვხედავთ ნ. მესხიამ რუსეთის მიერ მოსყიდულ, ჯუჯა სახელმწიფოებთან: ნაურუ, ტუალუ, ნიკარაგუასთან ერთად „ყოფილი ავტონომიები“ უპირობოდ ცნო მცირე იმპერიიდან განთავისუფლებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და წიგნის 23–ე გვერდზე ისტორიულ „გამართლებასაც“ უძებნის: „... ნამდვილად იბადება შეკითხვა: როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ოლქი, როდესაც ტერმინი „საქართველო“, როგორც ასეთი, ისტორიაში ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო „ქართლი“ და „ქართველი“ შეიქმნა აგერ ახლახან, თითქმის გუშინ, მე–15 საუკუნის შუაგულში“. აქ, ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული „ნაშრომის“ სულისკვეთება ნამდვილად ანტისახელმწფიოებრივია და მიმართულია მისი დაშლა–დანაწევრებისკენ. მკითხველს კი ვაუწყებთ, რომ ნაპოლეონ მესხია წიგნის VIII თავიდან პირდაპირ თუ მინიშნებით მოუწოდებს რუსეთს, არ დასჯერდეს აფხაზეთით და „მოხედოს“ სამეგრელოსაც, რომელიც არანაკლებ დაჩაგრულია საქართველოში, ვიდრე აფხაზეთი.

ჩვენს მიერ ზემოხსენებულ საკითხებზე საუბარი მიუთითებს არა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებით გამოწვეულ სავალალო შედეგებზე, არამედ, და უფრო მეტად იმაზე, რომ ორი ათეული წლის შემდგომაც „ციხეს“ შიგნიდან გატეხვის საშიშროება ემუქრება.

ნუგზარ მგალობლიშვილი

საქართველოს უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

სახელმწიფოებრივად საშიში ზაქარეიშვილი

რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი გაზეთ „კომერსანტთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება მზადაა აღადგინოს სარკინიგზო-საავტომობილო მიმოსვლა რუსეთთან აფხაზეთის გავლით. პირველ ეტაპზე ეს იქნება სატვირთო, შემდეგ კი უკვე სამგზავრო სახით.

„ჩვენ უნდა შევწყვიტოთ საკითხის პოლიტიკურად მოტივირება და პრობლემა ეკონომიკურ ასპექტში უნდა განვიხილოთ“.პაატა ზაქარეიშვილმა აქვე აღნიშნა, რომ სარკინიგზო საკითხი დევნილების დაბრუნების თემასთან მიბმული არ უნდა იყოს.

ჯერ კიდევ რეინტეგრაციის მინისტრობის კანდიდატად ყოფნისას პაატა ზაქარეიშვილი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მხარეებად აღიარების აუცილებლობაზე საუბრობდა და აცხადებდა, რომ «ქართულ-რუსული კონფლიქტის» ცნების პარალელურად «ქართულ-ოსური» და «ქართულ-აფხაზური» კონფლიქტების ცნებებიც უნდა არსებობდეს.

პაატა ზაქარეიშვილი და მისი მთავრობა იგნორირებას უკეთებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასა და რფ-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბორის ელცინის მიერ 1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში ხელმოწერილ დოკუმენტს, რომლის ძალითაც შიდა ქართლის (სამაჩაბლოს) საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივად გამოცხადდა. განცხადებაში ყველგან «სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის» ნაცვლად დაფიქსირებული და ნახსენებია ყოფილი სამხრეთ ოსეთი, სამაჩაბლო ან შიდა ქართლი!

საქართველოს ახლადმოვლენილმა დე ფაქტო მთავრობის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა მრავალჯერ დაამუნათა საქართველოს ეროვნული ხელისუფლება და კანონიერი პრეზიდენტი კადრების და მართვის გამოცდილების არქონის გამო.

ჩვენს უკიდურეს აღშფოთებას იწვევს ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის საეჭვო საკადრო პოლიტიკა.

პაატა ზაქარეიშვილსა და მის პარტიას ამ საკითხებისადმი ყოველთვის ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ჰქონდათ:

2001 წლის 19-23 მარტს, სოჭში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ასპექტების განხილვის ფარგლებში დისკუსია გაიმართა, რომელზეც „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“ განიხილეს. თინა ხიდაშელი, ნათელა აქაბა, ემზარ ჯგერენაია, ზაზა შათირიშვილი, არდა ინალიფა, ჯონ პოლ ლედერახი, დავით ბერძენიშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ბატალ კობახია — და სხვა მონაწილეები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების სხვადასხვა გზებსა და საშუალებებზე მსჯელობდნენ. ამ შეხვედრაზე პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა: „აფხაზური საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ განვითარებულ, ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია. თუკი ჩვენ ახლა ვაღიარებთ აფხაზეთს, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. აფხაზეთის აღიარება (ღმერთმა ქნას) მოხდება მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს პირობებში. მაგრამ ეს ძალიან გრძელი პროცესი იქნება. შესაძლოა, ბოლო აკორდიც კი გახდეს. აფხაზეთის აღიარებით საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრიობა დაიწყება. მაგრამ ეს გვიან მოხდება, ამიტომაც თქვენ მოცდა არ უნდა გიღირდეთ.“

ასეთივე პოზიცა გააჩნიათ რესპუბლიკური პარტიის სხვა ლიდერებსაც.

აუცილებელია ქართველმა ხალხმა ხმა აღიმაღლოს ამ ამ ხალხის მოღალატური პოზიციისა და ქმედების წინააღმდეგ!

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტი დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს პაატა ზაქარეიშვილმა და ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნოს ეროვნული ცნობიერების მქონე და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მტკიცე გამტარებელი და დამცველი პიროვნება!

თუ ეს არ მოხდება, სამუდამოდ დაიკარგება რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და ეს იქნება საქართველოს შეუქცევადი რღვევის დასაწყისი, რაზეც პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამჟამინდელ დე ფაქტო მთავრობის თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს.

გლახო კარგარეთელი

ვინ იყო ჟაკინი და რანი არიან მისი ქართველი მიმდევრები

გაგრძელება, დასაწყისი-“განმათავისუფლებელი“, N33, გვ. 17,18,19

დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები 1832 წლის შეთქმულების მთავარი სულის ჩამდგმელები იყვნენ, ხოლო ა. ორბელიანი და ე. ერისთავი ძირითადი ორგანიზატორები შეთქმულების მზადებისა. 1832 წლის შეთქმულება რომ ნასაზრდოებია მასონ დეკაბრისტების მიერ, ეს კარგად არის ცნობილი. 1825 წლის 24 დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ ბევრი სინიოსტი და მასონი დეკაბრისტი საქართველოში გადმოასახლეს. მათ საიდუმლო ორგანიზაციები შექმნეს თბილისსა და ქუთაისში.

1832 წლის შეთქმულება ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებმა თავისუფლებისათვის ბრძოლად აღიქვეს და მისთვის სერიოზულად შეუდგნენ მზადებას, რაც სრულებით არ შედიოდა სიონისტურ-მასონურ გეგმაში. მათ ეს შეთქმულება გასცეს, ჩაშალეს და მთელი პასუხისმგებლობა ქართველ პატრიოტებს ააღებინეს, თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე მასონ ქართველს, რომელთაც მცირე სასჯელი აკმარეს.

ვერ მიაღწიეს რა მსოფლიო სიონისტებმა თავიანთი გეგმების განხორციელებას „ტრადიციული“ მეთოდებით, ხალხის მასების გასაბრიყვებლად გამოიყენეს კომუნიზმის აბსურდული იდეები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მეთაურობით.

თვით კომუნიზმის აბსურდული იდეების მამამ, სიონისტმა კარლ მარქსმა, საქართველოს სასიქადულო შვილს — ნიკო ნიკოლაძეს შესთავაზა ყოფილიყო ამიერკავკასიაში პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი. ნიკო ნიკოლაძე არ გაბმულა ამ მახეში და სასტიკი უარი განუცხადებია მარქსისადმი. თუმცა შემდგომ ქართველი მასონების „მოღვაწეობას“ საქართველოსა და საქართველოს გარეთ ჩვენი სამშობლოსათვის უკვალოდ არ ჩაუვლია და საქართველოს სოციალ -დემოკრატიული პარტიის ყველა მეთაური (შემდგომში ბოლშევიკებად და მენშევიკებად მონათლული) მასონი იყო. მასონები იყვნენ: კ. ჩხეიძე. ე. გეგეჭკორი და მრავალი სხვა. კარლო ჩხეიძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ისეთ სიონისტებთან, როგორებიც იყვნენ ულიანოვი (ლენინი) და ტროცკი. აგრეთვე, მასონები იყვნენ იასონ ბახტაძე — ქუთაისელი იურისტი, პეტრე ყიფიანი — ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამავე პარტიის წევრი ალ. დიოგოლოძე — თბილისელი ექიმი, ასევე ლიმ აბაშიძე — თანაპარტიელი მათი. 1911-1925 წლებისათვის თბილისსა და ქუთაისში უკვე იყო მასონური ლოჟები. 1915 წელს ქუთაისში კარლო ჩხეიძეს, ე. გეგეჭკორსა, გ. ზდანოვიჩს ჩამოსულ მასონ ურუსოვთან ერთად დაუარსებიათ კავკასიის ლოჟა. აი, ამ დროიდან იწყება საქართველოს წინააღმდეგ ტოტალური შეტევა.

სოციალ-დემპკრატიული პარტიის ორივე ფრთა, როგროც მენშევიკური, ასევე ბოლშევიკური, მასონებისაგან შედგებოდა და დედა სამშობლო საქართველოს წინააღმდეგ ღესავდნენ მახვილს, თუ როგორ გაყიდეს მათ სამშობლო, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

საქართველოში გარდა ქართველი მასონებისა სხვა ეროვნების მასონებიც „მოღვაწეობდნენ“, ასეთები იყვნენ მაგ: ქალაქ თბილისის თავები ვერმიშევი და ხატისოვი. თბილისში იყო,აგრეთვე მასონური სომხური ორგანიზაცია „დაშნაკცუთიუნ“, რომლის საიდუმლო მიზანი იყო „დიადი“ არმენიის შექმნა (რა თქმა უნდა ეს ლოზუნგი გამოგონილ იქნა სომეხი ხალხის გასაბრიყვებლად, ვინაიდან მასონები ხომ ყოველგვარი ეროვნული სახელმწიფოების წინააღმდეგი არიან). სინამდვილეში ეს შავბნელი ძალები გამოყენებულ იქნენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მოსასპობად (ამ მიზნებს ემსახურება დღესაც ეს ორგანიზაცია. გავიხსენოთ როგორ ებღაუჭებიან ისინი სამხრეთ საქართველოს და როგორ უნდათ ამ მიწების წაგლეჯა ჩვენი სამშობლოსათვის).

ადამიანი, რომელიც გათვითცნობიერებული არ არის იმ ძალების საქმიანობაში, რომლებსაც მასონები და სიონისტები წარმოადგენენ, გაკვირვებული დარჩება და ვერ წარმოუდგენია ის ფაქტი, რატომ ხდებოდნენ ვერმიშევები და ხატისოვები ქალაქის თავებად, როცა მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი ქართველები, როგორებიც იყვნენ ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ნ. ნიკოლაძე და სხვები.

ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას XIX საუკუნის შუახანებიდან და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სასიქადულო შვილი, წმინდა ილია მართლად შერაცხული — ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. მისმა თავდადებულმა მუშაკობამ აიძულა რუსეთის მონარქია საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომია მიეცა, რაც სრულებით არ შედიოდა რუსეთის სიონისტურ-მასონური წრეების გეგმაში. მათ გადაწყვიტეს ქართველი ერის საყვარელი შვილი ილია ჭავჭავაძე ფიზიკურად გაენადგურებინათ და ქართველმა მასონებმა, რომლებიც თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებდნენ, სიონისტების დავალება პირნათლად შეასრულეს. 1907 წელს სიონისტებმა ი. ჭავჭავაძე მოკლეს და ამით ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ზურგში ლახვარი ჩასცეს, თუმცა კი, მიუხედავად ყოველივესი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წყალობით ქართველი ერი სრულად გაერთიანდა, რაც 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფო დამოუკიდებლობით დაგვირგვინდა.

მაგრამ პარადოქსი იმაში გახლდათ, რომ დემოკრატიული საქართველოს სადავეები ხელში ჩაუვარდათ ქართველ მასონებს, ე.წ. სოციალ-დემოკრატებს მენშევიკების სახით, რომლებსაც სრულებით არ უნდოდათ რუსეთის იმპერიიდან გამოყოფა და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა. ისინი მხოლოდ ქართველი ერის მოთხოვნით წავიდნენ ამ ნაბიჯზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი შექმნის პირველსავე დღეებიდან გრდემლსა და ურის შორის იდო, როგორც რუსეთის იმპერიის ასევე ოსმალეთის იმპერიის მხრიდანაც. საქართველოს წინააღმდეგ მის მასონურ მთავრობასთან ერთად გაერთიანდა მსოფლიოს სიონისტური და მასონური ძალები.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის რუსეთის იმპერიის სახით სიონისტებმა საქართველოს სახელმწიფოს შინაურ საქმეებში დაიწყეს ხელის ფათური. ზოგიერთი „სეციალისტი“ ამას იმით ხსნის, რომ ჩვენი ქვეყანა მდებარეობს განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ ტერიტორიაზე და ეს ტერიტორია სხვადასხვა იმპერიას, თითქოსდა თავიანთი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის სჭირდება (ისევ წინა ხაზზე გამოდის სიონისტების მიერ გავრცელებული შიშველი მატერიალისტური საკითხი ეკონომიკაზე. რა თქმა უნდა, ეს სინამდვილეს არ შეეფერება და თუ შეეფერება, მხოლოდ ნაწილობრივ).

საქმე უფრო რთულადაა და ეს პრობლემა უფრო სულიერ ასპექტს შეეხება და მდგომარეობს შემდეგში: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, სადაც ჩვენ ვხედავთ „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამამდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან!...

და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაიჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა“.

გარდა ამისა, ვინც ყურადღებით წაიკითხა და შეისწავლა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნაშრომი „საქართველოს სულიერი მისია“ და საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ნაშრომი „ფიქრები საქართველოს სულიერ მისიაზე“, ან კიდევ გაუგონია გასული საუკუნის დიდი რუსი მართლმადიდებელი წმიდანის სერაფიმ საროველის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ როცა მთელი ქრისტიანული სამყარო წარიყვნება და განუდგება ქრისტეს, მაშინ დარჩება ერთი პატარა მიწის ნაგლეჯი, საიდანაც წამოვა მართლმადიდებლობის გაბრწყინება, და ამ მიწას ივერია ჰქვიაო, მკითხველისთვის ნათელი გახდება, რომ ყურით მოთრეული საკითხი ეკონომიკის შესახებ სიცრუეა და მეტი არაფერი. რა ეკონომიკაზე იყო საუბარი 1924 წელს, როცა წითელი რუსეთის სიონისტებმა გამოაცხადეს: „ სანამ საქართველო არსებობს, მანამდე ჩვენი ხელისუფლება საფრთხეშია, ამიტომ საქართველო უნდა გადაიხნას“.

განა არ იციან სიონისტებმა, რომ საქართველოში ინახება ღვთისმშობლის პერანგი, წმინდა გიორგის მარჯვენა მკლავი, რომლითაც მან მათი დიდი წინაპარი ბნელეთის მოციქული გველეშაპი განგმირა, წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი. ასევე საქართველოს მიწასაა მიბარებული ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს კვართი. დიახ, ყველაფერი ძალიან კარგად უწყიან და იციან ისიც, რომ საქართველოდან წამოვა ის ძალა, რომელიც საბოლოოდ შემუსრავს მათ შავ-ბნელ მეუფებას.

ქართული ეკლესია რუსმა სიონისტებმა გაანადგურეს, ააოხრეს და გაძარცვეს და ნაძარცვი ქონება რუსეთში გაზიდეს. ეკლესიაში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აკრძალულ იქნა. ეკლესიის განადგურების შემდეგ ჯერი თავად-აზნაურობაზე მიდგა, რომელთა უმეტესი ნაწილი მეფის ოჯახთან ერთად რუსეთში გადაასახლეს. იქ ადგილობრივი მასონები ყველანაირად ცდილობდნენ მათ გარყვნას და სიონისტურ მოძრაობაში ჩაბმას. ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი დიდი ნაწილი არ აჰყოლია მასონთა აბსურდულ იდეებს, მაგრამ მაინც აღმოჩნდა მცირე ნაწილი ისეთი, რომელთაც შეითვისეს მასონური იდეები და მომავალში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლებად მოევლინენ საქართველოს და ძლიერ უარყოფითი როლი ითამაშეს მისი ისტორიის განვითარებაში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიძრაობის აღზევებისას ამ ბნელმა ძალებმა საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ მომართეს წითელი მასონური სისტემის პროდუქტი „საბჭოთა ინტელიგენცია“, მათ მიერვე შექმნილი „არაფორმალური გაერთიანებები“, საზოგადოებები, პოლიტიკური პარტიები, მათ მიერ განახორციელეს თავიანთი რევანში ახლადფეხადგული საქართველოს, მისი კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების, საერთოდ ქართველი ერის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოში შეიქმნა მრავალი პოლიტიკური გაერთიანება, მათ შორის უპირველესი (თუ არ ჩვათვლით საქართველოს ჰელსინკის ჯგუფს, რომელიც სამოცდაათიანი წლების შუახანებში დაარსდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მიერ) იყო ილია ჭავჭავაის საზოგადოება, რომელშიც დასაწყისში გაერთიანებული იყო სხვადასხვა შეხედულებებისა და ორიენტაციის ხალხი. 1988 წლის შემოდგომისათვის უკვე გაჩნდა ამ საზოგადოების ახალი ფრთა — ილია ჭავჭავაძის საზოგადოება — მეოთხე დასი, რომლის ბირთვს წარმოადგენდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია...

ხოლო იქითა ნაპირს აღმოჩნდნენ საბჭოური ინტელიგენციის წარმომადგენლები და მოდისიდენტო პიროვნებები, რომლებსაც, გარდა აზრთა სხვადასახვაობისა, აერთიანებდათ ზვიად გამსახურდიასადმი, რბილად რომ ვთქვათ ბიოლოგიური სიძულვილი და პირადი ამბიციები.

ეროვნული ფორუმიდან ჭეშმარიტი ეროვნული ძალების გამოსვლის შემდეგ, კრემლის მესვეურებისა და მათი ქართველი დამქაშებისათვის ნათელი შეიქმნა, რომ საქართველოში პოლიტიკური მოვლენები მათთვის სასურველი კალაპოტიდან ვარდებოდა და უფრო აძნელებდა მასზე კონტროლის მცდელობას. ფსევდოპატრიოტული და ფსევდოდემოკრატიული პარტიები თუ ორგანიზაციები, რომელთა უმრავლესობა ცკ-სა და სუკი-ს განჩინებით იქნა შექმნილი, დაუპირისპირდა ფორუმიდან გასულ ორგანიზაციებს, რომლებმაც მალევე შექმნეს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება — „მრგვალი მაგიდა“.

ამ გაერთიანების ლიდერი გახდა ზვიად გამსახურდია. მის წინააღმდეგ გაჩაღდა ცილისწამების კამპანია. საქართველოს უშიშროების კომიტეტის წევრები „საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად“, წესისამებრ, სხვას წამებენ მას, რანიც თვითონ არიან. ამათ ამქარს სათავეში ედგა ე. წ. ეროვნულ – დემოკრატიული პარტია გია ჭანტურიას თავკაცობით.

ჭეშმარიტმა ეროვნულმა მოძრაობამ აიძულა საქართველოს მარიონეტული საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი, გადაედგა ქვეყნის თავისუფლებისაკენ მიმართული ნაბიჯები. კონგრესის მტკიცებით — ეს ფრთა თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რაიც მათთვის კომპრომისს ნიშნავდა და მიუღებელი იყო. თითქოსდა საბჭოთა კანონმდებლობის ფარგლებში ექცეოდა დისიდენტური მოძრაობა.

არა და საქმე სულ სხვაგვარად იყო. ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით, საქართველოს მაშინდელმა უკანონო საბჭოთა რეჟიმმა მიიღო მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც გზას უკაფავდა საქრთველოში მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნების ჩატარებას:

1990 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რომელშიც ნათქვამია:

„საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო

— ადასტურებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, ფაქტობრივ ანექსიას;

— გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს...

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად

— 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერა-

გაგრძელება გვ. 18

დასაწყისი გვ. 17

ციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის;

— 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ.

დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია“.

ამდენად, 1921 წელს განხორციელებული კომუნისტური აგრესიის გზით ხელისუფლებაში მოსულთა სამართალმემკვიდრის — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ, საქართველოში ძალით დამყარებული თითქმის 70 წლიანი მმართველობა გამოცხადდა უკანონოდ, ეს აისახა კიდეც 1990 წლის 20 ივნისის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:

„... აღნიშნავს რა, რომ ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარებული ხელისუფლება (რევოლუციური კომიტეტები), ხოლო შემდეგ შეზღუდული, ვიწრო კლასობრივ საწყისებზე აგებული საბჭოები — არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად ყველა აქტს, რომელიც აუქმებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სხვა სამართებლივი დაწესებულებებით...“

ყოველივე აღნიშნული სამართლებრივი და იურიდიული საფუძველი გახდა საქართველოში ახალი, კანონიერი, მრავალპარტიული არჩევნების ჩასატარებლად.

„1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკაში განვითარებული მოვლენების შეფასების საკითხისათვის“ „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა“: უფალია ჩვენი სიმართლე“-ს ლასკარის თავმჯდომარე მიხეილ(გელა) სალუაშვილი

არც „საბჭოთა კავშირის“ კანონმდებლობა და მითუმეტეს, არც საქართველოს სსრ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მრავალპარტიულ არჩევნებს. ამდენად, მრავალპარტიული არჩევნები უკვე ვეღარ ჩაითვლებოდა საბჭოურ არჩევნებად. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს ერქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები (ამოღებულია სსრ) და არა-საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები (ეროვნული ძალების ზეწოლის შედეგად ესაც ამოღებულ იქნა).

საბჭოთა კანონით, ყველა პარტია თუ ორგანიზაცია რეგისტრაციას გადიოდა იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ, იმის გამო, რომ არც საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა და მითუმეტეს არც საქ.სსრ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მრავალპარტიულობას, ყველა პარტია დარეგისტრირდა მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ესეც ეროვნული ძალების ზეწოლის შედეგად მოხერხდა).

აქვე უნდა განიმარტოს, თუ რატომ იყო ეს არჩევნები არასაბჭოთა: არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ორგანიზაციების რეგისტრაციას ახდენდა არა საბჭოთა ხელისუფლება, არამედ პარიტეტულ საფუძველზე არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისია. ამასთან, საბჭოთა იმპერიაში პირველად არჩევნებს ზედამხედველობას უწევდნენ უცხოეთიდან ჩამოსული საერთაშორისო დამკვირვებლები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები იყო „საბჭოთა კავშირის“ სივრცეში ჩატარებული პირველი „მრავალპარტიული“, თავისუფალი არჩევნები — რომლის მეთვალყურეობას ატარებდა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს ასობით მეთვალყურე.

იმ პერიოდში კვისლინგებმა წამოაყენეს ეროვნული კონგრესის არჩევნების იდეა, რომლის არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 30 სექტემბერს, რომელიც ათ დღეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. კონგრესში გაერთიანდა ცკ-ს მიერ იმ პერიოდში შექმნილი ე. წ. არაფორმალური ორგანიზაციები და პარტიები, რომლებშიც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ გადემოკრატებული კომუნისტი ფუნქციონერები, საბჭოური ინტელიგენციის წარმომადგენლები და სუკთან ფარულად თუ აშკარად გარიგებული პერსონები, რომელთა ძირითადი მიზანი იყო კონფრონტაცია ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებთან. ისინი ხომ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ. ამას ადასტურებს თვით გია ჭანტურია:

„მოსალოდნელია მკვეთრი კონფრონტაცია კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის. კონგრესი ალბათ მიმართავს უკიდურეს რადიკალურ პოლიტიკასა და ზომებს უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ. ჩვენ გვსურს, შეძლებისდაგვარად, უზენაესი საბჭოს კომპრომეტირება და მისი, ასე ვთქვათ, საქართველოს გარეშე დატოვება. კონსენსუსი ჩვენს შორის შეუძლებელია. თუ ჩვენ კონსენსუსზე წავალთ, უნდა დავუთმოთ მტერს, რაც არ მოხდება, ეს შეუძლებელია, ჩვენ არ წავალთ ასეთ ნაბიჯზე“ გია ჭანტურია (გაზ. „რესპუბლიკა არმენია“, 1990 წ., 22 ნოემბერი).

ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება საზოგადოებას შევახსენოთ ამ მოღალატეთა ქმედებები იმ პერიოდში:

დისიდენტად შემოსაღებული **ლუიზა შაკიაშვილი:** „მოგიწოდებთ ყველას გვერდში ამოგვიდგეთ... დრო აღარ ითმენს, სატანას ცეცხლითა და მახვილით უნდა გავუსწორდეთ.“

ელდარ შენგელაია: „ჩემი აზრით, ოპოზიციას უნდა ეყოს გონიერება, რომ დღევანდელი მდგომარეობა შევინარჩუნოთ. გარკვეული დაპირისპირების არსებობა აუცილებელია...“ („დრონი“, 4.X.91).

ირაკლი წერეთელი: „პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მტკიცე გადაწყვეტილება, გვარდიელებსა და ნებისმიერ შეიარაღებულ ძალას უნდა მოუწოდონ, რომ გამსახურდია იარაღის ძალით იქნეს გადაყენებული...მე და ჩემს პარტიას მიღებული გვაქვს ასეთი გადაწყვეტილება — ან ჩვენ ვიქნებით საქართველოში ან გამსახურდია იქნება, ან ჩვენ დავიხოცებით, ან ის, რადაც უნდა დაჯდეს ეს... ჩემი აზრით, ეს არის აუცილებელი, რომ გამსახურდია იქნეს ჩამოგდებული. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. („სოფლის ცხოვრება“, 25.IX.91).

ირაკლი წერეთელი: „ზვიად გამსახურდიას განთავისუფლებული საქართველო ჩვენ არ გვინდა.“ (გაზ. „თვალთაი“, 22-28 ნოემბერი, 1996 წ.)

არ უნდოდა და ძმათამკვლელი ომისკენ მოუწოდებდა გარეწრებს. **ირაკლი წერეთელი:** „პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მტკიცე გადაწყვეტილება, გვარდიელებსა და ნებისმიერ შეიარაღებულ ძალას უნდა მოუწოდონ, რომ გამსახურდია იარაღის ძალით იქნეს გადაყენებული...მე და ჩემს პარტიას მიღებული გვაქვს ასეთი გადაწყვეტილება — ან ჩვენ ვიქნებით საქართველოში ან გამსახურდია იქნება, ან ჩვენ დავიხოცებით, ან ის, რადაც უნდა დაჯდეს ეს... ჩემი აზრით, ეს არის აუცილებელი, რომ გამსახურდია იქნეს ჩამოგდებული. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. („სოფლის ცხოვრება“, 25.IX.91).

მზექალა შანიძე: „ისინი უნდა მოისპონ, როგორც კუთხეში მომწყვდეული ვირთხები“.

ავაზაკები ერთურთს ეჯიბრებოდნენ მკვლელების წაქეზებასა და ქვეყნის მოშთობის საქმეში.

აი, რას ამბობს ცხრა მთავრობა გამონაცვალი, ძლიერთა ამაქვეყნისებთან ყოველთვის ახლო მდგომი დიდი ოჯახის შვილი ელდარ შენგელაია: „ბანდიტები უნდა მოშორდნენ საქართველოს, როგორც შავი ჭირი“. მისმა ძმამ გიორგიმ სხვა ინტელიგენტ მკვლელებთან ერთად იჯევანამდის მისდია სამშობლოდან დევნილ მამულიშვილებს.

ელდარ შენგელაია: „ჩემი აზრით, ოპოზიციას უნდა ეყოს გონიერება, რომ დღევანდელი მდგომარეობა შევინარჩუნოთ. გარკვეული დაპირისპირების არსებობა აუცილებელია...“ („დრონი“, 4.X.91).

რამაზ კლიმიაშვილი: „ახლა ყველა განათლებული ადამიანი ხედავს, რომ გუმბარიძის რეჟიმმა ხელისუფლება თეფშზე დადებული მიართვა „მრგვალ მაგიდას“, კი მაგრამ, რატომ?“(„საქართველო“ 12.XI.91).

ახლა ვიხილოთ მეორე, კომუნისტურ ღუმელში ნაწრთობის „ეკონომიკურ მეცნიერებათა სასწაულმოქმედის“ **ვალერიან ადვაძის** ნაბოდვარი: „ჩვენ ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი სახალხო ფრონტის ჩამოყალიბებას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხმა და სახალხო ფრონტის ხმა ერთად იქნება ერის ხმა, მთელი ხალხის ხმა“(გაზეთი „თბილისი“, 27.IV.89). „მე და ჩემმა კოლეგებმა საპრეზიდენტო არჩევნების წინ დიდხანს ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ საჭირო იყო სხვა კანდიდატი და მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით, ვერ გავიდოდით... მაინც უნდა დავპირისპირებოდით, არა მარტო მე, არამედ, რაც შეიძლება მეტი კანდიდატი მაინც, რათა რაც შეიძლება მეტი პროცენტი წაგვერთმია მისთვის...“ („ახალგაზრდა ივერიელი“, 28.IX.91).

როგორც ვერვინ დათვლის ზღვაში ქვიშას, ისე ვერვინ ამოკრებს იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებიდან ამათ ნანთხევ გესლსა და შხამს! ამ ბელზებელთა ვაკქანალიაში კი ტოლს არავის უდებდა ე.წ. **ედპ:** „პრეზიდენტის მმართველობის დღეები დათვლილია!“ (ირ. სარიშვილი, „დრონი“,27.X.91).

არაკაცთა პირადი ანგარიშსწორების მსხვერპლის, ქართველი მაძინისტის მეუღლე მკვლელობაში ბრალს სდებდა საქართველოს უშიშროების კომიტეტის იმდროინდელ თავ-რეს, ბოლშევიკთა სახელოვანი ოჯახის პირმშოს იგორ გიორგაძეს: „თავად ირინა სარიშვილი მეუღლის მკვლელობაში ბრალს უშიშროების სამსახურს და იგორ გიორგაძეს სდებდა. ამ ეჭვს შემდეგი გარემოებაც აძლიერებდა: მკვლელობიდან მალე ედუარდ შევარდნაძემ იგორ გიორგაძე დააჯილდოვა და გენერალლეიტენანტის წოდებაც მიანიჭა. მაშინ ხელისუფლების ოპონენტები ამბობდნენ, — შევარდნაძის გულუხვობა სწორედ ჭანტურიას მოშორებით იყო გამოწვეულიო. ამის შემდეგ „ეროვნულ-დემოკრატიულმა“ ფრაქციამ პროტესტის ნიშნად პარლამენტის დარბაზი დატოვა. თუ საზოგადოების აზრი მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით გაყოფილი იყო, ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ტერაქტის შემსრულებელი „მხედრიონი“ უნდა ყოფილიყო. სწორედ მისი ხელწერისთვის იყო დამახასიათებელი თბილისის ქუჩებში სისხლიანი ვაკქანალიების მოწყობა. მკვლელობის მიზეზად ერთხანს ჭანტურია-იოსელიანის კონფლიქტიც სახელდებოდა“.(ნინო ბურჭულაძე“საუკუნის პროცესი“ გაზ. „კვირის პალიტრა“ 12-12-2011).

გადის წლები და ჭანტურიას ნაქვრივალი იგორ გიორგაძის საქველმოქმედო ფონდისა და პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ ხელმძღვანელი ხდება.

კანონიერი და ეროვნული ხელისუფლების დამხობაში საქართველოს ედპ-დ წოდებული სატანისტ მაძინის მიმდევრების ხროვის ლომის წილს ადასტურებს ედპ-ელი **მამუკა გიორგაძე:** „ვინ თქვა, რომ „ედპ“-ს წევრები დეკემბერ-იანვარში არ ომობდნენ?“ (გაზ. „დრო“, #45, 1997წ.)

ქართველი მაძინისტების მამხილებელია კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც წიგნად გამოსცა ქართველი კრიმინალების უსტაბაშმა, კმუნისტების მიერ გაპროფესორებულ-გადრამატურგებულმა ჯაბა იოსელიანმა.

„ზვიად გამსახურდიასთან ბრძოლისთვის შექმნილ „საგანგებო კომიტეტის შემადგენლობისთვის რასაკვირველია გამოვრიცხე საბჭოთა ნომენკლატურული მოდელი. წევრებად შევიყვანე: გია ჭანტურია, გოგა ხაინდრავა, გია ჟორჟოლიანი, მთავრობის სახლთან დახეიბრებული ინტელექტუალი, ყოფილი გვარდიელი კახა გველესიანი, დავით მაღრაძე, ძალოვანი სტრუქტურის მინისტრები: გია ყარყარაშვილი, ავთანდილ იოსელიანი, ირაკლი ბათიაშვილი, შევარდნაძის აპარატის ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე. თბილისში გამოვაცხადეთ კომენდანტის საათი. კომენდანტად დავნიშნე ზაზა ჩაჩუა...

მიხარია, რომ ბიჭები აქტიურობენ. გია ჭანტურია კისრულობს ედპ–ს 200 კაციანი რაზმის შეკრებას და დასავლეთ საქართველოში გაგზავნას, ოღონდ იარაღს თხოულობს, ინტელიგენციაში ფულს აგროვებს იარაღისა და სხვა დანიშნულებისათვის დათო მაღრაძე. ვიბარებ გამგებლებს და ვთხოვ, შეაგროვონ შემოწირულობანი კომიტეტის ფონდისათვის. გია ჟორჟოლიანი თეორიულ საბუთებს ამზადება. ერთი ყარყარაშვილი და ბათიაშვილი ვერ არიან მონდომებულები. ყარყარაშვილი ჯერ თავს იფასებს, ერთი–ორჯერ დაესწრო ჩვენს შეკრებებს და მერე მოადგილეებს გზავნის. ბათიაშვილი უხერხულად გრძნობას თავს. ძალაუფლებაში ჩემს ოფიციალურ დაბრუნებას არ მოელოდა...

ხონში ჩადის გია ჭანტურია თავისი ხალხით. გადაიბარეს მხედრიონის პოზიციები. მხედრიონი სამარქაფოდ დიდ ჯიხაიშში გადმომყავს. გია ჭანტურია, როგორც მას სჩვევია, მთელი ენერგიით შეუდგა ასე ვთქვათ კომისრის მოვალეობის შესრულებას. ქალაქში ი დაიწყო ზვიადისტებისა და მეხუთე კოლონის აღმოჩენისა და ძიების პროცესი. ცოტა ზედმეტად გაერთო ამ ამბით, ჩავდივარ ხონში. ქალაქის გამგეობაში დაუდევთ ბინა. დაკითხვებს აწარმოებს თვით გია ჭანტურია. დაშინების მიზნით ფეხებში სროლა და დაჭრაც ყოფილა. კაბინეტში ხალხმრავლობაა. დიდი ხნის შეღამებულია.ელექტრონის შუქზე გიას სახე არ ჩანს, სამაგიეროდ მისი ზორბა ტანი მეტყველად მოძრაობს. ეგზალტირებულია, ეტყობა, ვიღაც ჰყავდა დაკითხვაზე და აღშფოთებულია იმით, რომ ეს ზვიადისტები რა გაიძვერა და ნაყარი ხალხია. აქვეა რუსლან მიქაბერიძე. როგორც მეჩვენება, გიას მაგივრად ცოტა უხერხულ მდგომარეობაშია. არაფერს ვეუბნები, ან რა უნდა ვუთხრა. კაცი მთელი გულითა და სულით არის ჩართული. თუ სადმე გადაჭარბებს, სულ მალევე თვითონ მიხვდება. ასეთ საქმეში, თეატრის მსახიობის არ იყოს, ჯობს გადაჭარბო, ვიდრე დააკლო“.

1992 წლის 7 მარტს, ქართველი ერის წინააღმდეგობის სისხლში ჩახშობის შემდეგ, „ედპ“, სხვა კრიმინალებთან ერთად, აეროპორტში ეგებება ამ დანაშაულის მთავარ დამგეგმავსა და ორგანიზატორს, ქართველი ერის დაუძინებელ მტერს ედუარდ შევარდნაძეს ლოზუნგით: „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიესალმება ედუარდ შევარდნაძის ჩამობრძანებას“ (იხ. საქინფორმის ფოტოარქივი. თბილისის აეროპორტი, 1992 წლის 7 მარტი). როგორც ვხედავთ ეს ავაზაკები ორსახოვან იანუსებსაც კი უკან იტოვებენ! მაძინისტი ჭანტურია 1992 წლის მარტში ტელევიზიით მიმართავს მის კუმირს, მალტის მასონთა ორდენის წევრსა და მედლის კავალერს ე. ა. შევარდნაძეს და სთავაზობს პატრიოტების ამოხოცვაში დახმარებას: „...მე ვიცი სადაც არიან გამსახურდიას მომხრეები და თუ თქვენ არ შეგიძლიათ მათი აყვანა მე მზად ვარ ჩემი ხალხის დახმარებით დავიჭირო ისინი...“

ინტერნეტ სივრცეში, საიტ იბერიანაზე დევს Eeki Tbilisi – ის წერილი „გიტირეთ მაძინი!“, რომელშიც ავტორს სრულყოფილად აქვს განხილული ჭანტურიას ქმედებანი, მისი გამონათქვამები. ეს პუბლიკაცია კიდევ ერთხელ გვახსენებს თუ როგორი მუხანათური ზრახვები ჰქონდა მაძინისტ ჭანტურიას ზვიად გამსახურდიას მიმართ, სწორედ ამას ჰქვია დაუძინებელი მტერი. მოვიყვანთ მისი პუბლიკაციიდან რამოდენიმე ამონარიდს.

„როდესაც ჟურნალისტები ეკითხებიან თაღლით ჭანტურიას მასონების შესახებ, ის „კონსპირაციულად“ მალავს მათ არსებობას და ამბობს, რომ ეს თითიდან გამოწოვილი ზღაპრებიაო (1993 წლის ინტერვიუები გაზეთებში „ქართველ ერში“ და „ახალგაზრდა ივერიელში“).

არა და შემდეგ თვითონ ადასტურებს მათ არსებობასა და მათთან კავშირსაც. „ედპ“-მ ახალ ნაპუტჩარზე, 1994 წელს „მოიევროპა“, „მოამსერდამობის“ ამბებს ასე

→

← გადმოგვცემს მაძინაური ჭანტურია: „შემდეგ ჩვენ გადავედით ამსტერდამში და შევხვდით ცოტა სხვა ძალებს, რომლებიც ჩრდილში დგანან, მაგრამ ევროპულ პოლიტიკას ქმნიან“.

მასონ-მაძინისტი გიორგი ჭანტურია თავის ნამდვილ სახეს თვით მისი დანაქადნებით წარმოაჩენს: „კი მოვკლავდით გამსახურდიას, მაგრამ მთაწმინდაზე აასვენებენო“.

წინამდებარე პუბლიკაციის ავტორი 80-იანი წლების დასაწყისიდან მეტნაკლებად ჩართული ვიყავი მაშინ არსებულ დისიდენტურ მოძრაობაში, ამიტომ თავს უფლებას მივცემთ გავიხსენოთ მაშინდელი მოვლენები და სამზეოზე გამოვიტანოთ ზოგიერთი რამ, რაც ბევრისთვის უცნობია.

1988 წლის გაზაფხულიდან ქუთაისს მოევლინა ვანო ხუხუნაიშვილი, რომელიც თავს ეროვნული მოძრაობის წევრად და ქუთაისის კურატორად გვაცნობდა. როგორც ის აცხადებდა, მას დავალებული ჰქონია პატრიოტულად და ანტიკომუნისტურად განწყობილი ხალხის შემოკრება.

მართლაც შეიკრიბა ქუთათურთა მოზრდილი ჯგუფი და ხდებოდა რეგულალური შეკრებები. თავიდან თითქოს ყველაფერი რიგიანად მიედინებოდა. ქალაქში სისტემატიურად ჩამოდიოდა ვანო ხუხუნაიშვილი და მისი მეგობარი ვინმე ლერი მაკარიძე, რომელიც შემდგომ ვანოს მოადგილედა და მარჯვენა ხელად იქცა.

1988 წლის ზაფხულში, თერჯოლაში ხუხუნაიშვილის სახლში შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა ბატონი ზვიად გამსახურდია. თერჯოლაში ქუთაისიდანაც იყვნენ ჩასულები. ქუთათურ შეხვედრებზე ვანო ხუხუნაიშვილი შიგა და შიგ ისროდა გადაკრულ ფრაზებს, რომ ჩვენ უნდა მოვერიდოთ კერპების შექმნას და ვინმეს გაფეტიშებას. მივხვდი თუ რომელ ბოსტანში ყრიდა კენჭებსა და განვუცხადე, რომ ჩემთვის უკვე ნათელი იყო ამ ფრაზების მნიშნელობა და მიზანი და თუ ასე გააგრძელებდა მივატოვებდი შეკრებებს. ჩემს ნათქვამს მხარი დაუჭირა იქ მყოფთა დიდმა ნაწილმა და ბატონი ვანო მიხვდა რომ აღარ გაუვიდოდა ამგვარი გადაკრულები და კარგა ხანი აღარ წარმოუთქვამს ასეთი რამ.

საგულისხმოა ერთი რამეც, ახალი ხალხის შემოკრებისას ქუთაისელი ედეპეშნიკები ითვალისწინებდნენ ისეთ ფაქტორს, როგორიცაა მატერიალური მდგომარეობა, ისინი ცდილობდნენ მიეზიდათ მატერიალურად შედარებით უზრუნველყოფილი და კარგი თანამდებობის თუ „შემოსავლიანი“ სამსახურის მქონე ქუთაისლები. ბევრ მათგანს, კონსპირაციიდან გამომდინარე, ფარულ წევრებადაც ღებულობდნენ.

1988 წლის 8 ნოემბერს ქუთაისლებმა გადაწყვიტეს ახლადამოქმედებულ გელათის მონასტერში გადაეხადათ იმ დროს უკვე წმინდანად შერაცხული ილა ჭავჭავაძის -წმიდა ილია მართლის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი, რომელსაც დაესწრებოდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ჭანტურია, სარიშვილი, ხუხუნაიშვილი...

გელათში ასულ საზოგადოებას გელათის მონასტრის მაშინდელმა წინამძღვარმა ბოდიში მოგვიხადა, რომ არ შეეძლო ღვთისმსახურების აღსრულება, რადგან წინა საღამოს მასთან ასულან უშიშროების მსახურები და მკაცრად გაუფრთხილებიათ მოძღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩაშლიდნენ ლიტურღიას და დაარბევდნენ ტაძარს.

ამას გაგებით მოეკიდნენ ბატონი ზვიადი და გადაწყდა, რომ მონასტრის ეზოს გარეთ ჩატარდებოდა მცირე საინფორმაციო მიტინგი. მაგრამ იმ დღეს საშინელი ავდარი და კოკისპირული წვიმა იყო. მიუხედავად ამისა თავსხმა წვიმაში მდგომი, ჭეშმარიტ მამულიშვილურ სიტყვასა და სამშობლოს თავისუფლებას დანატრებული ხუთასამდე ადამიანი ფეხმოუცვლელად იდგა და უსმენდა სამშობლოს სარანგს ზვიად გამსახურდიას.

საღამოთი, ტრადიციისამებრ, სტუმრების პატვსაცემად გაიმართა ვახშამი. სუფრაზე გამოიკვეთა მასპინძელთა ყურადღება და გულისყური მიმართული ზვიად გამსახურდიას მიმართ. ეს ფაქტი განსაკუთრებით არასასიამოვნოდ აღიქმებოდა გია ჭანტურიას პირ-სახეზე.

ეს უმალვე შეამჩნია ქალბატონმა ლია კაცაძემ, ქუთაისში მოსწავლე-ახალგაზრდობაში ჭეშმარიტი ეროვნული სულის მქადაგებელმა და ჩვენი ეროვნული მოძრაობის პატრიარქების იდეების ერთგულმა. მან გია ჭანტურიას ასე მიმართა: გია შვილო, დგება დღე ჩვენი გატანჯული სამშობლოს თავისუფლებისა, თითოეული თქვენთაგანი სამშობლოს დღეს ჭირდებით, მაგრამ არასოდეს დაივიწყო, რომ თქვენზე წინ ვიღაც დგას და ანგარიში მათ უნდა გაუწიოთ, თორემ სხვაგვარი ქმედება ამ წმინდა საქმეს ხინჯად მოედება და წაახდენსო და მშობლის წინ მორბენალი კვიცის ამბავიც შეახსენა.

ჭანტურიამ კი ასე მიუგო — რას ბრძანებთ ქალბატონო, მე ორი ბებერი ლომის მხრებზე ვზივარ და ვინ შეძლებს ამ მხრებიდან ჩემს ჩამოგდებასო. ხოლო მისმა მომავალმა მეუღლემ სარიშვილის ქალმა ასეთი სადღეგრძელოთი მიმართა ზვიადს — ზვიად, განა ვინმემ შეძლო მზისათვის ფურთხის მიწვდენა-ო და განა მარმარილოს ნასროლი ტალახი ეკარება-ო?.

მათი სიტყვები ყალბი და ყასიდი, რომ აღმოჩნდა ნათლად დაგვანახა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა.

შემდგომ იყო 1988 წლის 12 ნოემბრის იპოდრომზე გამართული, იმ დროისათვის არნახული საპროტესტო აქცია. ამ აქციაში მონაწილეობას იღებდა ქუთაისელ სტუდენტთა ერთი ჯგუფი. აქციიდან დაბრუნებული სტუდენტები დაიბარეს ინსტიტუტების რექტორატში და დაემუქრნენ ინსტიტუტიდან გარიცხვით, თუ კი გააგრძელებდნენ აქტიურობას. მეც იმხანად ვსწავლობდი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. შევკრიბე სტუდენტები და გავაცანი ჩემი მოსაზრება, რომ პირიქით, იქით უნდა შეგვეტია მათთვის და მოვითხოვეთ ინსტიტუტისა და ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა. ეს შეხვედრა გაიმართა და დასრულდა ჩვენი გამარჯვებით. 1988 წლის 16 ნოემბერს კი გავფიცეთ ინსტიტუტი და მსვლელობით გავემართეთ ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისაკენ. ამ დღეს ქუთაისის ქუჩებში, 68 წლიანი უკუნი ღამის შემდეგ, პირველად აფრიალდა თავისუფალი საქართველოს სამფეროვანი დროშა. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გავმართეთ მიტინგი, რომელზედაც მივიღეთ რეზოლუცია იმ დროს არსებული ვითარების შესახებ.

ეს აქცია ყველასათვის მოულოდნელი იყო, ქალაქისა და სუკი-ს მესვეურები თავ-გზააბნეული და გაოცებულები მოსდევდნენ სტუდენტთა მსვლელობას. ქალაქის მაშინდელი პირველი კომუნისტი ტარიელ ლორთქიფანიძე მრავალჯერ შეეცადა ჩვენს დაყოლიებას მსვლელობის შეწყვეტაზე, მაგრამ ამაოდ.

ჩვენმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო 1988 წლის ნოემბრის საქართველოს დედაქალაქში გამართულ შიმშილობის აქციაშიც. 23 ნოემბერს შევუერთდით აქციასა და მის დასრულებამდის ვიშიმშილეთ. თითქოსდა ყველაფერი რიგიანად მიდიოდა.1988 წლის 3 დეკემბერს დაიგეგმა ქუთაისში მიტინგის გამართვა. ამ დღეს პირველსავე დაძახილზე ქალაქში 30 ათასზე მეტი ქუთათური გამოვიდა, ხალხი ამ დღეს ქუთაისში ბატონ მერაბსა და ზვიადს მოელოდა, მაგრამ ამაოდ. ჩვენთვის მაშინ უცნობი იყო 30 ნოემბერს გამართული ედპ- ყრილობა და მისი შედეგები, რასაც კარგა ხანს გვიმალავდნენ ქუთაისელი ედპ-შნიკები. გადის რამოდენიმე კვირა და ქუთაისში, 1989 წლის ზამთარში, ჩამოდის მერაბ კოსტავა და აფუძნებს წმიდა ილია მართლის საზოგადოებას. შეკრება მოხდა ვალერი კალანდარაშვილის ოჯახში. შეკრებილებს ბატონმა მერაბმა მოუთხრო ედპ-ს კონგრესის შესახებ და განაცხადა, რომ ჩვენს მოძრაობაში დაიწყო განხეთქილება და ამ განხეთქილების მოთავე გია ჭანტურია იყო და აქედან გამომდინარე შედეგებიც მის კისერზე იქნებაო.

რამდენიმე დღის შემდეგ მომიწია ედპ-ს ქუთაისის მაშინდელი ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნული გურამ ბუაძის სახლში მისვლა ჩემი კუთვნილი წიგნების წამოსაღებად. მასთან ბინაში დამხვდა ქუთაისელი ქალბატონი მანანა ახვლედიანი. სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე გაავებულმა გურამ ბუაძემ, გაუგია რა იმ შეკრების შესახებ, დაიწყო მერაბ კოსტავას ლანძღვა. გაოგნებული შევცქეროდი, ვერ გამეგო რა ხდებოდა. ედპ-შნიკები გაეცოფებინა მერაბ კოსტავას მიერ მათ მხილებას. ვინ ეკითხება მერაბ კოსტავს ქუთაისში რომ ჩამოდის და ახალ ორგანიზაციას აფუძნებსო. მე ვერ გამეგო, თუ საიდან და რატომ დაუგროვდათ ამ ხალხს მერაბისა და ზვიადის მიმართ ამხელა ბიოლოგიური სიძულვილი.

1989 წლის 4 აპრილს ქუთაისის უნივერსიტეტის ეზოში მიტინგი გამართა ორმა განუყრელმა ძმაკაცმა, ირაკლებმა. საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი იყო ეროვნულ მოძრაობაში არსებული მზარდი განხეთქილება. შეკრებილთაგან ერთ-ერთმა გამომსვლელებს ასეთი კითხვა დაუსვა: „სად არის ნამდვილი ეროვნული მოძრაობა“-ო. სუკი-ს მომავალმა თავკაცმა ბათიაშვილმა პასუხს აარიდა თავი. ხოლო წერეთელმა ასე უპასუხა — ეროვნული მოძრაობა არის და იქნება იქ, სადაც იქნება ზვიად გამსახურდია-ო. ასე კი უპასუხა, მაგრამ გულში სულ სხვა რამ სდებია, რაც სულ მალე გამოაშკარავდა.

იმ პერიოდში ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტში მიმდინარეობდა პერმამენტული აქცია კომკავშირის გაუქმების მოთხოვნით. მეორე დღეს შენობაში შემოიჭრა ედპშნიკების ჯგუფი ლერი მაკარიძისა და ნარკომან თანთალას თავკაცობით. მოვიდნენ პროვოცირებისთვის და ამ აყალ-მაყალში ბარძაყებში დაჭრეს წერეთლის პარტიის ორი წევრი. იმ დღესვე ჩავიდნენ წერეთლის ბიჭები თბილისში და ირაკლის მომხდარის შესახებ მოახსენეს. იმ დღეს იმელში მათი შეკრება მიმდინარეობდა, გაშმაგებული წერეთელი მუქარით შევარდნილა შენობაში. მაგრამ რამდენიმე წუთში უკან გამობრუნდა და ფირფიტა გადაბრუნებულს უთქვამს: ეს ბიჭური საქმეა და თვითვე გაარჩიეთო (ალბათ მუშტიც მოუღერეს).

ზვიად გამსახურდია წარსულიდან გადმოსული აფსირტეს, ქუჯი -ფარნავაზის, ფარსმან ქველისა და მირიანის, დავით და კონსტანტინე მხეიძეების, ჩვენი ყველა წმინდანისა და სალოცავის სული და სხეულია, ქვაბავაზაკთა მიერ აწმყოში ვნებული და მერმისს დამხვედრი ქრისტეს მხედარი და მამულის სარანგია!

ალექსანდრე სანდუხაძე

2013 წლის 20 იანვარს მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა გაუვიდა!

სინოდმა ბერი გაბრიელი წმინდანად შერაცხა

2012 წ. 20 დეკემბერს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) წმიდანად შეირაცხა წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსის სახელით.

გაბრიელ აღმსარებელი-სალოსის ხსენების დღედ დაწესდა 2 ნოემბერი.

წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსი

ბერი გაბრიელი მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა 1995 წლის 2 ნოემბერს 66 წლის ასაკში. ბერი გაბრიელი წმინდანად შერაცხეს გარდაცვალებიდან 17 წლის შემდგომ, რაც განსაკუთრებულ პატივს წარმოადგენს. მისი წმინდანად შერაცხვა მოხდა საფლავის გაუხსნელად. მისი საფლავის გახსნა და მცხეთის სამთავროს მონასტერში წმინდანად გადასვენება, სავარაუდოდ უახლოეს ხანში აღესრულება. მანამდე კი უკვე დაიწერა ხატებიც და ტროპარ-კონდაკიც. მომავალშიც უფრო მეტი დაიწერება.

ტროპარი

ვითარცა ქრისტე მეუფემან ბუნებაჲ ღმრთაებრივი კაცობრივითა დაჰფარა და მით უჩინო ჰყო წინაშე ჩვენსა გამოუთქმელი დიდებაჲ მისი, გამსგავსებთ შენცა, რომელმან დიდებაჲ შენი სალოსობითა დაჰფარენ და ნიშითა აღმსარებლობისათა სულთა მწყემს ექმენ, მამაო ღირსო გაბრიელ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

კონდაკი

მიუწვდომელ არს მოწყალებაჲ მისი, რომლისა მადლითა ქმნულებაჲ განღმრთობილ ვიხილეთ, რომელმან შემოქმედისა ხატებაჲ განიმტკიცა, აღიყვანა რა მსგავსებად ღმრთისა ბუნებაჲ თვისი, ამისთვის გადიდებთ მამაო გაბრიელ ქებისა ღირსო, რომელი ქვეყანასა იყავ საყვირად სიმართლისა, მტრედად სიწმიდისა და მცხოვრები საკვირველითა სიმდაბლითა აჟღერებდი ჩანგსა სიბრძნისასა და ორღანსა სიყვარულისასა, ხოლო აწ ცათა შინა ხარ მეოხი ჩვენისა ცხოვრებისა და შუამდგომელ მადლისა ღმრთისა.

რედაქტორი ლეილა ცომაია

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***